

652/2  
1991

9,  
ISSN 0134 3459  
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻՏԵՏԻ  
ՀԱԳՐԱԿԱՆ ԶՈՒՅՆ

# ԿՐԱԿՄԱՆ

1991 6



# ప్రాతిష్ఠానికమై

ప్రాథమిక పాఠాలు

33-3

చెండి

అంతిమికుతులు-మార్కిషులు ఇం సాక్షరపాఠాలు-పాఠాలు కులు శుభ్రాలు

శాఖలు వెంటి మార్కిషులు కాబినీలు ఇం ఆపాలు గాన్యాయిల్యాలు నుండి

ఈ శ్వాసితం తెలుగు గ్వాజ్చె, ఆకారా,  
ఓమావాల్మి, ద్వారాలు భేదాలి...  
ఫ్లాంగ్ — హ్యోని క్లోప్సులు భాస్కారా  
మింస్ట్రీల్సులు లూ డాసావ్లులుతి.

ప. రాఘవ్

6  
1991

ప్రాథమిక  
అండ్రాధికారి



ప్రాథమిక

ప్రాథమిక పాఠాలు-పాఠాలు ప్రాథమిక పాఠాలు

## పిండాకాశం

### ప్రాథమిక, ప్రాథమిక

ప్రథమాండ్ల జాతామాండ్లే — ల్యేజ్సేబో	3
ప్రథమాండ్ల కొఫ్ఫెరూలా — లాంగ్బాచ్	
స్టుల్లి న్యోన్స్... — (ఫ్రాగ్మేన్ట్ లోమాన్స్ట్రో)	
టాపింగ్ స్ట్రోమాన్సోడ్జ్ — జమ్ముల్లా	
క్రినోమాన్టోరోబా (ఫాసాస్రోల్లా)	2
డాపింగ్ న్యాప్సాండ్లే — లింక్స్ న్యాప్	
గ్లూల్సాఫ్యిడింగ్ (మాటిక్రాబో)	37
జ్యేస్నా మ్యాగ్జింగ్ — ల్యేజ్సేబో	45
బ్యూరో లీబ్రాండ్ న్యోన్స్... — సాయ్గార్జేల్లా (మాటిక్రాబో)	47

### ప్రాథమిక ఇం చంపాపిండ్లోపాణి

సిమిండ్ జ్యార్లా (శాగిష్టోల్లి) —	
సాండాచ్ క్రోరోబి మింగ్రాల్డేబా (తా-ర్గమ్మేస్ కాత్రింగ్ సార్లామ్మా లూ గ్రమ్మే డాపిండ్లేబో)	59

### ప్రాథమిక ఇం ప్రశ్నలు ప్రాథమిక

మామిదా గ్వార్తామోడ్జ్ — ల్యోగ్రాం ల్యే-జీసి ల్యుప్పార్లు కొల్పేస్?	62
--	----



## შერილები

მურმან მეგრელიძე — ალი ფაშა  
თავდგირიძე ქართულ ზეპირ-  
სიტყვიერებაში  
ოთარ თურმანიძე — სამთამაღნო  
მრეწველობა და სამრეწველო  
მუშათა კლასი ტაო-კლარჯეთის  
და აჭარაში მე-19-20 საუკუნეთა  
მიწნაზე  
შოთა ჭაფარიძე — პოლიტოლო-  
გია და ქართული პოლიტიკური  
კვლევის ამოცანები  
იმრაიმ გორჩაძე — რატონი მტკიცა  
გული

## ტობონიშვილი

აური სიხარულიძე — სიმონეთი  
სატირა და იუმონი  
კემალ ჭაველი — მიტო და კატო

92

- სარედაქციო კოლეგია:
- აზიზ ახვლედიანი,  
გიორგი გარებოლაძე,  
75 ჯურაბ გორგილაძე,  
მამია ვარშანიძე,  
(პასუხისმგებელი მდივანი),  
უოთა ბოლიძე,  
ლავით თელონიაძე,  
78 ალექსანდრე სამსონია,  
ჯვალ გათამაძე,  
ალექსანდრე ჩხეიძე,  
81 ურიზონ სალვაზი,  
ლავით სახუთაძევილი,  
86 ჯვალ ჯაშელი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი,  
მელიქიშვილის ქ. № 21, ტელ.  
3-33-71.

ნომერი გააფორმა ა. ლომაძემ.  
ტექნიკური ხელმძღვანელი — შ. დარ-  
ჩა.

გადაეცა წარმოებას 3.12.91, ხელ  
წერილია ლასაბეჭდად 20.1.92, ქალალ  
ზომა  $60 \times 901/16$ , ნახევრი თაბახი 6,1  
გამომცემლო თაბახი 4,8, შეკვე  
№ 1588, ტირაჟი 2900.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდით  
სიტუაციის დეპარტამენტის იჭირის პო-  
გრაფიული საწარმოო გაურთანი  
სტაბა, ბათუმი, იძერის, 91.  
Полиграфическое производство  
объединение Аджарии. Батуми, ул.  
Иберийская, 91.

## ჯემალ ჩათაშაშე

ჭ 3 ა ს

ჩემი სიკვდილი თუ გინდა,  
ზღვას მომაშორე წამითა,  
წამილებს შავი უკუნი,  
ვეღარ ამოვალ ხრამიდან.  
თუ ზღვა მეძახის მშობელი,  
ამაზე მეტი რა მინდა.  
მე სხვა სიმდიდრე არა მაქვს,  
მე მდიდარი ვარ ამითაც.  
ზღვა სიყვარულის წყურვილით  
ნანას მიმღერის ღამითაც,  
ჩემი სიკვდილი თუ გინდა,  
ზღვას მომაშორე წამითა.

გამოთხოვება

მამია ვარშანიძეს

— ვე შეაშრა კალამს მელანი,  
ძველი ტკივილი აღარ  
მთელდება,  
ვერ გავაქროლე ტატოს მერანი,  
ვეღარ დავსახლდი ცაში  
ლმერთებთან.  
სულში ჩავაქრე ლექსის  
ლამპარი,  
აღარ ვწერ, ძნელი საქმე  
ყოფილა,  
ვერ დაგიტოვე ლურჯი ზღაპარი  
ისე მივლივარ წუთისოფლიდან.

პილევ ცოტა და...

პილევ ცოტა და... ჩაქრება სული  
და ვეღარ ვიტყვი რაც უნდა  
მეთქვა,  
ზექვის ოცნება შრეგადასული  
ნეტავი ისევ რამ ააფეოქა.  
ზვალებს დავხუჭავ — იმ დღეებს  
ვეძებ,  
პედავ ცრემლებით განბულ  
იას,  
ვით დახოცილი ხობები ველზე,  
ჰარის ფოთლები შარაზე ყრია.

ჭ რ თ ხ ა

წამოქმილეს ზამთარში სახლთან  
და გამოღადრეს დანით კისერი,  
ძუძუდამშრალი სახლში წევს  
ახლა,  
ძროხა კეთილი და ღვთისნიერი.  
არც ისე გონჯი და არც ბეგერი,  
შეგვჩივლა სველი თვალებით:  
— რისთვის!

ჩვენი სულების დამპურებელი,  
ნუთუ ამგვარი სიკვდილის  
ღირსი?

# რადგანაც სული ჩვენი...

(ფრაგმენტი რომანიდან)

1.

ოთახის ღამისეულ სიმყუდროვეს კედლის საათის წყნარი, მონოტონური წიგწივი და მძინარე ქალის შვეიდი, რიტმული სუნთქვა თუ არღვევდა მხოლოდ.

მას არ ეძინა. იწვა ძილგატეხილი, სიშვიდედაკარგული და ფიქრობდა, ოცნება-ზი წინასწარ აჭყობდა გეგმებს: — არა, რაც იქნება-იქნება, ამას ბევრი ბჭობა და ყოყმანი ალარ სეირდება უკვე. ამ ერთ ჩეისს, როგორც იქნება მოვითავებ, მერე კი მივანებებ თავს ამ საჭანდაბე ზღვას, დავკრავ ფეხს, წავალ სოფელში და ამასაც თან წავიჟან. კეთილი ქალი ჩანს, გამგებიანი, ჰქვიანი და სულდათქმული... არა, მანც როგორ შემეჩვა, მომენდო და დამიახლოვდა ამ მოულე დროის განმავლობაში? არა, არა, ნამდვილდ ასე უნდა მოვიჟცე, ნამდვილად!

როგორც კი ის გაიცნო, ღამის მაშინვე მიხედვა ზაზა, რომ ქალი მასავით მარტოსული, მიუსაფარი იყო, ნაძალადევად, მოჩენებითად მხიარული, მოჩენებით გულგრილი და შეიძლება, მასავით ნაღალატევ-მიტოვებული. ერთ რაიმეში ვერ გარკვეულიყო ღონისძიებები — ეს ქალი დანამდვილებით უკვარდა თუ უბრალოდ, ქალთან სიახლოვეს მოწყურებული ძალიან შეეჩია მხილოდ, ვინაც თავისთან ახლოს დაიგულა, გაუშინაურდა. სწორედ იმას შეეჩია და, ამაში, კაცმა რომ თქვას, არც აღარაცერი იყო გასაკირვებელ-გასაოცებელი. თუმცადა ამას რაღა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის, როცა წინასწარ მტკიცედ, მთელი არსებით იყო დარწმუნებული იმაში, რომ დროშერთმა ნუ ქნას. და ეს, საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, უსაშევლიდ გაუქიმირებოდა ამ ქალთან დაშორება. და თუკი ზეალ იგი ხელმეორედ უნდა-ასულიერ გეტე და მერე თვეობით გადაკარგულიყო საღალაც მიუსაფლეოში, ზღვებსა და ოკეანებზე ცხადია, წინასწარ იმის იმედი და მტკიცე გარანტია უნდა ჰქონებოდა, რომ ქალი მთელი არსებით უკუყმანოდ დაელიოდებოდა მის დაბრუნებებას.

სანამ იგი ძილგატეხილი და აფორიაქებული ამაზე ფიქრობდა, ქალს შვეილი, უდრელი ძილით ეძინა და აღარაფერი აფრთხოებდა მის მყუდროებას.

— ამას აღარაფერი აქვს სადარდებელი და ამიტომაც ძინავს ასე შვეიდად, — გადას უქირა ზაზამ და წამიერი მზერა მიაპყრო მძინარეს. წამიერად რაღაცაირად შერმაც კი გაჟერა გულში ამის გამო. ვინ იცის და იქნება სადღაც გულის კუნძულში ას ბათ უფრო გაუხარდებოდა, ქალს მასავით რომ გასტეხოდა ძილი, მასავით იგივე დამაკე საფიქრალით ეციქრა.

მაგრამ აი, ქალი მოულიდნელად შეიმშუნა, რაღაც წაიბუტბუტა გაურკვევლად ტუჩები გაბუსხა და მისდაუნებურდა, ინსტინქტურად მიიწია მისკენ. ზაზას ფიქრის ძაფი გაუწყდა, მძინარე ქალს მიერგმასანა, მელავები მოხვია და თეთრი ული, ხეროსფერი, გაბუსსული ტუჩები დაუკოცა. ძილბუტრანში მყოფი ქალი უსიტყვოდ დაშინალურად დაჟევა მის ნებას..

— ხეალ უკვე ალარ იქნება ჩემთან და ძალიან მომენატრება! — დანანებით გაიქრა ზაზამ, — საბოლოოდ ძილგამურტხალმა, დაკმაოცილებულმა და ვნებადამზე

ჩალმა, კიდევთაც კმაყოფილმა და ამავე ღრის კიდევთაც უქმაყოფილომ, ხელის ცეცხლით  
გაიძინა საწოლთან მდგარ სკამზე სიგარეტის კოლოფი, ამოილო სიგარეტი, მოუკიდა ჭურული  
გრე უშმილ ეწეოდა სიბნელეში უკვე ალარეტერზე მოფიქრალი.

რომ ეგონა, ქალმა ძილი განაგრძოლ, სწორედ მაშინ დაარღვია აქამდე მიჩუმათე-  
ბულ-მილურსულმა მუსდროება, მადიანად, კმაყოფილ კტასავით დაამთქნარა და  
იქთხა:

— რა შერები ოქრო?

ეგონა, სიგარეტის ბოლმა შეაწუხაო და ჰყითხა: — ჩაგაქრო?

— რატომ უნდა ჩაქრო? რას მიშლის... თუ გინდა, მოსწიე რამჟენიც გნებავ-  
დებ!

— რა ვიცი, ვიფიქრე სიგარეტის ბოლს ვერ იტანს-მეტქი, და... შენ ხომ არ  
ვევვა?

— იხე რა, ხანდახან...

— ვაინც როდის? — იყითხა ზაზაშ მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც ეთქვა, და  
სუბარში ჩაეთრია.

— აბა რა ვიცი... ხან როდის და ხან კადევ როდის. განწყობილებაზეა ეს და გან-  
წყობილების შიხედვით, რა თქმა უნდა! — მცირე პაუზა გააკეთა და მერე იხევ გა-  
ნაგრძო წყნარი, მდორე, ნამძინარევი ხმით: — იცი, ხანდახან, როცა უსაშეელოდ შე-  
მომაწვება გულზე დარღი, როცა ვატყობ რომ უკვე იხე შემბმოჭა, გასაქანი არა მავეს,  
მშინ ვიშველიებ-ხოლმე სიგარეტს. მოგესწევ ერთ ცალს და რაღაცნაირად ვეშვილ-  
დები თითქოს, მორჩილი და კმაყოფილი ვევდები რაღაცნაირად. ვიცი, მოჩვენებითი  
ხომ არის ეს ჩემი სიშვილე და კმაყოფილება, დროებითია და არამყარი, მხგრამ...  
გმოდის საკუთარ თავს ვატყუებ და ეგა!

— ახლა ხომ არ მოსწევდი?

— არა, ახლა რატომ? არაა საჭირო და აუცილებელი. ამჟამად ხომ შშვილად  
ვარ, არაფერზე ვფიქრობ და ვდარღი, ალარც სევდაა შემოწოლილი გულზე და რაღა-  
და საჭირო? შენ კი... შენ რაღას ეწევი ამ შუალაზისას? გინდება თუ რაშია საქმე?  
უ შენაც დარღობ რაიმეზე?

— არა, რაზე უნდა ვიდარღო? — ყოყმანით, დამაჯერებლობას მოკლებული ხმით  
იქვა ზაზაშ, — უბრალოდ, მიჩვეული ვარ და... დარღი ანხენე და გამიკირდა. კაცმა  
ხომ თქვას, შენ რა გაქვს სადარღებელი და საუიქრალი?

ქალმა ჭრ რაღაცნაირი სევდით, მდურევითა და საყვედურით შეხედა, მერე ვეერ-  
ზე იცვალა, კედელს მიანჭინა დაბინდული მზერა. კარგა ხანს სდუმდა რაღაცაზე ჩა-  
უქერებული, მერე კი დაუფარავი საყვედურით უთხრა: — შენ ასე ვიქრობ, ხომ?  
ქსე, იგი გამოდის, შენს თვალში ქარალშურა, უდარღელი და თავექარიან გინანვარ.

— აბა, ეს რამ გათქმებინა? — შეწუხდა ზაზა, — მე პირეკით მოვნია და...

— ეს, ვიცი, ვიცი, რაც გენონა შენ! იხე, იცი რას გეტბვი? მე ერთი ადამია-  
ნიც არ მევულება ისეორი, რაღაც საფიქრებელ-სადარღებელი რომ არ გაჩინდეს, თუკი,  
ტარდა, სულ ხელიდან წასული, გიუი ან ბოთე არ არის! შენ შეიძლება არ დაიჭრო,  
მაგრამ ხანდახან, მაინც იხე საშინლად მოეძალება ეს ოხერი სეფლა და ჭუხილი, პირ-  
დაპირ ალარ ვიცი რა ვქნა, როგორ მოვცეცე, რა წყალს მიგსცე თავი, სად გავეძეო,  
სად დაგვემარო, როგორ დავალწიოთ თავი, არა, პირდაპირ ვეღარ გამიგია, თუ რისგანაა,  
რის გამოა, რისთვისაა, ეს გაუსაძლისი სევდა და ჭუხილი საიდან ვეუცლება ადამიანს  
აქ, და რატომ გბოჭავს ასე უსაშეელოდ... ერთი მითხარი, შენ თუ გოფიქრია ასეთ  
რამიტებული რეასმე? თუ ვეღალაფერი ეს ახალი ხილია შენთვის, და შენ უყველთვის ერთ  
რამიტებული დგახარ! — სულელივით კმაყოფილი, აუდელვებელი, მუდამ მხიარული და  
მუდაფერზე თანახმა?

— რატომ გვინდა ვითომ მასე? — ახლა ზაზას გაპერა წყენამ, — მეც წომ  
ჩემულებრივი ადამიანი ვარ და ძალიან ჰქვიანი თუ არა, უკველ შემთხვევაში გადასცემი  
ბოთ მაინც არა ვარ და რატომ ფიქრობ ასე? — სიგარეტის ნამწირ საცერენ-  
ლეში ჩააგლისა და განაგრძო: — ამ ქვეყანაზე ხომ უმიზოდ და უმიზეზოდ არაფერი  
არ ხდება და ამ წუხილს, ამ სევდასაც თავისი მიზეზი გააჩნია ალბათ.

— მო, ეს შეიძლება ასეცა, — დამოწმა ქალი, — მაგრამ ხანდახან უმიზეზოდ,  
სრულიად შემთხვევით და მოულოდნელად. სრულებითაც რომ არ მოედო, სწორედ  
ვაშინ გეწვევა-ხოლმე იგი, ამისხენი ერთი, რა არის ეს? არა, შეიძლება რამები მიზეზი  
მართლაც არსებობს, ჩვენ ვერ ვხვდებით და ამიტომაც ვვგონის უმიზეზოდ? როცა  
სევდა გიბყრობს, მაშინ ხომ სერთოდ აღარავერი გხურს, არც არა გიხარია რა, უგლე.  
ფრისა და უოვლის სურვილი, ხალისი გაქვს დაკარგული... ჰოდა, აბა წარმოიდგინე ერ-  
თი, როცა არაფერი გინდა, გაინტერესებს და გიხარია, ცხოვრებასაც თავისი აზრი და  
დანიშნულება აქვს დაკარგული... ვინ იცის, უკელაფერი ეს მხოლოდ ჩემივე ხახიათი.  
დან გამომდინარეა და გარეშე ძალებს არავითარი კავშირი არ გააჩნიათ. უნ ჭრ კა.  
გად ვერ მიცნობ, ჩემი კარგად უცნობა ვერ მოასწარი და ამიტომ მევე გეტუვი ისე  
ჩემს დაღებითსა და უარყოფითს, იმასაც გეტუვი ბარემ, ჩემში უარყოფითი უფრო  
სკარბობს დაღებითს, და, საერთოდ. ცოველივე ამის შემდეგ მევე არ ვიცი ვინა, გა,  
რას წარმოვადგენ, საერთო ჯამში—დაღებითი ვარ თუ უარყოფითი, კარგი თუ ცუ-  
დი, საყვარელი თუ საზიზლარი, სათო, კეთილი თუ ბოროტი, იუდა თუ ანტეჩისტე-  
ცი, ჭირველი ხახიათი მაქვს, ძნელად თუ მომეწონება ვინმე, რაიმე, გამესარებები  
და გამახარებს ვანმე, ძნელად მოვდევარ ალტაცებაში და გადავდევარ თავდავისებებში.  
წყენით ძალიან აღვილად შეიძლება მეწყინოს რამე და როცა მწყინს რამე, მაშინვე  
მეყენულად ვყარგავ წონასწორობას! ცხადია, არ მინდა ვიყო ასეთი, კარგად ვიცი, ცუ  
და რომაა ეს, მაგრამ რა ვქნა, რა ვიღონო, რა გზას დავადგე, როცა ვერაფერ  
მოვუხერხე ამ ჩემს უკულმართ, უხეირო და უცნაურ თავს? იცი რაკ გეტუვი? ამას  
უკელაფე ძნელი ხაკუთარი თავის მოთოვეა ამ ქვეყანაზე. შეიძლება შეუძლებ  
ლიც ეძა ეს...

— შეიძლება... — ორჭოულად, სასხვათაშორისოდ გაიმორა ზაზამ და მცირ-  
დუმილისა და უოვლისის მერე მოულოდნელად პეითხა: — ერთი ეს მითხარ-  
თუ ღებულობითი გზაშის, მარია, ბეღნიერი თუ უოვლებარ ღდესმე?

— ბეღნიერი... — ვაიმორა ქალმა დაფიქრებით, ჩურჩულით, ორჭოულად,  
ბეღნიერი, თუ ვყოვლილგარ, მეყითხები არა? — ტუჩები მოკუმა, თვალება მილუ-  
და ჩაფიქრდა, — იცი, გააჩნია, თუ რა მიგაჩნია ბეღნიერებად, ნამდვილი ბეღნიერება  
რომაა ისეთი, და არა ფიქტიური, მოჩენებითი... ისე კი, ამ ჩენეს დაწყებლილ, გაუ-  
ნელ და ჭირველ ცხოვრებაში, ბეღნიერება ძალზე იშვიათი ხილია, თეთრი უცა-  
პირაპირ და იგი ძალზე იშვიათად თუ მოესტუმრება-ხოლმე ადამიანს, უცილას  
კიდევ, ცხადია, მაგრამ იმასაც ვერ იტუვის ვერავინ, რომ ერთხელაც რაა და  
ერთხელაც არ ვყოვლილგარ ასე თუ ისე ბეღნიერიო. ჩაკილა მკითხე, იძულებუ-  
ლებარ გიბასუხო უნდა და ამიტომაც გეტუვი კიდევ, თორებ სიმართლე გითხრა,  
მიხარია მაინც და მაინც ჩემს წარსულში ქექვა-ჩირეკა და უკელაფრის ხააშეაროშე  
მოტანა. კი, ვიყავი ბეღნიერი, ეს იყო დიდი ხნის წინათ, თითქოსდა ისე და  
მოტანა. წინათ, რომ ვიყავი საერთოდ, ამის დაუიშუებაც კი შეიძლება თავისულებად.  
ხნის წინათ, რომ ვიყავი საერთოდ, ამის დაუიშუებაც კი შეიძლება თავისულებად.  
უკავი, მაგრამ სულ მცირე ხნის განმავლობაში, ერთ გაელვებად, ერთ გაცისრევნები  
უკავი, მაგრამ სულ მცირე ხნის განმავლობაში, ერთ გაელვებად, ერთ გაცისრევნები

— გიუკარდა და იმიტომ? — იყითხა ზაჲამ, დაღლილად დამთქნარა და ხელი  
გულით ამისისისა რვალები.

— მამაკაცი ხარ შენ და ამიტომაც ადვილი შესაძლებელია გავიკვირდეს ეს, ან  
დამიჯერო იქნება კიდეც! — სევდაინ ლიმილი მოესტუმრა ქალს ტუჩებზე და მერე  
რაღცანარი აღგნებით, მღელვარებით განაგრძო: — მიყვარდა ერთი კაცი, ერთი პა-  
როვნება და გიუავი შედნიერი. არ იყითხავ როგორ მიყვარდა? სულ ვლევდი პარ-  
დაპირ მიხოვის და მისი ერთი დანახა, მისი ერთი გაღმოხვდვა, მისი ერთი გამოშება  
ცის გახსნას უდრიდა ჩემთვის. მან კი, სამწუხაროდ, არაფერი იცოდა ამის შესახებ,  
წარმოდგენაც კი არ გააჩნდა ოდნავი, რადგანაც ვერც კი ამჩნევდა ჩემს არსებობას,  
ვიყავი, ვიქნებოდი თუ არა, დამინახავდა თუ ვერა, სულერთი იყო მისთვის. არც  
იყო ეს გასაკვირი და არც მე მიკვირდა, რადგანაც ახეა ეს ყოველთვის — როცა  
სხვა გიყვარს რომელიმე, მაშინ, ცხადია, ვეღარ ამჩნევ სხვას, იმას, რომელსაც უყვა-  
რხარ, შენზე ოცნებობს და განიცდის შენს არსებობას... — გაჩუმდა და დუშმილის მე-  
რე ჭითხა ზაჲას, — სიგარეტი თუ დაგრჩა, მომაწვევინე თუ ღმერთი გწამს ერთი!

— ახლავე! — ზაჲამ სიგარეტი მიაწოდა, სანთებელათი მოუკიდა და დალოდა,  
თუ რას ეტყოდა, შემდგომში ქალი. ქალმა ღრმად მოქანა და გაბოლა. მერე კარგა ჩინ-  
იწეა განაბული, თვალებმინავლებული, მიჩუმათებული და საკუთარ არსებასთან თუ  
უხაგ ფაქტებთან განარტოებული. და მინვდა ზაჲა, — ახლა, ამ წუთში ფიქრებში  
წასული ქალი მის არსებობასაც ვერ გრძნობდა და აღიქვამდა. იყო და აღარც იყო  
თითქოს, აღარც არსებობდა. შეეცადა, როგორმე არ დაერღვია ქალისათვის მყუფროე-  
ბა და ფექტის ძაფი არ გაეწვეტია მისთვის.

ორთხანს გაუბირევლად იწვა, მერე ფრთხილად, ისე რომ გვერდი არ უცელია,  
შიაბრუნა თავი, კედლის ხათს შეხედა. ისრების კიდევ სამიოდ შემობრუნება და იტა-  
ლებდა კიდეც დადგებოდა იალონი და მორჩა — უნდა ამჟარიყო და რამდენიმე  
თვით გასცლოდა აქაურობას, მას ჭერ კი არაუერი ეთქვა ქალისათვის, თავისი მთავრებუ-  
ლთავარი და აუცილებელი სათქმელი არ ეთქვა ჭერ. იმისი უთქმელობა კი არაფრით რომ  
არ შეიძლებოდა, ეს კი კარგად იცოდა ზაჲამ. დიას, დიდი დრო აღარ დარჩენოდა ზა-  
ჲას, სულ რაღაც სამიოდ საათი და მორჩა. ავიდოდა დილით გემზე, მერე მხოლოდ  
და დიდი ხნის შემდგა თუ ექნებოდა იმის საშუალება და შესაძლებლობა, ხელშეორებ  
ეხილა ეს ქალი. გაეზიარებინა მისი სარეცელი, მოეხსინა მისი საუბარი და გაეგონა  
ისევ მინიარე ქალის მშვიდი, აულელებელი და რიტმული ცვეინვა. კარგად იცოდა,  
თუ რა უსაშველოდ გაიწერებოდა ეს დრო, უკველი კვირა თვისი ტოლი განდებოდა,  
ოვე კი — მთელი წლისა! ამას კი ვინ იცის დღეში რამდენჯერ მოენატრებოდა იმისი  
სახე, იმისი თმები, იმისი ტუჩების გემო და ფერი, იმისი სხეულისა და სულთევის სით-  
ბო...

— არა, არა! — ფიქრში გააქნია ზაჲამის თავი და ძალუმად, ჭიუტად მოუქმა ტუჩე-  
ბი: — უნდა ვუთხრა ცველაფერი. ახლავე, ამ წუთში, დაუხანებლად უნდა უზოტრა,  
ოროგმ ნამეტენი გვიანი იქნება მერე, გათხნდება და ვერაცერს ვეტვი მერე. ჰილა,  
სანამ დამერა, სანამ ჭერ კიდევ დროა, უნდა მოვასწრო, უზოტხრა უნდა ცველაფერის. ზა-  
ილი შურჩილილი ნათევამი გაიგონა:

— ნამდვილი ბედნიერი, და, ამდენად, განუზომელად კმაყოფილი, ცხოვრებაში  
შეილოდ ერთხელ ხდება ადამიანი და ამიტომაც უნდა უცადო კიდეც — გაუცრობილე  
ბას, მაგრად უნდა ჩასწილო ხელი, რომ მოულოდნელად არ გაგიძერეს ხელიდან, ა  
დაგვარგოს! იცი? მე ახლა ძალიან მწყდება და მეთანალება გული იმის გამ-

რომ ვიქიპედია, რაიმე შეცდომა ხომ არ დავუშვი-მეთქი, იქნებ, როგორც საჭირო იყო  
ისე ვერ გაუციროთ შილდი იმ ჩემს ბედნიირებას-მეთქი!

ერთობული  
სისტემის

— რა შეცდომა გაქვს მხედველობაში? — იკითხა ზაჲაშ.

სანამ რაიმეს იტყოდა, ქალმა ცერი და საჩვენებელი თითი ამოისვა თვალთა უპე-  
ებში და მიუვი კარგა ხნის მერე: — ხომ გითხარი, მან არაფერი იცოდა ჩემი გრძნო-  
ბების შესახებ-მეთქი.

— კი, მითხარი... მერე?

— ჰოდა, ვიქიპედიაში მერე, რა იქნებოდა რომ მეთქვა, რომ გამემხილა, რომ ის  
უცელაფერს მიმხდარიყო-მეთქი! აი, სწორედ ეს არა თქმა, არ გაგებინება ვერ მისა-  
ტყებია ამ ჩემი თავისთვის!

ზაჲაშ კასუხად ორჭოფულად, ფიქრიანად გაიღიმა: — კი, მაგრამ, რა გამოი-  
წოდა ამით? ვანა შეიცვლებოდა რაიმე? შენ ხომ მითხარი, ხევა უყვარდა, ჰოდა,  
რომც გეთქვა, როგორ ფიქრობ შენ, შეიცვლებოდა რაიმე ამით?

— არაფერი, მე მეონია, მაგრამ ადამიანის გულის ამბავი მოგეხსენება შენ; უო-  
კელთვის ცდილობს, იმოვს რაღაც გზა, რაღაც გამოსავალი და... — სათქმელი აღა  
დაამთავრა, გაჩუმდა და მხოლოდ კარგახნის დუმილის მერე ვანაგრძო: — ვხდები,  
შენს თვალში რა უცნაური ვჩანაცარ ახლა, მაგრამ რა ვენა, როცა ასეთი გავუჩენივას  
ლქერთს და ჩემი შეცვლა, ჩემი გამოხწორება უკვე აღარ შეიძლება. არც ის შემც-  
ლო, არ მეტქვა დამემატა შენთვის ეს, არ ვიქნებოდი მაშინ მართალი არც სცუთარ  
თავთან და აღარც შეწახა... ჰო, იმას გეუბნებოდი: ვიცოდი, სხვა რომ უყვარდა, მა-  
რაშ მე იმითაც ვიყავი ბედნიერი, რომ საშუალება მქონდა ყოველდღი დამენახა ივა,  
ის თვალწინ რომ ვტრიალებდი და იმისი სახე, იმისი გალიმება მეხილა... აი, ხომ ხედავ,  
უ რა ბატარა, რა უბრალო, რა ერთი ფიორი რამ ყოფილა საჭირო იმისათვის, რათა  
უკი ბედნიერი, ნამდვილად ბედნიერი თუ არა, მოწვენებითად მაინც...

განუმდა და ისევ ჩამოწვა დუმილი. მხოლოდ როდის-როდის იკითხა დაწირერე-  
ულმა ზაჲაშ: — იმ კაცს რაღა დაემართა?

— რა დაემართებოდა... ვინაც უყვარდა ის ქალი შეირთო, ერთ ხანს ბე-  
დინიერი იყო, მერე კი ჭრთბაშად უბედური გასდა...

— როგორ? — გაუკირდა ზაჲაშ.

— ვინაც ძალიან უყვარდა, სწორედ იმან უღალატა: აღგა ერთ დღეს ის ქალი,  
მიატოვა ქარ-შვილი, დაჭრა ფეხი და ვიღაცას გაეკიდა საღლაც... იმ საცოდავშა ქა-  
რადენ ხნის იდარედა შერე, როგორ განიცადა ცოლის დალატი, კარგა ხნის ცხოვრების  
კალპონტიდან ამოვარდა და ვეღარ პოულობდა საშველს.. მე ვიცოდი, როცა აღ-  
მიანს უჭირს, სწორედ მაშინ სჭირდება უურადლება, გულისხმიერების გამოჩენა, მხარ-  
ში ამიღოვთ, გამნენება და დაიმიღდება. მაგრამ როგორ, რა გზით და რა საშ-  
უალებით მიმეღწია ამისათვის? მისთვის საჭირო, აუცილებელი რომ გავმხდარიყავო, ჭრ  
უნდა შეცვერინო მას, უნდა აღვევევო, უნდა ეწამა ჩემი, უნდა დაეცერებინა, რომ მე მის-  
თვის საჭირო ვარ, ჩემსაფით მას ვერავინ შინებდავს და უსაშველებს. ჭრ ჩემი უა-  
რი, ჩემი განცდა, ჩემი გულისხმიდები უნდა ვაგდო, მიმხდარიყო და ეთანაგრძონ. მე  
კი ვერც ვერაფერი მიმინდა, ვერც ვერაფერი გამიგო, ვერც დამინახო და ვეღარც ჩე-  
მი იდუმალი, მუდმივი, მარადაული, ყველაფრის მომცველი ძახილი გაიგონა...

— ახლა ხად არის ის კაცი? — შეაშეტინა ზაჲაშ.

ქალმა ტუჩები მოკუმა და ოდნავ შეარხა მსრბები: — აბა რა ვიცოდა... საღლაც შე-  
ასახლდა... ვიღაცამ მითხარი ამასწინათ, ცოლი შეირთოთ... არც ვამტყუნებ, რა უნდ-  
ა აბა? ანდა რა ჩემი საქმეა ეს? — ეს რომ გავიგო, სულო ცოდვილო, ვიღიერე, ჩე-  
მებოდა, იმ ქალის აღვილას მე რომ ვკოფილიყავო-მეთქი. უპ, ეს ახე რომ მომხდე-

რიც, რა ბედნიერი ვიქნებოდი მაშინ! მეუღლებოდა მეუღლე, რომელიც ძალიან მეყვარებოდა, მივხედავდი მის შვილებს და ვიცხოვრებდით ახე...»

ზაჟამ შმაურით გადაულაპა წერწყვა: რაღაცის თქმა დაპირა, მაგრამ ჩანა იტყოდა, კარგა ხანს ყოფანობდა, ბოლოს მაინც თქვა ერთგვარი შიშითა და გაუტევდათ-გით: — ახლაც გახსოვს?

— აბა რა ვიცი? — ჩაილაპარაკა ქალმა რაღაცნაირი ჩავარდნილი ხმით. — ახლაც მიყვარს იგი თუ არა, ძნელია ახლა ამისი დადგენა. ძველებური განცდითა და გზებით რომ არა, ეს ცხადია, მაგრამ მაინც... რაღაცნაც, გული მწყდება, ისევ ვიხსენებ იმ დღეებს, ესე იგი, ისევ მახსოვს ალბათ... საერთოდ კი, რაც შენოვის უკვე დაკარგულია, ფიქრი, იმაზე დარღი, იმაზე წუხილი ამათა და არაფრის მომტანი. მე არა ვარ პრაქტიკული, მაგრამ ახლა რომ უკვირდები, ცხოვრება, ასე თუ ისე მაინც გვაიძულებს საბოლოო ჯამში ვიუვეთ ახეთი... — წამით პაუზა გააკეთა, იღუმალად სევდიანად გაილიმა და განაგრძო ისევ: — საუბარი სევდაზე წამოვიწყეთ და ხომ ხედავ აგრე, მოული ჩემი ისტორია კი გაღმოგილავ. ქალის ხსიათი, მოგძენენება, ახეთია სერთოდ — ბევრიც რომ ეცადოს და იცდილოს, ბოლოს მაინც წამოაყრანტალებს უკელაუერს. არა, ქალს არ შეუძლია ბოლომდე შეინახოს საიდუმლო... პო, მინდოდა მეტითხა შენოვის და სულ გადამცილდა რატომდაც გულზე, შენ... შენ თუ გყვარებია ვინჩე?

— მიუვარდა... — ყოუმანით, ფიქრიანად, თითქოსდა სხვათაშორის თქვა ზაჟამ.

— მერე? — მრავლისძამტევად, ინტერესით იყითხა ქალმა, მისენ გადაბრუნდა და თეთრი, ფაფუკი ხელისგული გადაუსვა თავზე, — მერე ოქრო, მერე?!

— მერე? არაუერი მერე... მოხდა ისე, როგორც ხშირად ხდება, მან სხვა ამჭობინა ჩემს თავს, გამცვალა სხვაში და ის ჩემი უბედური და უდღეური სიყვარული ასე დამთავრდა.

→ გახაგება! — ჩაილაპარაკა ქალმა თანაგრძნობით, გამგებიანად, — რას იჯამ, ხშირად ხდება ასე და შენი საქმე გამონაკლისი და სასწაული როდია, როგორც ვიცი, ძამაპაცი ქალზე უფრო მგრძნობარება, სიყვარულსაც უფრო სათუთად უცლის და უფრთხილდება... მე რას დავკავირდი თავის დროზე, იცი? შენ, ეტუმა, უკელაუერი ძალიან აძლის შიგაქვს გულთან... შენისთანა ხსიათისა და ჩევევის კაცები, თუ ძნელად ეჩევვიან ვინებს, ასევე ძნელად გადაეჩევეთან-ხოლმე... მაგრამ რაც იყო იყო და ახლა ამას არაუერი ეშველება... ეს მითხარი ახლა, შენ ისევ გახსოვს, ისევ გიყვარის ის მოღალატე, თუ...

— ახლა აძლერა! — მანიცცე, დაუცანებდად მიუგო ზაჟამ. — პირველად კი, რა დაჭამილია, ძალიან ჩიჭირდა.

— მართალს ამბობ და მჩერა კიდეც შენი! — მაშინვე დასძინა ქალმა და რაღაცნაირი მოწონებით დაქნია თავი: — რომ ეგთქვა, ახლაც ძველებურად მიყვარსო, არ დაგვიტებდი ცხადია, რაღაცნაც არ იქნებოდა მართალი. ჩვენ ხომ აღამიანები ვართ, იქრო! რაკიდა ადამიანები ვართ, ცველაუერს აღვილად ვეგუბით. და რომ ვეგუბით ცველაუერს ასე ადვილად, ესაა სწორედ ჩვენი დადებითი, ჩვენი პლუსი, ჩვენი ერთგვარი ბეღნიერება. აბა ერთი წარმოიდგინე, მაშინ აბა რა იქნებოდა, რაღა გვეშველებოდა მაშინ, როგორ გავაგრძელებდით ამ ცხოვერებას ამ შეგუების უნარი რომ არ გაგვაჩენდეს? დაას, ჩვენ ცველაუერს ვეგუბით... ვეგუბით, როცა ცველაზე ახლობელი გვეცლება ხელიდან, ვეგუბით, როცა მიღვატოვებს ვინმე, როცა შარტოლ-შარტო ვრჩებით და ბეღნიერება გვეცლება სელიდან. და ასე, ამ შეგუება-უზუებაში მიდის კიდევ ეგ ჩვენი ცხოვერება, მაგრამ ერთი რამა დასანანი, სამწუხარო

და გულსატკენია სწორედ: ხანდახან, ამ ჩევნი უველაფრის შეგუების უნარით, საკუნ  
ნელს კუტოლდებით და ვკარგავთ იმ მთავარზე-მთავარს, იმ აუცილებელს, რას გამო  
რა მიზეზითაც ადამიანს გვეძარიან...

ხანამ ქალი ლაპარაკობდა, ზაჲას ერთხელაც არ დაუძრავს კრინტი და გასუსულ-გა-  
ნაბული, დაინტერესებული უგვებდა ყურს მისი ახეთი მხსელობით ოლად გაკვირვე-  
ბული და გაოცებული. ასეთი რამ ჭერ არცერთი ქალისაგან არ მოესმინა ზაჲას და  
სწორედ ამის გამო უკვირდა უველაშე უფრო აღბათ.

და როცა, ბოლოს და ბოლოს ქალმა თავისი სათქმელი ამოწურულად ჩასთვალა  
და გაჩიტდა, კმაყოფილმა და გახარებულმა, რაღაცის გამო შინაგანაც აღტაცებულმა  
ზაჲამ თავისი დაკოურებული ხელისგული ნაზ, ქერა თმაზე გადაუსვა და კოველ-  
გვარი მიკიბ-მოყიბვის გარეშე. ალლად უთხრა: — შენ უველაშე ჰქვიანი ქალი ხარ,  
მარია!

— ჰმ, ჰქვიანი... — ნერვულად შეატოვა მხრები ქალმა, — ამ ჩემს მსჯელობაში  
რაიმე განსაკუთრებულ ჭერას თუ ხედავ, გამოდის, დიდი უცნაური და გამოუწოდ-  
რებელი, უიმედო გულუბრებულო ყოფილსარ, ოქრო! ადვილი შესაძლებელია ცხოვრე-  
ბაში შეგვედეს ქალი, რომელიც ჩემზე უფრო მაღლაფარდოვნად გვერდის ამას და  
მაშინ, რა გამოვიდა? მაშინ ხომ ის ქალი მოგერებენება ჩემზე უფრო ჰქვიანი? ეს,  
ვართ სიტკებით რომ განისაზღვრებოდეს ადგმიანის სიკვიანე და სიხულელე, რა-  
და გვიცირდა მაშინ? მაგრამ მოდი და დავანებოთ ახლა ამაზე მსჯელობას თავა... ეს  
მითხარი ახლა, ხაცოლე თუ გუავს? აბა იმ ტუტუც გოგოზე ფიქრს ხომ არ გადა-  
უვები თან? იცი რას გეტშვი, ვინმე შენზე მზრუნველი, მოამაგე და გულშემცირე  
თუ არ გიდგას გვერდით, ვიღაცის იმედი თუ არ გაქვს, ძნელია ისე ცხოვრება, ძნელი!  
ამას მე ჩემი გამოცდილებიდან გეუბნები აგერ. ცოდვაა მარტოდ დარჩენილი აღამარი,  
ცოდვა!

— ჟო, ძალიან ცოდვაა, მარია! — გაიფიქრა ზაჲამ და თქვა: — გამოდინ, შენ  
ცოდვა ხარ, მარია!

— აბა, არა ვარ? მაგრამ მე შეგუებული ვარ აშ ჩემს მარტობას და ახლა აღარ  
მიჰირის უკვე ძევლებურად. ახლა პირიქითაც კია: ჩემი სიმარტოვე ახლა შეებაა ჩემთ-  
ვის... შენ რაც გითხარი, იმაზე მიპასუხე, გუავს ვინმე?

— არავინ მეავს, მაგრამ ნამდვილად მეყოლება. — მაშინვე მიუგო ზაჲამ.

— მერედა როდის გეულოება, ოქრო?

— როდის და... როცა შენ იტყვა... — ორგოფულად ჩაილაპარაკა ზაჲამ.

— მეე?! — გაოცებისაგან ქალმა ფართოდ დაჭუიტა თვალი. — კი მაგრამ მე რა  
შეუში ვარ და მე რა უნდა გითხრა ანკი? რა ვალებული და მოვალე ვარ გითხრა  
რამე? შენი ძიძა და მზრუნველი ხომ არ ვარ? შენი საქმისა შენ იცი..

— არა, შენ ვერ გამიგე! — მოუთმენლად შეაწყვეტინა ზაჲამ, მისი ხელი აიღო,  
ჭერ თითებით მიუალერსა მის ხელს, მერე ტუჩებთან მიიტანა, აყოცა და დასძინა: —  
ზე შენ მინდიხარ, ძალიან მჭირდები შენ, მარია!

პასუხად ქალს ნერვული, დაძაბული, ყრუ და შეგუებული სიცილი აუტყდა. იცი-  
ნოდა რაღაცნარი სიმწრით, რაღაცნარი ბოლომით ჭა უტკავდა სიცილისაგნ  
მაღალი, ჭიშიანი მცერდი და სალუქი მხრები: — შენ, რა, დამცინი თუ რაშია ხა-  
შე? ერთი გაცემი, რა დაგიშავე ასეთი? შენ რომ დაუმსახურებლად შატკინე გული-  
ცუღა ეს, ცუდი!

— დაგცინი?! — იმდენად დიდი და გულწრფელი იყო ზაჲას გაოცება, ქალიც ქ

შინვდა ქვეცნობიერად ამას, — იცი, მინდოდა ამდენ ხანს მეოქვა ეს შენთვის, მაგრამ ვერ გაგიძედე, მარია!

ქალმა დაუჭერა და ოდნავ მოეფონა გულზე, ყრუდ დახტულად ჩააცევეთ და ჩა-  
ვარდნილი ხმით თქვა: — თუკი გინდივარ, ვინ გიშლის მერე? შენთან არა ვარ, აგრე?  
მაგრამ ისეთი, როგორიც მე ვარ, ვერ გამიგია, რაღა ჯანდაბად გინდივარ?

— მინდიხარ! — ხაზას მსმულად, კიურტად ჩაიღაბარაკა ზაზამ, — მინდიხარ და  
უშენობა გამიშირდება ძალიან... ჰოდა, რა, დაშავდება ვითომ ერთად რომ ვიყოთ?

ქალი მიუხვდა, თუ რახაც გულისხმობდა ამ „ერთად ყოფნაში“ მაგრამ გახა-  
რების მაგირ ეწყინა. ტკივილად დაუსარა სახეზე წამიერმა, უსაშველო და აზრაუ-  
ტანებელმა სევდამ; ერთბაშად მოეშვა, მოღუნდა და მოიჩხარა, კარგახანს არ დაუ-  
ძრავს ქრინტი. განაბულსა და მიჩრმათებულს მისდაცნებურად მოესტუმრა სევდიხა-  
გან ხელდარეულს ცრემლი. ტიროდა, ტიროდა დახტულად და ამავე ჭროს მთელი  
არხებით.

ზაზამ კი არ დაინახა და გაიგონა მისი ტირილი, არამედ ლამის ქვეცნობიერად  
იგრძნიო ეს. ქრე გაუკვირდა, მერე ეწყინა და გაოგნდა ლამის, კარგა ხანს ვერ იქნა და  
ვეღარ მთახერხა რომ ეთქა რამე, ენუგეშებინა როგორმე ქალი.

— რატომ ტირი, მარია? — იკითხა ბოლოს, — მე ხომ სიმართლე გითხარი,  
რახაც ვფიქრობდი იგი... შენ კი... თუ რამ გაწუნინე, მამატიო უნდა! — არა, ხომ  
შაპატიებ, მარია?

ქალმა ხელისგულით ამოწმინდა თვალთაგან ცრემლი და ნამტირალევი ხმით,  
სულუნ-სლუკუნით თქვა: — შენ არაფერ შუაში ხარ და ჩემს ატირებაში არ მი-  
გიძლევს რაიმე წვლილი. განა მე შენი ნათქვამის გამო ვტირი... მე ჩემს გამო ვტირი  
ხელოლი. ჩემი ხატირალი მაქეს, ჩემი წუხილი, დარდი და ტკივილი მაწუხებს მე,  
ზაზაა და ვტირი მე ჩემს ხატირალს, რადგანაც რომ არ ვტირო, აღა, შემიძლია!  
შენც ერთი, ყურადღებას რომ აქცევ ახეთ წყრილმანებს, აბა რაღა ქალი ვარ თუ  
არ ვტირე? ქალის ატირებას რაღა დიდი მცდელობა და მონდომება ხტირება თუ  
ლმერთი გწამს? ისე, სიმართლე თუ გინდა გითხა, ძალიან ძნელია შენმა შემყურეს  
და შემხედვარებ რომ არ იტიროს, ზაზაია! რაღა დაგიმალო და შენ მართლაც ბოთვ  
ხარ... ახეთი გულუბრყვილო, ალალი, აღვილად მიმნდობა, რომ, ძალიან გამიშირდება  
შენთან დაშორება, შენ უკელაურის ლირის ხარ, მაგრამ რა ვქნა, რა ვიყო, რა ვიშ-  
ველო და რა დაგეხმარო, როცა არ შემიძლია?

— რა არ შეგიძლია, მარია? — მოუთმენლად შეაწყეტინა ზაზამ.

— ნუ მაწყვეტინებ თუ ღმერთი გწამს და უკელაურს აგისხნი... ხმაში სიმეკრე  
ჟერია ქალს, — შენ არ იცი, და მე სულ სხვანირი ხსიათი მაქეს, მარტოდ რომ  
ვარ, მიკირს, მაგრამ, ძალიან ხშირად, სწორედ ამ სიმარტვეში ვპოულობ შეგებას.  
მე საკუთარი თავი გამოჭერილი მუავს იმაში, რომ ხანგრძლივად არ შემიძლია გავჩე-  
რდე, ლავრჩე ვინჩესან, მათ შორის უკელაზე ახლობელთანაც კი. მე ვერავინ ვერ  
დამაჭერებს იმაში, რომ ხანგრძლივად ერთად ყოფნა აღრმავებს სიახლოეს, პირიქით,  
ასუნებს, აუბრალოებს მას. მე არ შემიძლია ვინმეზე ვაჟო დამოკიდებული, ვინმე  
იყოს ჩემი მბრძანებელი. ხომ გაიგე ახლა, რაც გითხარი? ჰოდა, თუ გაიგე, მე შენ  
არასდიდებით არ გამოვალგები. გამოუსალევარი და უნდობი, რაღად გინდივარ?  
დარწუნებული ვარ, რომ ჩენენ ვერ გაუშებოთ ერთმანეთს. ხასიათებს ვერ შევუწყობთ.  
მერე მოგბეჭრდები, მეც მომბეჭრდები. : მიუვება და მიუვება მერე ასე, შეგძლევ-  
ბი და ზეც შემტულდები და თუკი ამის შემდეგ მაინც ვიქნებით ერთად... მოჩეცნებითი  
იქნება ეს, ძალულებითი ყოფნა იქნება და მეტი არაფერი. ძალულებით ერთად ყოფნა კი  
გაუთავებელი, ერთიანი ტანგვაა, მე კი ნამდვილად არ მინდა, რომ ჩენენ ღდესმე ერთმა-

ნეთი შევგძულდეს... მე ვიცი, ვინ და რანაირი ქალი გჭირდება შენ. მე კი, სამწუხა-  
როდ, ნამდვილად არა ვარ ისეთი. ვერც ვერასოდეს ვიქენები, რადგანაც ჩემი საქმე-  
უკვე წასულია და ჩემი გამოსწორება ამ მხრივ უკვე აღარ შეიძლება, შენ კირჩხმისთვის  
კი არა და ოჯახისათვის, ქმარ-შვილისათვის გაჩერილი ქალი გჭირდება. ბევრია ასე-  
თი ქალი და ალლოიანი, ჰქვანი და წინდახედული მამაკაცი ადვილად მიაგნებს ასეთს,  
მაგრამ ისეთების მოძებნაში თქვენ, მამაკაცებს, ჩემისთანები გიშლიან ხელს. იცი კი  
რატომ? იმიტომ რომ ჩენ ადვილი ალმისაჩენები ვართ. სიბართლე რომ გითხრა,  
ამას რომ გეუბნები, ძალიან ვწუხვარ და მიკვდება გული, რა დასამალია და აღარ  
შემეტები სხვისთვის, მაგრამ შენ ისეთი კეთილი ხარ, აღარც ჩემთვის შემეტები... შენ  
სულ სხვანაირი, სულ სხვა ვინზე გჭირდება და ის „სხვა“ მე არ ვარ ნამდვილად.

— იქნები, მარია, ახლა თუ არ ხარ, იქნები! — რაღაცნაირი ჭირველობით თქვა  
ზაზამ და ჭიუტად მიკუმა ტუჩები.

— ნამდვილად ვერა! — ტკიყილიანი ღიმილით, საწყალობლად თქვა ქალმა, —  
ჩემმა თავის ამბავი ჩემზე უკეთ ვინ იცის, აბა? მე არ შემიძლია შენი მოტკუბება,  
ჩემს თავს ვერ ვაპატიებ ამას. შენ დილით წახვალ და ძალიან გინდა, როცა დაბრუნ-  
დები, ისევ აქ დაგხვდე, არა? ვიცი მე, ახე რომ გსურს, მაგრამ ვერ დაგირდები მა-  
გას.

— მე შენისთანა ქალი ჭერ არ შემხედრია, მარია! — ყრუდ, დახშულად, აკვიატე-  
ბულივით თქვა ზაზამ.

— შეეცადე, ზაზაია, მოინდომე და შეგხვდება ჩემზე გაცილებით უკეთესი, შენთ-  
ვის უფრო გამოხალევი, უფრო საჭირო, უფრო აუცილებელი, უფრო გამგები და  
მოეცარული შენი!

— არა, მარია, არ იქნება მაგი, არასოდეს არ იქნება მაგი მასე და სულ ტყუი-  
ლად მეუბნები მაგას! გალიზიანებულ-ათრთოლებული ხმით შეეკამათა ზაზა, — შენე  
უკეთესს მე ვეღარ ვიპოვი და არც დავიწყებ უკეთესის ძებნას! იცოდე, ეს ბოლო  
რეისი იქნება ჩემთვის, დაგბრუნდები და მერე სულ ერთად ვიქენებით! მე და შენ,  
მარია, მე მეტი არაუერი მინდა, ოლონდ დამელოდე, ოლონდ დამისვლი, ოლონდ გუ-  
ლით დამელოდე და აღარაუერი მინდა მეტი!

პასუხად ქალი ჭერ მოწიწებით ვამბორა შუბლზე და მერე უხმოდ ატირდა ხევე.

\* \* \*

გადიოდა გემი ნაევსადგურიდან და საყვირის გაბმული, გამოსითხოვარი სალუტით  
ემშვიდობებიდან ნაევსადგურს, ქალაქს, უცელას და უცელელერს.

მოაჭირიზე მკლავებდაყრდნობილი, აღვზნებული და თვალებანთვებული ზაზა და-  
უინებული შეერთ გასცემროდა ნაევისადგომთან განმარტოებით მდგარ ქალს, რომე-  
ლისაც თეორი კაპა ეცემა, მხრებზე აპალიშიწვერილი მზესავით ქერა თმები ეყარა.  
იღვა ქალი თავაწყული, ამავი, შეუფალი და თავისითავადი, საკუთარ სრულყოლილება-  
ში დარწმუნებულ-დამზედებული, ნაში, პატიოვანი და დიდებული, ტუჩები ჭიუტად  
მოეკუმა, გასცემროდა ნაევსადგურიდან გამავალ გემს და ერთმანეთს ეთხოვებოდნენ  
ზაზასა და მისი თვალები.

თვალმოუშორებლად გასცემროდა ზაზა ქალს, მაგრამ მათ შორის გაწოლილი მან-  
ძილის გამო უკვე აღარ შეეძლო ამოკეთა მის თვალებში რამე — სიყვარული თუ  
სინაული, დაშირებით გამოწვეული სევდა, წუხილი და დარდი, დაფარული ნაღვი-  
ლი. არადა უოველ წამს, უოველ წუთს თანდათან, უზომწყალოდ და უსაშველოდ იზრდე-

ბოდა ეს მანძილი და სივრცე. უსაშველო მძიმე ტვირთივით ჭაწვა ზურგზე სევდა წუხილი ზაზას. ისე უჭირდა, ისე ეძნელებოდა წასვლა ახლა, თითქოსდა ახალებდა იყო და პირელად მიღიოდა ასე ხანგრძლივად ასე შორეულ დამქანცველ ჩეისში. უწინ კი რა სულერთი იყო ეს წასვლა მისთვის. მაგრამ იმ წასვლასა და ამ წასვლას შორის დიდი სხვაობა იყო. მაშინ, აღარავინ იდგა ნაპირზე და აღარავინ აცილებდა, აღარავის აინტერესებდა, წავიღიდა თუ დარჩებოდა, იქ იქნებოდა თუ ა. ახლა კი ნაპირზე ქალი დარჩა, ქალი — მისთვის აუტანელად საყვარელი და შეჩერეული, ერთადერთი და განუმეორებელი, მისი მიზანი და მისწრაფება, ყოველივეს ასენა, განმარტება თუ გამართლება, ქალი — ყველაფერთან გაწონასწორებული, ყველაფრის ტოლფასი... ერთადერთი სურვილი კლვდა ახლა ზაზას, შოწვეტოდა (გემბანს, გაღმომხტარის ზღვაში, სანამ ჭერ კიდევ დრო იყო, სანამ ჭერ კიდევ უსაშველოდ არ გაზრდილიყო რათ შორის მანძილი და სივრცე, დელფინივით გადგაუსწებულიყო წყალში, გაედწია, გაეცურა. მისულიყო ქალთან, მის ფეხებთან უყოყმანოდ და უშურევლად დაუყარა ყველა სურვილი, წებილი, დარდი, თუ სიხარული, ჩავლი მისთვის ხელი, ძალით ან ნებით აეძულებინა თუ დაეთანხმებინა, წაეყვანა თავისი მიზნის, სურვილის მიხედვით; წაეყვანა იქ, სადაც ფიქრობდა — სოფელში, სადაც ტირილივით, ძალის ყმულივით, მამლის ყივილივით თუ ბოჩილას ბლაგილივით ელოდა თავის მდუმარე, მიტოვებული და ნაღალატევი სახლ-კარი, და, რაც მთავარია, თავისი მიტოვებულ-მოძლებული, მაგრამ მაინც ყოველთვის დაუკიწვარი, სიბერისაგან ჩამოფხვებული, გამოხსნებულ-დაჩიავებული, მარტოობისგან გამილებისგარებული, საცოდავი და მიუხა-ფარი დედა, მის მოლოდინში თვალებამოლამებული და ვაშლის ჩირივით ჩამომჟყნარი... თუ რა იქნებოდა მომავალში, როგორ წარიმართებოდა ცხოვრება შემდგომში, ამის განსაზღვრა მას არ შეეძლო, არც დმტრი იყო და არც გულთამხილველი, მაგრამ მიაღწიო მაინც იცოდა, თუ რისი გაკეთება ეცალებოდა, რისი ვალდებული იყო, რა სესხი ჰქონდა წამოლებული და რა ვალი უნდა გადაეხადა.

სიმწრით მოკუმა ტუჩები ზაზამ და ძალუმად ჩახსინდა თითებით გლუვ მოაგირს, სატირლად გამზადებულ, მიტოვებულ ქალივით მოეკცა მზით გარუკული ჯანმრთელი და დაკუნთული სახე. კარგად იცოდა ზაზამ, რომ ამამ იყო ყველაფერი, საკუთარ თავს რომ არ ექუთვნიდა, ესეც იცოდა კარგად და ვერ მოიკცეოდა საკუთარი სურვილის მიხედვით, — ვერ მიატოვებდა უნებართვოდ გემსა და ამხანაგებს, ვერ გაბლებოდა უნებლივ მოდალატე და გამყიდველი. ჰოდა, რაღა დარჩენდა მეტი? უნდა გაეძლო ისევ! მოეთმინა და აეტანა ისევ! შეეთვისებინა ლოდინის არსი, მისი მიზვნელობა, გაეძლო როგორმე და იმედი არ დაეკარგა.

ამასობაში გაქრა კიდეც ქალაქის კონტურები თვალთახლვიდან, გაქრა სანაპიროს უკო-ბოკორ და კლაკნილი ხაზი, ნისლის ჩარსაცმლებული მთები და თვალსაწევ-რზე ამქერად ჰლვის უკიდეგან სივრცე გამეცდა მხოლოდ.

- 2. -

თანდათანობით გამოიკვეთა ჭერ ბუხტა, მერე ნავსადგური, ჩეილზე მდგარი გემები, მერე კი ნავსადგურთან მდგარი, გემის მომლოდინე ადამიანებიც გამოინდნენ და ისევ მერჩად იქცა ზაზა, ისევ ნაპირზე გადაიტანა მთელი თავისი აზრი, მიზანი, ფიქრი, განცდა და ყველაფერი საერთოდ, დღილობდა აქედან, ჭერ კიდევ ასე შორიდან დაენას, უემჩნია და აღეთვე ქალი, რომელსაც ახალჩაროებული სიმინდის ფონისური თმები ჰქონდა და სათხო, განუმეორებელი გაღიმება იცოდა.



შარიამ იცდა, თუ როდის უნდა დაბრუნებულიყო გემი, იცოდა და მარიამი  
არ მოვიდა მის დასახვედრად. ამაზე დიღი უბედურება რა უნდა კოფილიყო უნდა სტანდატის  
ვის აა? მოწყენილ, კრიჭაშეკრულსა და სახეჩამოლამბულს შავი ჩანთა ეჭირა ხელში  
და დინგი, მეზღვაურული რწვევით მიყვებოდა გვერდით ანტონს — ბოცბანს,  
გულეკითლისა და მრავლისმნახველ კაცს, რომელიც ძალიან უყვარდა ზაზას. ბოცბანი  
დუმდა, მაგრამ მასავით დარღანი როდი იყო, ანტონებით განუშორებელ ჩიბუქს  
და ალერსიანი, მოციმციმე სხივაჩარი თვალებით მონატრებული კაცის იერით  
ათვალიერებდა უკლასა და უკლაცერს.

— ხომ ხედავ, არავინ დაგვხვდა, ანტონ! — ვერ დაფარა გულისტყივილი ზაზამ.

იხეთი წუხილი, იხეთი სევდა და სიმძიმილი ამისებითხა ამ სიტუებში ანტონმა, წამით შეჩერდა, შეაცემადა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გაღაიციქირა და უხმოდ განაგრძო გზა. იცოდა კარგად თავისი შეუმცდრი გამოცდილებისა და ინტუიციის წყალბით ბოცბანა — რაკილა ახეთ დროს არ გვდებიან, არც არავინ გლობურა, არც არავის ახსოებარ და ჩამოხვალ თუ არ ჩამოხვალ, სულერთია მისთვის, მხოლოდ კარგახნის ღუმილის მერე ჩილაპარაკა მოგონილა არენინბით ანტონმა: — მე არა-ვის ველოდი, არც არასდროს მექნინა ვინმეს დახვედრის იმედი! — გაჩუმდა, პაუზა გააკეთა მერე და განაგრძო: — შენ კი... ხელი შეეშალა იქნება. განა არ ხდება ახეთი რამ? რა მოხდა მერე? ხომ არ ჩამოქცეულა ქვეყანა? მისამართი ხომ იცი მი-სი? ჰოდა, ამაზე ადვილი რა არის? მიღი, მიაკითხე სახლში და ის იქნება! — თქვა ეს ანტონმა, სწრაცად, დამნაშავესავით აარიდა თვალი — თავისი ნათვების სიყალე და დაუკერებლობა თავად გაჟუკირდა და შერცხვა. გამოცდილი იყო ახეთ საქმეში და დანამდვილებით იცოდა — ქალს, თუკი ნამდვილად უყვარდა იგი, ამდენი ჩინის განშორების შემდეგ ვერავითარი საქმე და დაბრკოლება ველარ დაკავებდა, აუცილებლად მოვილოდა და, რაკილა არ მოვიდა, გამოიდის, რომ...

— ჲო, სახლში მივაკითხავ და ის იქნება! — ჩაილაპარაკა ზაზამ დაიმედებული ხმით, — მოულოდნელად რომ მივადგები, უფრო გაუხარდება, ანტონ, არა?

— კი, ახე იქნება ნამდვილად!

ჭუჩა განვლეს, უკან მოიტოვეს ვრცელი მოედანი და ცენტრალურ უნივერსიტა-თან შეჩერდნენ. ზაზამ ყოფანით შეხედა ანტონს; რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ ეუხერხულებოდა, ვერ გადაწყვიტა ეთქვა თუ არა, ბოლოს თქვა მაინც გაუბედავად: — შენ სადმე ხომ არ მიგერჩერდა, ანტონ?

— კარგა ხანია არსად არ მიმეჩარება და აღარც არავინ ელის მოუთმენლად ჩემს მიხედვას! — რაღაცანირი სევდით, მწარე ჩაცინებით მიუგო ანტონმა. — რა იყო, რა-ტომ შევითხები? რამე ხომ არ გინდოდა?

— რატომ და... შენ ხომ არ წამოშევებოლი, ანტონ?

— საღ, კაცო?

— იქ, იმ ქალთან, ანტონ...

— კი მაგრამ, მე რაღა საჭირო ვარ? ისე, თუ შენ თვლი რომ საჭიროა, მაშინ...

— თუ წამომცვები, კი მინდა, ანტონ!

— თუკი ახეა, ჩემი თავი გენაცვალოს!

ისევ განაგრძეს გზა. ვაწრო, უტროტუარო, მისვეულ-მოხვეულ ჭუჩაზე გაღავიდ-ნენ და მერე ერთ-ერთ ჩიხში შეუხეის. ძევლი, უამთასევლისაგან ჩამორცებილ-გამოხუსებული ორსართულიანი სახლები წამოხილიყვნენ ირგვლივ. ჩიხის ბოლოში, გადრე თუ გვიან დასანგრევად განწირულ ირსართულიან სასლოთან შეჩერდნენ. ურებო-ადრე თუ გვიან დასანგრევად გვერდობას მოთამაშე ბავშვების ურიამული არღ-და თოვზე გაფენილი თეთრებული, მყუდრობებას მოთამაშე ბავშვების ურიამული არღ-



აქ, ამ სახლის მეორე სართულზე ცხოვრობდა ის ქალი, რომლისკენაც ასე მიიღო <sup>143</sup> გელა ზაჲა, რომლის მონატრება და ნახვის სურვილი უკელაცრის ტოლფასი რომ გამ-ხდარიყო მისთვის. სწორედ მათან უნდა ასულიყო ახლა ზაჲა, რათა თავისი მოულო-დნელი გამოცხადებით გაეკვირვებ-გაეხარებინა.

ანტონმა მიმოისედა და უკმაყოფილოდ თქვა: — ნალდი საღორეა, კაცო! შენ ადი, მე აქ დაგელოდები, — შხარე შოუთათუნა ხელი, კიბის მახლობლად, ხის გადანაჭარ-ზე ჩამოჭდა და დიდის ამბით შეუდგა ჩიბუხის გაწყობას.

ზაჲა ფრთხილად აუყვა ბებრის კბილებივით გაცევთილი კიბის ხის საფეხურებს.

ანტონმა ჩიბუხი გააწყო, მოუკიდა, ჭერ შეხედა კიბეზე ამაგალ ზაჲას, მერე კი ფიქრიანი მზერით დაახერდა მიშასა თუ საკუთარ ფეხებს.

„როდის-როდის კიბის საფეხურების ჭრიალმა გამოიყანა ფიქრილა ანტონი. თა-ვი ააღია და მაშინვე მინვდა უკელაცერს. რააც ცნაირი გამომეტებულება ამბეჭდოდა სახეზე ზაჲას — უცნაური, დაბრეული და სეყდიანი, ზურგზე მხიმეტვირმოწყოდებუ-ლივით მიმდე, წელში მოდრევილი, ჩამოდიოდა კიბეზე ზაჲა და დამაზაგესვით ჩა-მოეშვა ხელები დაბლა. ცალ ხელში ქალალის ნაგლები ეჭირა... როგორც იყო ჩამო-თავი კიბე, შეჩერდა ანტონთან და დაპირა რაღაცის თქმა, მაგრამ ცედარ თქვა. აღარც ანტონს უკითხავს რამე, რადგანაც იცოდა, არაფერი არ უნდა ეკითხა ახლა, უნდა დალოდებოდა მხოლოდ.

ბოლოს ისევ ზაჲამ დაარღვია დუმილი, ხმაურით გადაყლაპა ნერწყვი და ღრეჭვით, ჩავარდნილი ხმით თქვა: — წასულა, ანტონ!

თანაგრძნობით შეხედა ბოგმანმა, ახრჩოლებული ჩიბუხი ერთი ხელიდან მეორეში გადაიტანა და, თითქოსდა თავისი სათქმელი კი არ თქვა, არამედ ზაჲას ნათქვამი გაიმეორა: — წასულა, ეხე იგი...

— ვი, აღარ დაუცდა, ანტონ!

— ეხე იგი... — დააიწყო და აღარ დაამთავრა ანტონმა. თანაგრძნობით შეაცემა-და თვალებში, უცემირა კარგა ხანს ასე, მხარზე მოუთათუნა მერე ხელი და მოგონილი სიმშეიდით დასძინა: — რა მოხდა მერე? ჰაიტ, შენ გლახა! ქალის მეტი რა ყრია, ბიჭი? წავიდა და... — ხელი ჩაიძნა და გვერდზე გააფურთხა.

— ევმ, ანტონ, შენ რა იცი, რა იცი შენ!

— ვიცი ბიჭო, მე უკელაცერი ვიცი და იმიტომაც გეუბნები!

— ვერ მეუბნები სწორად, ანტონ!

— რატომ, მაინც?

— ქალის მეტი რა არისო... რად მინდა მე სხვა ქალი? ის სულ სხვა ქალია, ანტონ!

— არ უგავს რაღაც... ქალს, რომელსაც დაცდა, ლოდინი არ შეუძლია, რაღა ქა-ლა? ჩომ ხედავ, არ დაგიცად?

ზაჲამ ხივარეტი ამოაძერინა ჭიბიდან, მოუკიდა, ბოლმიანად გააბოლა, დამბლიანივით უტოკავდა ტუქჩები და უკელაცდა დასიცულულივით თვალები.

— იგი სულ სხვა ქალია, ანტონ! — თქვა ბოლოს ჭიუტად, დაფიქრებით და აკვია-ტებულად, — იგი სულ სხვა ქალია ანტონ, — გაიმეორა ისევ.

— მაინც როგორია, ბიჭო?

— შეც არ ვიცი, ხახელი ვერ მომიძებინა, ანტონ!

— ჰაი, ჰაი რომ არ იცი! — ანტონმა ღრმად მოქანა ჩიბუხი და წამოდგა, — ახლა რაღას აპირებდე? არ წავიდეთ ამ საჯანდაბე ალგილიდან?

ქალალის ნაგლები რომ ეჭირა, ის ხელი ასწია ზაჲამ, ბრმასავით მიიტანა სახეს-თან, დააცემარდა და ჩაილაპარავა: — მე უნდა წავიდე, ანტონ!

— მე აქ დავრჩე? მეც არ მოვდიგარ?

— შენ ვერ გამიგი, ანტონ.. მე უნდა წავიდე იქ.

— სად, ბიჭო?

— მასთან, იმასთან... იმ ქალთან, ანტონ!

— სად ცხოვრობს ის ქალი ახლა?

ზაჲმე პასუხად უხმოდ გაუწიოდა ქალალდის ნაგლეჯი. ანტონმა გამოართვა, დააც-  
ქერდა, უალი თვალი მოჰუტა და საყვედლურით უთხრა: — ხომ არ შეიშალე?! იმ ქვეყ-  
ნის დასალიერში, იმ ქანპისათვის რა წაგიცვანს?

— მარია კახპა არ არის, ანტონ!

— არა, ჩანს რომ ანგელოზია!

— კი, ასეა ნამდვილად.. აბა რა ვქნა ანტონ? — ეს ისეთი ნათქვაში იყო, ისეთი  
დაბნეული და საცოდავი სახე ჰქონდა ამ დროს ზაზას, წამით დაიბინა ანტონი, უკვი  
აღარც მან იცოდა, რა ეფევა, რა ერჩია მისოვის, რა გზაზე დაუყენებინა, მიხვდა, ახლა  
მხოლოდ ის ერთი გზადა დარჩენოდა ზაზას — ქვეყნის დასალიერზე მიმავალი, ეს  
რყო მისი ერთადერთი გზა, სხვა გამოსავალი რომ არ არსებობდა მისოვის, მიხვდა  
ამასაც ანტონი, მაგრამ მაინც წყალწალებულივით მოექიდა ხაესს და იყოთა: — რაო,  
ჩემთან ჩამოვიდესო, დაუბარებია?

— არა, არაუერი დაუბარებია... მეზობლისათვის დაუტოვებია ეს მისამართი და  
უთქვაში, რომ დაგეირდე, ამ მისამართზე მომწერეო.

— შმ, აბა რა იმედით მიდისარ, ბიჭო? იქნება აღარც ახსოვხარ, აღარც უნდისარ,  
გათხოვილა იქნება კიდეც...

— გათხოვილი! — სიმწრით მოექცა ამის გამგონეს სახე, ღრევით მოყუმა ტუჩე-  
ბი და თქვა: — ვერ დავიჭერებ, ანტონ! ვერ გათხოვდებოდა მარია! გაჩუმდი თუ  
ღმერთი გწამს!

ზწარედ ჩაიცინა ანტონმა: — ეე, ზაზაია, ჩემთ ზაზაია, მე კი მწამს ღმერთი და  
მაცხოვარი ჩევნი, მაგრამ მაგ შენს სიყვარულში ღმერთის ხელი რომ არ ურევია,  
ამდენს კი ვხვდები, მე!

წამით ღუმილი ჩამოვარდა. ღრმად მოქანა სიგარეტი ზაზამ, შორს მოიხროლა  
ნამწვი, მაშინევ მოჟყიდა მეორეს და თქვა გაღილიზანებულად და ჭიუტად: — არ და-  
ვაგიშულებოდი მე მას, ანტონ, არ დავაგიშულებოდი!

— ღმერთმა ქნას, ბიჭო! — ნეკაპ მოიქექა ანტონმა და ჩაფიქრებით განავრძო:  
— ვინ იცის, იქნებ ვცდები და მართლაც ახსოვხარ იმ ქალს. თუკი შენ გვერა რომ გიც-  
დის, ახსოვხარ ნამდვილად მაშინ უნდა წახვიდე მასთან, ცოდვაა თუკი გიცდის და  
ახსოვხარ, როცა გიყვარს, სიშორე დაბრკოლება არა! როდის გიცდა მაინც წახვლა?

— რაც ადრე წავალ, მით უკეთეხია, ანტონ! ვიცი მე, მაინც ვერ მოვიცდი,  
ვიდარ გავჩერდები აქ!

— ვიცი, ვიცი...

— ანდა კი... შევიდეთ საღმე, ანტონ, ჩამოვგდეთ, ჩევნი დაბრუნება ადგნიუნოთ,  
ანტონ! გზა დამილოცე თანაც!

— წავიდეთ! — ანტონმა მხარზე მოუცაცუნა ხელი.

იდგა მიეკით კართან სულიერად / აფორიაქებული, მოლოდინით აღსავხე, მოუთ-  
მენლობით შეცრუბილი და გარკვევით ესმოდა, თუ როგორი ხიჯიუტით, დაუინდით  
წკირიალებდა კარს მიღმა, მისუმებულ ბინაში ელექტროზარი. ახლა მხოლოდ ეჭირ რამ

სურდა, ერთადერთი რამ უნდოდა მხოლოდ: გეგონა კარს მიღმა ნაბიჯების ხმა, გა-  
დებულიყო ეს საჭანდაბე კარი და დაენახა ქალი — დიდი ხნის უნახავი და უსაშეფლის მონაცემები...

იდგა, ამაოდ აჭერდა ზარის ღილაკს თითს და რაც დრო გადიოდა, უცრო და  
უცრო უწყდებოდა იმედი. მის ადგილზე მყოფი სხვა კარგა ხანია მიხვდებოდა რომ  
ალარავინ იყო სახლში, აღარავინ კარის გამლები, აღარავინ გამოიხედავდა გარეთ,  
აღარავის გაუკირდებოდა და აღარავის გაახარებდა იმისი მოულოდნელი დანახვა.

ბოლოს, როგორც იქნა, მოწყვეტით ჩამოუშვა ხელი, დახარა თავი, დააჩერდა ბე-  
ტონის იატაკს. უულად, მიუსაფარად, იგრძნო თავი და განუკითხავმა, ულმობელმა  
სევდამ დარია უმოწყალოდ ხელი.

— რა ვქნა ახლა მე? — გაიფიქრა თუ წყნარად, უხმოდ შეეკითხა საკუთარ  
თავს.

რა უნდა ექნა — სწორედ ეს იყო მთავარზე-მთავარი საკითხავ-გასაგები ახლა.  
წასულიყო საღმე, გაეარ-გამოეარა, თვალისოვის წყალი დაულევინებინა, დრო მოეკლა  
და შემდეგ ისევ მობრუნებულიყო და განეგრძო ლოდინი? მაგრამ რომ დალოდებოდა,  
ხომ უნდა სცოდნოდა დანამდვილებით, რომ ქალი აღრე თუ გვიან ნამდვილად მოვიდო-  
და! იქნება, ვინ იცის და, უკვე აღარც კი ცხოვრობს აქ და ეს მისამართი უკვე გახუ-  
ნებული, გამოუსაღებარი და უვარების მისამართია!. იქნება წასულია სადმე... ანდა  
კიდევ... გათხოვილი... — ესეც იგარაულა, მაგრამ ამ გარაულმა ისე შეაშინა, ისე და-  
აფრთხო, მაშინევ უარყო იგი, როგორც შეუძლებელი რამ, როგორც სრულიად წარ-  
მოუდგენელი. არა, ამისი დავერება მას ნამდვილად არ შეეძლო. საერთოდ, ლოდინი  
ჰირისღესავით უგავრებოდა, მაგრამ უსაროდა თუ უჭირდა ლოდინი, ახლა ხევა გამო-  
სავალი არ დარჩენოდა და უნდა ეცადა. ზურგით მიეყრდნო კედელს, სიარეტი  
ამოიღო და მოუკიდა. ეწეოდა ჩაფიქრებული, საკუთარ ფეხებს დააჩერებული და რაზე  
ფიქრობდა, მანაც არ იცოდა ახლა, კიბის მოაწირთან მდგარი, მარტოდმარტო და  
თამაჯოს ბოლში განვეული, ჭანჭყრობში ჩათვლებით ყამიყურებოდა...

სიგარეტი ჩაილია, მეორეს მოუკიდა, ფეხზე დგომით რომ დაიღალა, ჩემოდანე  
ჩამოქდა. სწორედ ამ დროს, სადღაც მახლობლად, რაღაც ახმაურდა, ერთ-ერთი ბინის  
კარი გაიღო და რომელიდაც დედაბერმა გამოიხედა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვ-  
დნენ. იგი მიესალმა დედაბერს. დედაბერმა ძუნწად დაუქწია თავი და იქვით მიაცემე-  
და. — რას ელოდები აქ? — იყითხა ჩახლოებილი ხმით.

ზახა ფეხზე წამოდგა, ბიგი გადადგა მისკენ და აუხსნა ცველაფერი.

— მარინა? კი, აბა, აქ ცხოვრობს, აქ!

ეს რომ გაიგონა, იგრძნო, როგორ მოეშვა გულზე და ამოისუნთქა მშვიდად:

— რამდენი ხანია ველოდები.

— მერე რას ელოდები? არ იცი სამსახურში რომა? საღამომდე არ დაბრუნდება.

— მაღლობელი ვარ თქვენი, დედი!

— რაში მიხდი მაღლობას? — გაუკვირდა დედაბერს.

— რაში და.. აქეთ როა, სამსახურში როა, საღამოს რომ დაბრუნდება... წავედი  
ასა ახლა, გავივლი ცოტას, საღამომდე დიდი დროა, გავიუვან დროს და მოვალ მერე!  
— თქვა ეს, აიღო ჩემოდანი და დინჯად დაეშვა კიბეზე.

— შენ შორიდან ჩამოიდი? — იყითხა დედაბერმა.

— ძალიან შორიდან! — თავი არ მოუბრუნებია, ისე დააკმაყოფილა მისი ცნობის-  
ზეყვარებობა და განაგრძო კიბეზე დაშვება.

დრო რომ მოეკლა, ლამის მოელი ქალაქი მოიარა, რა არ ნახა, რა არ დაათვალი-

ერა, მერე რომელიდაც კაფეში დანაყრდა, იქედან გამოსულმა საგაზეთო ჭირში გადასახლები შეიძინა, ჩამოჭდა სკვერში და გაზეთი გაშალა.

...ავიდა მეორე სართულზე, შეჩერდა მიყეტილ კართან და გაუბედავად და მოძლოდინებ დაჭირია ზარის ლილაკს თითო. ამჯერად ნამდვილად გაუმართლა და უკვე აღარ დასჭირვებია დიდი ხეის ლოდინი — ჭერ ნაბიჯების ყრუ, დაბული ხემ გაიგონა, მერე საკეტის ხმა, არი გაიღო და ჸაზშ დაინახა კილეც იგო... ქალი ოდნავ შეცვლილი მოეჩევნა, სახე ოდნავშესაჩხნევად ჩატეტკვიდა, თვალები უძინარივით ამოღამებოდა და დასუსტებულიყო კიდევაც ოდნავ. მაგრამ მიუხედავად უკველივე ამისა, ალბათ მონატრების ბრალი თუ იცო, უფრო ჭარვოვანი, უფრო ნაზი და სათონებით აღსაცე ეჩევნა იგი ზაზას. თუმცადა რა მნიშვნელობა ჭეონდა ახლა მისთვის ახე იკო თუ ისე? მთავარია, მას ხედავდა ისევ, ისევ ხედავდა მის მხრებზე ჩერივით ჩამოშლილ ქერა თმასა და მის სახეს...

ქალს რამდენიმე წამს ხმა არ ამოუღია, გაუკითრებული, გაკვირვებაჩამდებარი თვალებით უხსცეკეროდა. და მლოცველივით ატკებდა რატომდაც ტუჩებს. იდა ზაზაც, მონუსსულივით უხსცეკეროდა უხმოდ და ვეღარც მას მოეცრებებინა ეოქვა რამე, დაეძია კრინტი და ოდნავ მაინც გამოეხატა თავისი ალტაცება, უსაშველ სისატული, ეს უოლისძლიტევი მონატრება.

მერე ისევ ქალმა ჭარლვია დუმილი, გაუბედავად გადადგა ნაბიჯი, მივიდა ახლოს, სულ ახლოს, ჩეხებია, მიეტმასნა და უკელა სათქმელი მხოლოდ ერთ სიტყვაში გამოხატა: — ზაზა!..

— მარია! — ზაზამ ხელმეორედ გაიგონა მისი სუნთქვა, უეიგრძნო ხელმეორედ მისი თმების სურნელი და მანაც ვერა თქვა ვერაცერა მეტი.

— ღმერთო ჩემი! — ქალს მოულოდნერებული ცრემილი მოესტუმრა თვალებში და უქმოდ ატირდა: — ზაზაი, სულელო, გულუბრევილო, ალალო ბიჭო!

კმაყოფილი, დამშვიდებული, იმისი თმების სურნელითა და სუნთქვით გაპრეცებული, იმისი ცრემილით მოგადოებული ზაზა, თავის დაკორებულ ხელისგულებს, რაც უეკლო ნაზად უსვამდა თმაზე ქალს და იღიმებოდა მხოლოდ მისთვის გასაგები, იღუბლი, გამოუცნობი, გამაძლარი კაცის ღიმილით.

\* \* \*

ქალმა მხარზე ჩამოადი ხელი, შეაციცინდა თვალებში და შემპარავი ხმით ჰეთხა: — ზაზაია, ბიჭო, მაინც მომდებნე, ოქრო? — ამ შეკითხვაში კმაყოფილებაც იყო, მიჩიქმალული სიამაჟეც და ერთგვარი წუხილიც, დაფარული უკმაყოფილებაც.

ზაზაზ ნელა დაუქნია თავი: — ჩამოგაყითხე, მარია! აბა რა მექნა? უშენობა არ შემეძლო. უენ კი არ მოიცადე, არ დამელოდე და... რა უნდა მექნა აბა მეტი?

ქალმა ნელა შეატოკ-შეარსია მხრები და თქვა: — რომ დაგინახე, იცი რა ვინატრე? რატომ მისამართი დაგტოვე-მეოქი! მაგრამ როგორ წარმოვიდგენდი, ამისიშორეზე თუ ჩამოხვიდოდი, ოქრო! მეგონა დამივიწყებდი, და...

— უენს თავს რა დამავიწყებს, მარია? — დაიღრიგა ზაზა, — ეს რამ გაფიქრებინა ჰაინც?

ქალმა უუბლი შეიტმუხნა, მუხლებზე დაწყობილ ხელებს დააცერდა და ჩაილაპარაკა: — ცულია, მაგი, ცული!

— რა არის ცული, მარია?

— ვერ მიხვდი? ჩემი დავიწყება რომ ვერ შეძელი, ესაა სწორედ ცუდი! — გა-



ნუმარტა ქალმა, — გახსოვს, რა გითხარი მაშინ, იმ ლამებს? ვერ გამოგადგები მე, ეს კრებული გავხდები შენოვის საჭირო და აუცილებელი-მეთქი, ოქრო!

— რას ამბობდე?! — უდარდებული კაცის გაცინებით, არხეინად გაიცინა ზაჟამ, — ჩემშე უფრო ვინ იცის, გამოლებები თუ არა ჩემთვის?

ქალმა ხანგრძლივი, დაკვირვებული მზერა მიაპყრო, დანანებით გააქნია თავი და მწუხარედ თქვა: — ეემ, რომ იცოდე, როგორ ცდები, მაგრამ რა ვენა, რა გიყო, რა გიშველო და რა გისაშევლო, როცა შენი დარწმუნება არ შემიძლია? ანლა ერთი ეს მოთხარი, რამდენ ხანს აპირებ აქ დარჩენას?

ზაჟა შეაცმუნა ამ შეკითხვამ და გაკვირვებული მზერა მიაპყრო: — რატომ მე-კითხები მაგას? ეს-ესაა ჩამოვდი და... მე სულ ჩამოვდი, გამიგე, რასაც გულბრძები— არ შემიძლია მე უშენობა, არ შემიძლია, — სახეზე წუხილი გამოეხატა, სიგარეტს მოუკიდა და განაგრძო: — ხანამ აქ იქნები, მეც აქ ვიქნები, წახვალ საღმე და მეც თან გამოგყვები!

ქალმა იგრძნო, ის რაც ეს-ესაა გაიგონა, რაიც საკუთარი უურით მოისმინა, უკელაუებრი ალალად იყო თქმული, პირდაპირ, გაჭრილად და მის ადგილას მყოფ ყოველ ქალს, ვინაც და რანაირიც არ უნდა ყოფილიყო იგი, სადაც სამართალია, უნდა განარებოდა ეს, აქლოს უნდა მიეტანა გულთან, გაეგო, შეეგრძნო და ეთანაგრძნო, მაგრამ მას ლენვადაც არ განარებია ეს. პირიქითაც კი იყო — ეწყინა და ძლივს მოახერხა ამ აშკარა წყენის დაფარვა. იგი სულ სხვანაირად ანგარიშმობდა და საზღრავდა. მიუჟედავად უკელაურისა, მან დანამდვილებით არ იცოდა, ნამდვილად უყვარდა იგი ზაჟას თუ ეს უბრალოდ მისი უცნაური, დროებითი ვატაცება იყო, მაგრამ პირველი იყო თუ მეორე, ესეც რაღაცას ნიშანვდა, ესეც დიდი საქმე იყო და ამაყობდა კიდევ ქალი მით, მაგრამ ამის გამხელა არ შეეძლო და არც სურდა, იგი რატომლაც იმაში იყო დარწმუნებული, რომ ისინი დიდხნები მაინც ვერ შეტჩებოდნენ ერთმანეთს, ხასიათებს ვერ შეუწყობდნენ და ბოლოს იძულებული გახდებოდნენ დაშორებოდნენ ურთიერთს, ჰოდა, თუკი ნამდვილად ასე უნდა მომხდარიყო, მაშინ რაღა საჭირო იყო ეს დროებითი, მოჩვევებითი ერთად ყოფნა? ახლა მისი მიზანი იყო, რომ როგორმე დაერწმუნებინა თავისი გადაწყვეტილების აბსულულობაში ზაჟა, იცოდა, ძნელი იქნებოდა ეს, მაგრამ მას ცდა არ უნდა დაეკლო, რათა, საბოლოოდ, იგი მართალი დარჩენილიყო საკუთარი თავის წინაშე.

— ჭირვეულ, ჭიუტ ბავშვივითა ხარ და მეტი არაუერი! — ჩაილაპარაკა უკმაყოფილოდ, ამოითხრა და კიდევ ერთხელ შეეცადა ამას.

ბოლოს, ვერაცერს რომ ვერ გახდა, ხელი ჩაიქნია, დალლილივით ზანტად, მძიმედ წამოდგა, ვაშამს მოვამზადებო, თქვა და სამზარეულოში გავიდა.

ზაჟამ მზერა გააყოლა, ადგა ისიც და თავდახრილი, ნიკაპის სრესა-სრესით, დაფიქრებით დაიწყო ბოლოთის ცემა ითახში.

#### 4.

მატარებლის ბილეთი რომ აიღო, ასე ეგონა, უკვე ალარაცერი საერთო ალარებონდა არც ქალთან, არც ამ ქალაქთან და ალარაცერთან საერთოდ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რომ წასვლა ძალიან უჭირდა, ესეც ცხადი იყო. არასოდეს ჩავარდნილა იგი ასეთ გამოსუვალ, საორგოფ მდგომარეობაში. წასვლაც რომ უჭირდა და უჭირდა, მაგრამ დარჩენაც არანაკლებ საძნელო გამხდარიყო, რადგანაც უკვე აღარ შეინდა აზრი აქ დარჩენას. მას უკვე მტკიცედ სხეროდა, რომ ქალს ალარ უყვარდა იგი. სხვა უკვე არაუერი, ეს ქალისავე საჭციელში, მის მიხრა-მოხრაში გამოიხატებოდა, მის

მიმიკაში და უცელაფერში საერთოდ. სიყვარული ერთია, მაგრამ უცელაფერულობა საძნელო და საწუხარი სწორედ ის იყო, რომ ქალი ბოლო ხანებში თითქონდა ვერც კი ამინევდა მის არსებობას. იყო თუ არ იყო, ხედავდა თუ ვეღარ ხედავდა, სულერით გამხდარიყო მისთვის, ამისი დანახვა კი არა, დაუნახაობა იყო ძნელი. და სწორედ ეს უკლავდა გულს ზახას, სწორედ ეს აღმუოობდა უცელაშე უფრო. მოხდა სწორედ ის, რასაც ქალი წინასწარ ფიქრობდა და ვარაუდობდა: ერთად ყოფნა ტანგ. ვად გადაეჭირა და ამაში ზაზა რომ არ იყო დამნაშავე, არ ჰქონდა ამას არსებითი მნიშვნელობა. ჰოდა, როცა ნამდვილად ასე იყო ეს, მაშინ რალა აზრი ჰქონდა მის აქ დარჩენასა და მათ ერთად ცნოვრებას?

მიუხედავად იმისა, რომ უცელაფერში ქალი იყო დამნაშავე, მაინც ვერაცერს უსაყვედურებდა მას, იცოდა, არ ჰქონდა ამისი უფლება, რადგანაც ქალი წინასწარვე აფრთხილებდა ამის უხსახებ... ადვილი უხსაძლებელია, ქალს არასოდეს უცარებია იგი და მთელი იმ ხნის გამავლობაში, რაც მათ ერთად გაატარეს, მხოლოდდა ანგარიშს უწევდა ზაზას არსებობას. მას, ზაზას კი, მისდა სამწუხაროდ, ახლაც უცარდა იგი და იცოდა ისიც კარგად — ძნელი რომ იქნებოდა ამისი დავიწყება. სწორედ ეს იყო მისი ჭირი, უბედურება, დილემა და ჭიროხეთო.

ახლა კი გავიდოდა სადგურიდან მატარებელი და საბოლოოდ დაესმებოდა წერილი მის აქ ყოფნას. მხოლოდ ყოფნასა და მეტს არაფერს, რადგანაც მისი წასვლით რომ უცელაფერი არ მთავრდებოდა, ეს მასაც კარგად იცოდა. იცოდა ზაზამ, სადაც არ უნდა წასულიყო, ვერსად გაეცეოდა საკუთარ თავს, საკუთარ ჩრდილივით თან გაპყვებოდა ეს უკულმართული, აკვატებული სიყვარული და არ მისცემდა მოსვენებას და გასაქანს. დარჩენა კი... ვაგლას, აღარც დარჩენა უექძლო, რადგანაც ვერ უექძლებდა მდგმურივით დარჩენილიყო აქ და აუღლებელდა ეჭირა, აეტანა, გაეძლო; მას არ უეგძლო დაერასა, თუ როგორ აშეარად ცვლილა ქალი სხვაში, სხვა მამკაცში, ზაზას კი აღარაფრის გაეთობა აღარ უექძლო უკვე. ცდა არ დაუკლია, ყოველგვარი საშუალება ამოწურა ზემოქმედებისა. და, როცა მიხვდა, ამაო რომ იყო უოცელივე და უკვე ვერასდიდებით ვერ უშმოაძრუნებდა თავისკენ ქალს, უიმედოდ ჩაიქნია ხელი, ეს იყო მხოლოდ — რაც მის გარშემო ხდებოდა, ამისი უეგუება აღარ უექძლო.

დამდაცობით, ძილგატეხილი და სიმშვიდედაკარგული, სულ ამის გარშემო ფიქრობდა, მაგრამ ვეღარც ამ ფიქრშიაც პოულობდა რაიმე საშველ-სახიდებელსა და კონკრეტულ გამოსავალს.. იქნებ ვერ ხედებოდა და უცელაფერში თავად იყო დამნაშავე, იქნება, თავადვე იყო მიზეზი ქალის ახეთი შეცვლისა! მაგრამ არა, რაც დრო გადიოდა, მართალი რომ იყო საკუთარი თავისა და ქალის წინაშე, ამაში თანდათანობით რწმუნდებოდა.

ახლა კი... რამდენიმე საათში მატარებელი გავიდოდა და... იქნა მაგიდასთან და წამიწამ ახრჩილებდა სიგარეტს შეწუსებულ-აფორიაქებული, დარდიანი და ფიქრიანი, მაღმალე გადახედავდა თავის გაცვეთის ჩემოდანს, რომელიც გასასვლელის მახლობლად იდო და ულმობლად ახსენებდა წასასვლელი რომ იყო... .

წილი უკვე ნაყარი იყო, გადაწევეტილება გამოიტანილი და ახლა აღარაფრის შევლა არ შეიძლებოდა უკვე. მაგრამ მაინც ჩრდიბოდა რალაც გასარკვევი თითქოს და ეს „რალაც“ იყო სწორედ ის, რის გამოც უოუმანობდა ისევ, ბჟობდა გუნებაში, ისე სწუხდა, განიცდიდა და დარღობდა. გულისამყოლი კაცი იყო; მტკიცე ნებისყოფით არც არასოდეს გამოიჩინდა და ააქოთ რალ პირველი შემთხვევა როდი იყო მის ცხოვრება-ში, და, ვინ იცის, თავისივე ხასიათიდან გამომდინარე, კიდევ რამდენჭერ შეცდებოდა ცხოვრებაში.

— ემს, რაც იქნება, იქნება! წავალ და მოხდეს რაც მოსახლენია! აბა, რაღაც დამჩრენია მეტი? — გაიფიქრა თუ დაიჩრებულა ზაზამ, ნამწვი საცერტლეში ჩააგდისია, ადგა, ჯიბეში ჩაილაგა ხელები და ბოლოთის ცემა დაიჭირო თოთაში. რავა თვე იცხოვრა აქ, ამ თახში, ამ სამყაროში და ყოველი ნივთი, ყოველი საგანი, ასე ანდობელი და ნაცნობი იყო მისთვის, რაღაცნაირად საჭირო, აუცილებელ-განუმეორებელი, ასელა კი უკანასკნელად ხედავდა მათ, თვალიერებდა, აკვირდებოდა, თითქოსდა რაღაცნაირი სიჭიროთ ცდილობდა ამას, რათა კიდევ დადგანს დამასხოვრებოდა ისინი.

— რა კარგად ვიქენებოდით ახლა, როგორ კარგად, შეხმატკბილებულად ვიცხოვრებდით! ჩვენც ხომ შეგვეძლო ბედნიერი ვეოულიყუავით და გვევარებოდა ერთმანეთი? ღმერთო ჩემო, ვინ წარმოიდგენდა წინასწარ ამას? ვინ იფიქრებდა და ვინ განსაზღვრავდა წინასწარ ამას? მაინც რატომ მოხდა ყოველივე ეს? რატომ, ღმერთო, რატომ? ნუთუ, ანტონის თქმისა არ იყოს, ჩემს სიყვარულში უნ მართლაც არ ერიე, ღმერთო? ნუთუ ის კაცი, რომელშიც გამცვალა, ჩემზე რაიმეთი უკეთესია? ნუთუ...

არა, აბძურდი იყო ამაზე ფერი, ბჭობა ამაზე, სისულელე და სისაძგლე. თავადაც აიხვდა ამას და რაღაცნაირი მანქვით, განუსაზღვრელი ზიზღითა და საკუთარი თავის მისართ უცელებით გაიღიმა ზაზამ. გადაიმება თუ ქვიოდა ამას საერთოდ, რაღაცნაც ისე შეცნდა სახე მოქცეული ამ დროს, ტირისო, იფიქრებდა ნამდვილად იმისი შემხედვარე.

შეჩერდა, ნიკაპი მოისრისა, შეხედა კედლის საათს და გაიფიქრა ისევ: — სამუშაო დამთავრდა და ახლა სახლში უნდა იყოს უკვე. იგი კი ჩვეულებრივ შეუადგეს კარს. ალბათ ახლაც იმ კაცთანაა, და... — და სახე მოეპრანქა ისევ, მაგრად-ჰაგრად მოკუმა ტუჩები და ცივი სიცარიელე, განუკითხაობა ჩაუდგა თვალებში. მოულოდნელად გადაწყვიტა, რაც კი შეიძლება საჩქაროდ გასცლოდა აქაურობას. მიზეზიც გააჩნდა ამისა: რომ მომხდარიყო სასწაული და იმ ქალს ახლავე შემოიღო კარი. იცოდა, მისი დაანახვის შემდეგ კიდევ უფრო გაუჭირდებოდა აქედან წასვლა;

გადაწყვიტა გამოსათხოვარი ბარათი მაინც დაეტოვებინა. თუმცა ქალისათვის ეს არაუერს წარმოადგენდა — ერთს დახედავდა, ამრეზით გაბუსხვადა ტუჩებს, დაჭმუჭიდა და სანაგვე ურნაში მოისვრიდა. მაგრამ ისე რომ წასულიყო, ეს რატომლაც შეცევად მიაჩნდა. მას კი წასვლა სურდა და არა გაქცევა.

ის-ის იყო საწერ ქადალის დაუწყო ძებნა, რომ სწორედ ამ დროს დაიწერიალა მოუტრობარმა. მისდაუნებურად შეცბა, არა, იმას კი მიხვდა მაშინვე, მარია რომ არ იქნებოდა. მას საკუთარი გასაღები შეცნდა. ვინ უნდა ყოვილიყო აბა? აალისა თავი და მოლოდინით მიაჩერდა კარს. ზარი კი წკრიალებდა და რატომლაც ივარაუდა ზაზამ: ის უცნობი, რომელიც კარს მიღმა იდგა და ზარის დილაზე აქერდა თითხ, საუცრად ჩქარობდა, მოუთმენლიობა იჩნდა რატომლაც... მათთან იშვიათად თუ დადიოდა ვინმე — მარიას არ უყარდა სტუმრები, ხმაურიანი კომპანიები და ამიტომაც იშვიათად თუ პატიუებდა ვინმეს. ათასში ერთხელ უახლოესი მეზობელი თუ შემოიღოდა რამდენიმე წუთით რაიმეს სათხოვნელად თუ გასაგებ-გასარკევად — ეს იყო და ეს.

ნელა, გაუბედავი ზოზინით მივიღა ზაზა კართან, გადასწია ურდული და გამოალო კარი. ზღუბრბლები ვილაც ქალი იდგა. პირველად ხედავდა იმ ქალს ზაზა — ახალგაზრდა იყო, სუსტი, ქერაომიანი, ლამაზი და სანდომიანი. უსიტუკოდ მიაცერდა ქალს, ჩომელიც რაღაცნაირად აჭორიაქებული გამოიყურებოდა და მოუსვენრად ცმუკავდა მეტ ადგილზე. გვერდები მიღვა ზაზა, მობრძანდითო, თხოვა.

მაგრამ ქალმა შორს დაიჭირა: — ძალიან ვჩეარობ... საჩეარო საქმეს ძალიან...  
თქვენ ზაზა გქვიათ, არა?

— დიახ, — ჩაილაპარაკა და კიდევ ერთხელ შეათვალიერა ქალი. ჩემი სახელი  
საიდან იცის, გაუკვირდა, ფიქრიანად მოისრისა ნიკაბი და იყითხა: — თქვენ უნ  
ბრძანდებით? ვერ გიცანით ჩალაც...

— თქვენ ვერ მიცნობთ, ცალია... — ქალმა პაუზა გააკეთა და მერე უყუმანით  
ჰყითხა: — მარინა თქვენი მეუღლეა, არა?

სანამ პასუხს გასცემდა, ლამის რამდენიმე წამის უყუმანიბდა ზაზა. ახლა, უფლე-  
ბივე ამის შემდეგ ჰქონდა კი უფლება გაჭრილად ეოქვა, არისო?

— დიახ! — ჩაილაპარაკა ბოლოს. — რაშა საქმე? რატომ მეყითხებით?

ქალმა თანაგრძნობით შეხედა, აარიდა მერე მშერა და წყნარი ხმით, ლამის ჩუ-  
ჩულით დასინა: — მან გამომგზავნა თქვენთან...

— ჩემთან, მარიამ?.. — გაურკვევლად, თვალების ხამსამით თქვა ზაზამ, რაც  
გაიგონა, საკუთარ უყრებს არ დაუჭერა, — კი მაგრამ... თავად სად არის?

— სად არის, და... სამწუხაროდ, საავადმყოფოში!

— რაო? რა სთქვით? საავადმყოფოში?!

— კი. ასეა სამწუხაროდ, — ნელა დააჭნია თავი ქალმა, — რალა დაგიმალოთ  
და... მე ექთანი ვარ, იმ პალატის ექთანი. ძალიან მთხოვა, მეცვეშა, მემუდარა...  
მე ეს ჩემს ადამიანურ მოვალეობად ჩავთვალე და... ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ...

— კი მაგრამ რა დაემართა? — ძლიერ იკითხა ზაზამ, იგრძნო, როგორ უსიამოდ  
დაშრინა ტაქში და ერთბაშად შიშატანილი, რალაც ბუნდოვანმა, გაურკვეველმა და  
უფლის მოლოდინმა გათანგა.

— მანქანა დაუჭახა, და...

— მანქანა... — გაიმეორა ზაზამ, — ღმერთო ჩემო, მანქანა! — სახეზე ჩამოიხა-  
ხლიო...

— იცით, თუ არ ვიჩეარეთ, შეიძლება... — შეახსენა ქალმა, — როგორც ეტყობა,  
ძალიან სურს თქვენი ნახვა, მასაც არ სჭერა რომ... — სათქმელი არ დამთავრა, მა-  
რამ რა ბედენა იყო ეს? ისედაც ხომ გასაგები იყო უკელავერი, ისედაც რეკვდა უპი  
ზაზას მთელ ასებაში სიძმიმილისა და განგაშის ზარი. გარკვევით იგრძნო ზაზამ —  
როგორ მოეშვა, მოლუნდა, მთელ სხეულში ამზრებენი სიცივე ჩაუდგა. ერთადერთი  
სურვილი ამოძრავებდა ახლა — ოლონდაც ეცოცხლა, ოლონდ გადარჩენილიყო მარია  
და მეტი არაფერი სურდა ამ ქეყუანზე. მისი იქნებოდა თუ სხესი. ახლა, ამ წუთში,  
მისთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა უკვე ამას, ოლონდ კი...

— იჩეარეთ თუ შეიძლება! — ისევ შეახსენა ქალმა მოუთმენლის ხმით.

განგაშივით ჩაესმა მისი ნათქეამი ზაზას. აბა რაღა შეხსენება სტილება ამას, გან  
თვადაც გარგად არ იცოდა რომ უნდა ეჩეარა, მაგრამ უმოწყალოდ ბოჭავდა რალაც,  
აკავებდა და არ აძლევდა თითქოსდა აჩეარების საშუალებას.

— ახლავე... მე ახლავე... — ჩაილაპარაკა დაბნეულად, უმწეოდ მიმოიხედა ოთა-  
ხში. — თითქოსდა ექებდა რალაცს, ძალიან მნიშვნელოვანსა და აუცილებელს, მერე,  
უეცრად გონს მოგებული, მივარდა სკამის საზურგებელ გადაფენილ კოსტუმს, გადაიც-  
ვა სასწრავილ, შეხედა ქალს და თქვა: — მე დაწინაურდები და ტაქს დავიჭრე  
როგორმე! — თქვა ეს, არ დაელოდა ქალის პასუხსა და თანხმობას და კისრისტენი  
დაეშვა კიბეზე.

შედად, ცარიელი ტაქსი მაშინვე გამოჩენდა, როგორც კი სადარბაზოდან გაგიდა-  
...ერთასნ უხმოდ ისხლნენ და არ ძრავენდნ კრინტს. მხოლოდ მაშინ, რამდენიმე

კვართალი რომ გაიარეს, მიუბრუნდა მდუმარედ მჯდომ ქალს და იყითხა: — როგორ ციქულიდოთ, მივუსწრებთ ვითომ?

ქალმა ორჭოფულად აწურა მხრები: — აბა რა გითხრათ?... წინასწარ არავრის თქმა არ შემიძლია. იხე, მე მგონა, მივუსწრებთ...

— გასაგებია, — გაიციქრა ზაჲამ, — უკელაფერი გასაგებია! — მაგრად-მაგრად მიკუმა ტუჩები და ჩათვლემილივით მიღლულა თვალები.

როცა მძღოლმა წამიერად მოსწყვიტა მზერა გზას და რატომლაც შეხედა მას, ახე მოეჩვენა, ტირისო. გაკვირვებულმა, რა გჭირო, ამის შეკითხვა დააპირა, მაგრამ ეუხერხულა და გაჩიტმდა იხევ.

— თუ შეიძლება, იჩქარეთ! — შეახსენა მას აქამდე გაჩუმებულმა ქალმა.

— ვჩქარობ, ქალბატონო, რაც შემიძლია ვჩქარობ! ხომ ხედავთ როგორი მოძრაობა?

რამდენიმე კვართალი კიდევ განვლეს და ბოლოს მანქანა საავადმყოფოს შესაცლელთან დაამუშარებულა მძღოლმა.

ზაჲამ ახედა საავადმყოფოს შენობას, მძღოლი გაისტუმრა, ძლიერ გამოალო განკანის კარი და ძლიერ გამოიტანა გარეთ თავისი დამძიმებულ-დაძაბუნებული სხეული.

უხმოდ ანგლეს კიბე და აიდინენ მეორე სართულზე. დერეგანში ექთანი დაწინაურდა, ნაბიჯს აუჩქარა, ერთ-ერთ პალატასთან შეჩერდა, დაელოდა ზაჲამ და როცა იგი მიუხსლოვდა, უხმოდ გაულო პალატის კარი:

— აქ შემოდით!

უკუმანითა და შიშით შეხედა ზაჲამ ექთანს, გაუჭირდა შესვლა მოლოდინითა და შიშით გათანგულს, თუმცადა მანაც კარგად უწყოდა, რას იხილავდა და როგორ იქნებოდა საერთო საქმე. ბოლოს მაინც გადაწვიტა, გვერდი აუარა ექთანს და გვერდულ შევიდა სანახვიროდ კარგაღებულ პალატაში.

ფეხაკერფით განვლო ვრცელი ნათელი ოთახი, შიშით მიუახლოვდა ფანჯარასთან შედგარ საწოლს, დაიხარა და დაცემერდა უსიტყვოდ. სრულიად შეცვლილი ეჩვენა ქალი — იყო და აღარც იყო თითქოს. როგორც კი დახედა, მაშინვე მიხედა, მალვე რომ დასტულებოდა უკელაფერი და ამათ რომ იყო ყოველი. მთელი მისი არსება სულიერმა ტკივილმა მოიცავდა და აუტანლად, გაუსაძლისად ეჩვენა ეს ტკივილი ზაჲამ. სინახულის გრძნობამ, სინდისის ქენჭნამაც დარია უმოწყალოდ ხელი. ისიც იგრძნო, როგორ უნდოდა ახლა ტირილი, როგორ სურდა მთელი არსებით ეტირა ახლა, — საველიავებ დამნახავსა და მხილველს, მაგრამ ისიც მინვდა, ვერ შეძლებდა ატირებას მაინც. რომც შეძლებოდა, ტირილი მაინც რომ არ შეიძლებოდა ახლა, ისიც აღიკვარუმცა, რაი ბედენაა, თუკი ცრემლები არ გადმოიწვნავს მის თვალთაგან, ისე განა უხმოდ, უცრემლოდ, მთელი არსებით არ ტირიდა? ნელ-ნელა ჩაიხარა წელში, მისთვის მზერა არ მოუშორებია, ისე ჩაიჩინეა საწოლთან, ქლს მკლავები უსიცოცხლოდ ქვენდა დალაგებული მკერდზე და ზაჲამ ფრთხილად შეეხ მის დიდებულ, ქათქათ ხელს, გადაუხვა ხელისგული ხელისხურგზე და დაიჩიტჩიულა: — მარია, გესმის, მონხმე და მოვედ, მარია!

იგრძნო, თუ მისი ჩურჩული გაიგონა, ვინ იცის, მაგრამ მან დაინახა, როგორ აუტო-და ტუჩები ქალს და როგორ შეარჩია ძლიერს შესამჩნევად ქუთუთოები. დიდხანს შეგაღალა, სანამ ასწევდა დამძიმებულ ქუთუთოებს. როგორც იქნა, გამოასილა თვალები და ბოლოს და ბოლოს ერთმანეთს შეხვდა მათი მზერა...

თვალები გამოახილათ და უზომოდ გაუხარდა ზაჲამს, საკუთარი თავის მოტშუებულ კი სცადა და უკელაფერი კარგად იქნებაო, ლამის არ დამიმდდა ამაში.

— მარია! — გაიმირა ისევ და მთელი თავისი სიყვარული, წუსილი, შიში თუ

ხეხარული ჩაქვსოვა მასში.

ქალი კი უცხეროდა უხმოდ, უსიტყვოდ... მერე ტუჩები შეარხა და რაღაცის თქმას შეეცადა. დააბირა, მაგრამ გაუჭირდა, ძნელი იყო ეს, ძალზე ძნელი, მის შესაძლებლობას აღმატებოდა ეს სურვილი თითქოს. მისვდა ზაზა, თუ როგორ უმოწყალოდ წვალობდა ქალი, მხოლოდდა იმის გამო, რათა ერქვა რამე, ხაჩავდა ამისათვის უკანასკნელ ძალას. უნდოდა გაეჩერებინა, ნურაფერს მეტყვიო, ეთხოვა მისთვის, რათა ბოლო მოლებოდა მის ტანჯვას. მაგრამ, იმდენად დიდი იყო ცდუნება და სურვილი იმისი გაგებისა, თუ რას ეტყოდა ქალი, ვერ მოახერხა ხმის ამოღება.

ქალმა ტუჩები შეატყო და რაღაც დაიჩურჩიულა. — ისე წყნარად, ისე ჩუმად, ვერაცერი გაიგონა ზაზამ. კადევ უჭრო გადაიხარა მისკენ, ლამის ტუჩებზე დაადო უური: — მარია, ხომ მიცანი? მე ვარ, ზაზა და მითხარი მარია რამე, თუ შევიძლია მითხარი რამე, მარია!

ქალმა თვალები დაბუჭა და გაახილა, დაბუჭა და გაახილა, სამკერ თუ ოთხერ გაიმეორა ასე, მერე, ბოლოს და ბოლოს ზაზამ გაიგონა მისი ჩურჩიულით ნათქვამი:— მაპატიე, თუ შევიძლია, მაბატიე!

ზაზამ სიმწრით მოიკვიტა ტუჩები: — რა უნდა გაპატიო? არაფერი გაქვს საპატიებელი... უნ მაგაზე ნუ სწუხხარ, მარია!

ქალმა ხანგრძლივი, დაკვირვებული მზერა მიაპყრო და რაღაც ღიმილისმაგარი გამოესახა ტუჩებზე: — მაღლობელი ვარ, თუ მაპატიე... რა ვქნა, არა ჩემი ბრალი, არ ვიქცეოდი კარგად, მაგრამ თავს ვერ მოვერიე... ღმერთმა დამსახა ალბათ შენი წვალებისაფის. ვიცი მე, ახლა ვხვდები, გიყვარდი ძალიან.. შენსავით ჯერ არავის ცყვარებივარ.

— ვიცი, მარია, — გაიფიქრა გულისტკივილით ზაზამ, — ეს ნამდვილად ახეა! — დაიხარა, ნელა, ფრთხილად, გაუბედავად და რაღაცნარი მოწიწებით ეამბორა ქალი ტუჩებზე. ყინულივით ცივი იყო საყვარელი ქალის ტუჩები, ცივი და ამაზრზენად უგრძნობელი. მისდაუნებურად შეცბა ზაზა და მაშინვე ასწია თავი: — როგორ ცივია შენი ტუჩები, მარია! — გაიფიქრა და ხელისვულით მაგრად, მაგრად მოისრისა ნიკაპი.

ქალმა ისევ მიღული თვალი და შოულოდნელად კურცხალმა გადმოიყონა მიღული თვალებიდან. ნელ-ნელა, ზიგზაგით ჩამოცოცდა იმპოლი და ეული, სიმწრის ტრემლი ლოყაზე, მოხწყდა მერე ნიკაპს და თეთრ, ქათქათა ზეწარზე დაცემული მლაშე სისველედ იქცა.

მოულოდნელად ქალმა ისევ, უკანასკნელად გაახილა თვალი, მზერით მოიძა ზაზა, გაჭირებით გააცოცა ხელი, მოძებნა ზაზას ხელი და მაჯაში ჩასჭიდა თითები. მისივე ტუჩებივით ცივი და უცხო ეჩენა ქალის ხელი ზაზას... მერე ნელ-ნელა დაცურდა ხელი მისი ხელიდან, ჩაცურდა ზეწარზე და უმწეოდ დაეკიდა მოტეხილივით.

ზაზამ შეხედა ქალს, მერე კართან ატუზულ ექთანს და მერე ისევ ქალს, ექთანი მალე შოშორდა კარს, გაუბედავად შიუახლოვდა საწოლს, დაიხარა, ცერით და საჩვენებელი თითოთ დაუხუჭა თვალები და თეთრი ზეწარი გადააფარა მიცვალებულს. შეხედა მერე ზაზას და უხმოდ დაუქნია თავი.

— გათავდა! — გაიფიქრა ზაზამ, — უცვლეული გათავდა, ღმერთო!

ერთბაზად, ნიაღვარიით, ლვართქაფივით მოვარნილმა წუხილმა და ელდამ წამიერად დაცურა და გააოგნა, მერე, უკვე გარკვევით მიმხდარმა იმას, თუ რა მოხდა, რაც გათავდა და რას დაესვა ხაბოლოო წერტილი, აცახახებული ხელები ნიღლაბივით აიფარა ათრთოლებულ სახეზე და მოულოდნელად მთვარეს შემყურე ეულ მგლივით აუმუვლდა.

## ე მ რ უ ლ ა

„აგერ ეს მკაცრი და უშიშარი კაცი დგას ჩემს წინ ფეხთ-ბორჯილიანი და ხელ-შეკრული, როგორც ლომი მახეში.. ის არის შვა ტანისა, ჩასხმული და ჩახმახი ბაჭი, 32 წლისა, მაღალი, თეთრი უშბლით, შავ-თვალ-წარბით.. ხშირი, მაგრამ ნორჩი ულვაშები, ზომიერი ცხვირი და ნიკაპი, მეგრული ყაბალახი, გრძელი თმები, ამშვენებენ იმის სახეს, ტანთ აცვია ძიკვა ჩოხა, ვიწრო შარვა-ლი, გულზე ოქროთი დაფერილი დოშლული, მოძრავი და ბრიალა თვალები რაღაც მარძანებლებას ამჟღვნებენ, აქეთ-იქით იხედება მარდათ, მალ-მალე იხრობს.“

(ხოლომონ ბავრელი-ასლანიშვილი)

სასამართლო დარბაზში სქელი საქალალდეებით ხელში ეპოლეტებიანი მღივანი შემოვიდა.

— სასამართლო მობრძანდება, გთხოვთ ფეხზე აბრძანდეთ!

პირთამდე სავსე დარბაზი მონჯლრეული სკამების ხმაურით ფეხზე წმილდგა.

თავმჯდომარის სკამი გენერლის სამხრეებიანში. ზორბა შუახნის მა-მაკაცმა დაიკავა. მის გვერდით ასევე სამხედრო ტანსაცმელში გამოწყვბილი მომცრო ტანის კაცი მოთავსდა, ხოლო მეორე მხარეს ფრაკიანი და გრძელულვაშა მამაკაცი.

ადგილები დაიკავეს მღივანმა, პროკურორმა და დამცველმა. წინა რეში მოწმეები განლაგდნენ.

სხვა შემოსასვლელიდან დარბაზში შემოვიდა შეიარაღებული ათი ჯრისკაცი. შემოიყვანეს პატიმრებიც, ცალკე განსასჯელის სკამზე ემრულა დასვეს, თევირით გაყოფილ მეორე, უფრო გრძელ სკამზე და-ნარჩენი ექვსი რაზემელი.

პატიმრების შემოსვლისას დარბაზი ახმაურდა, ყველა მათკენ მიბრუნდა და თავისი პირველი შთაბეჭდილება გამოხატა. ზოგმა სიტყვით, ზოგმა ოხვრით, ზოგმა ზიზღით, ზოგმა უსიტყვოდაც.

თავმჯდომარემ ზარი ააყლარუნა და დაიწყო სასამართლოს შემადგე-ნლობის გამოცხადება. დარბაზი გაინაბა.

— მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სახელით, სასამართ-

დასასრული. დასაწყისი იხ. „ჭოროხი“ № 1-5.

ლო, რომლის თავმჯდომარეა თქვენი მონა-მორჩილი, სასამართლო პარტმენტის თავმჯდომარე გენერალი იესე ადამის ძე ანდრიშნიკოვი, წევრები: კონსტანტინე ვასილის ძე ბონდირევი და ფედორ ივანეს ძე გორგოშჩენკო, თარჯიმანი მიხეილ გავრილის ძე მილიანსკი, ვექილი გრიგოლ იოსების ძე ყუბანევიშვილი, პროექტორი ათანასე ალექსანდრეს ძე ლილვი, მოწმეთა და შავშეთ-აჭარის საზოგადოებათა წარმომადგენლების თანდასწრებით, შეუდგა ემრულა ქიბაროლლი-მალაყმაძის და მისი თანამზრახველების: სულო მეხეშიძის, ნიაზ ვანლიშის, ენვერ მახაჭაძის, კუზმა ალიოშვინის, თანთო ლერწამიძის და ვეზირ საღრიძის საქმის განხილვას.

— სასამართლოს შემადგენლობაზე ან პროცედურულ საკითხებზე ბრალდებულებს ხომ არა აქვთ რაიმე შენიშვნა?

— მე მაქვს. — მშვიდად თქვა ემრულამ და წამოდგა. — ბატონი მოსამართლენო! გთხოვთ სასამართლოს შემადგენლობიდან გამოიყვანოთ თარჯიმანი, ბატონი მიხეილ მილიანსკი, რომელიც ძალზე ცუდად ფლობს ქართულ ენას და მის ნაცვლად უფლება მისცეთ უდანაშაულოდ დაპატიმრებულ კუზმა ალიოშვინს გაგვიწიოს თარჯიმნობა.

— ეს შეუძლებელია! — ადგილიდან წამოიძახა პროექტორმა. — გარდა ამისა მე პროტესტს ვაცხადებ: პატიმარი დამნაშავე არის თუ არა, ამის თქმის უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს.

სასამართლოს თავმჯდომარემ წევრებს გადახედა, რაღაც გადაულაპარაკა და, პროექტორის სიტყვა თითქოს არ გაუგონია, გამოაცხადა:

— სასამართლოს მიაჩნია, რომ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომს, ეროვნებით რუსს და ქართული ენის კარგად მცოდნეს შეიძლება მიეცეს უფლება გასწიოს დღევანდელი სხდომის თარჯიმნობა. ბატონი პროექტორის რეპლიკის მეორე ნაწილს სასამართლო ეთანხმება.

დარბაზი კმაყოფილებით შეხვდა ამ განცხადებას, თუმც აქა-იქ გაისმა უქმაყოფილო შეძახილებიც: „ავაზაკის თარჯიმნობა როგორ შეიძლება“. „დამნაშავე დამნაშავეა“. „იგი არ არის რუსეთის ქვეშევრდომის ღირსი“.

ქვლავ გაისმა ზარის წერიალი.

— სხვა შენიშვნები ხომ არ არის? — იკითხა თავმჯდომარემ.

არავინ გამოხმაურებია.

— რაკი შენიშვნები არ არის, შევუდგეთ საქმის გარჩევას. ბატონები და ქალბატონები! თქვენს წინაშეა შავშეთ-იმერხევსა და აჭარაში კარგად ცნობილი ავაზაკომთავარი ემრულა ქიბაროლლი-მალაყმაძე უკანასკნელი წლების მანძილზე მან თავი მოუყარა ოცდაათამდე კაცს, შექმნა ყაჩალთა ბანდა, რომელიც ძარცვავდა ბათუმისა და ართვინის

ოლქის მცხოვრებლებს. მისი მორიგი მსხვერპლი გახდა ართვინის ოლქის ოლთისის საბოქაულოს მცხოვრები თურქეთის ქვეშვერდომი, აღმენიუმ ბუღარ-ოლლი, ყაჩალებმა გაიტაცეს ასიათას მანეთამდე ფული და ქონება და ხანუმის მსახური გოგო. ეს მოხდა ღამით, როცა მოსახლეობას ჭერ კიდევ არ ეძინა. განდის მეთაურმა გამოიყენა მის ხელთ არსებული საყვირი, რომლის ხმაზე მცხოვრებთა ყურადღება მიიძყრო და ყაჩალებს გაუადგილა დანაშაულის ჩადენა. შევშეთ-იმერხევში ასეთი ნივთი ჰქონდა მხოლოდ ორ კაცს, პოლკოვნიკ ნური ბეგ ხიმშაიშვილსა და მსჯავრდადებულ ემრულა ქიბაროლლი-მალაყაძეს. ნურიბეგის თანამონაწილეობა ამ დანაშაულში გამოძიებამ სრულიად გამორიცხა. ამიტომ უცილობლად მტკიცდება დღევანდელი განსასჯელი პირის დანაშულებრივი ქმედება.

ალიოშკინი სწრაფად, თითქმის შეუჩერებლად თარგმნიდა თავმჯდომარის ნათქვამს.

თავმჯდომარემ წინ მჯდომ ჩინოვნიქს რაღაც ანიშნა. იგი წამოდგა, შეხვეულ ნივთს ქსოვილი შემოაცალა და ზეასწია. ეს საყვირი იყო, ხოვორც ნივთმტკიცება.

— შეკითხვა მაქეს, ბატონო მოსამართლევ! — ემრულა წამოდგა.  
— ბრძანეთ. — თქვა თავმჯდომარემ.  
— თუ შეიძლება, დაავალოთ ჩართონ საყვირი და დამსწრეთ გააგებინონ მისი ხმა.

თავმჯდომარემ ქვლავ ანიშნა დაექმაყოფილებინათ პატიმრის თხოვს. წინ მჯდომმა ჩინოვნიქმა საყვირი სკამზე დადო, სახელურს მოეჭიდა და დიდის მონდომებით დაატრიალა, რაღაც ხრიალი გაისმა, შემდეგ ისიც დაღუმდა. ბევრი იგახირი, ხან წალმა, ხან უკულმა ატრიალა, ლამის დაამტკრია, მაგრამ არაფერი გამოვიდა. საყვირი კვლავ დუმდა.

დარბაზი ჭერ ყურს უგდებდა, მერე აქა-იქ ირონიული სიცილი გაისმა, რომელიც ხმაურსა და ხარხარში გადაიზარდა.

დარბაზი გაისუსა. — ი ეს გახლავთ საგანი, რომელზეც ასე დიდ იმედებს ამყარებით? — იკითხა მან, — გთხოვთ ბატონო მოსამართლენო, ეს საგანი მოილოთ ნივთმტკიცებიდან.

— თქვენი პროტესტი მიუღებელია. — თქვა თავმჯდომარემ, — სადგან სასამართლო ვერ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ საყვირი მწყობრიდან გამოვიდა დანაშაულის ჩადენის შემდეგ.

შევრები დაეთანხმნენ თავმჯდომარეს. ვექილის შენიშვნა უარყოფილ იქნა.



— შეკითხვა მაქვს, — გაისმა დარბაზიდან. ფეხზე იდგა უძრობული ჩოხაში გამოწყობილი, მაღალი, გრძელულვაშა, სანდომიანი შუახინის კაცი. — მე გახლავართ გენერალი ვრიგოლ გურიელი. მოწმეების დაკითხვამდე აუცილებლად მიშაჩნია მოგაწოდოთ ერთი ცნობა. უფალმა თავმჯდომარემ ბრძანა, რომ საყვირი, რომელიც დღეს დანაშაულის მტკიცებაში ძირითად ნივთად არის დემონსტრირებული, ორი იყო. მე შემიძლია დავისაბუთო, რომ საყვირი იყო არა ორი, არამედ სამი.

დარბაზი ახმაურდა.

— თქვენ საიდან გაქვთ ასეთი ცნობა? — იკითხა თავმჯდომარემ.

— მოგახსენებთ, ბატონო მოსამართლენო; გასულ ომში პირადად მე გახლით საომარი თეატრის უშუალო მონაწილე. ამ ომში განსაკუთრებული დამსახურებისათვის სარდლობამ გადაწყვიტა დაესაჩუქრებინა ნური ბეგ ხიმშიაშვილი. იმ დროს სხვა არაფერი გაგვაჩნდა, ამიტომ პირადად მე დამევალა ჩემს ნაწილში არსებული სამი ცალი საყვირი, ფითარცა საჩუქარი, გადამეცა ნური-ბეგისათვის. იმის გამო, რომ ბეგი ამ დროს შავშეთში არ იმყოფებოდა, საჩუქარი გადავეცი სოფლის მუხტარს სედრაქ არუთინოლლის. ვიმეორებ, სამი ცალი. უფალ მოსამართლეს ვთხოვ დააზუსტოს შემდეგი გარემოებები: პირველი — ვის შეიძლებოდა ჰქონილი მესამე ცალი ჩვენი საჩუქრისა, და მეორე, არის თუ არა იმის შესაძლებლობა, რომ სწორედ იმ მესამე საყვირის მფლობელს ჩაედინა ეს დანაშაული და არა იმათ, ვინც დღეს განსასჯელის სკამზე სხედან.

თავმჯდომარე და სასამართლოს წევრები დიდხანს ჭამათობდნენ, საუბარში პროკურორიც ჩაერია, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ, ყოველ შემთხვევაში დარბაზს ვერაფერი მოახსენეს.

— ვაცხადებო შესვენებას! — გამოაცხადა თავმჯდომარემ და სასამართლოს შემადგენლობა სწრაფად გავიდა დარბაზიდან.

ბოლო რიგებში რაღაც ჩუმი მოძრაობაა. რამდენიმე კაცი გარეთ გავიდა. ესენი პატიმართა გულშემატკიცრები იყვნენ.

ზუსტად ნახვარი საათის შემდეგ სასამართლო სხდომა განახლდა, დაკითხეს მოწმეები, რომლებიც საგანგებოდ ყავდათ ჩამოყვანილი კოლადან. ყველა ერთსა და იგივეს იმეორებდა: შუალამისას, სრულიად მოულოდნელად, გაისმა საყვირის ხმა. ეს იმდენად უჩვეულო და შემზარვი იყო, რომ მთელი სოფელი ფეხზე დააყენა. ხალხი მისდაუნებურად იმ ხარეს მიაწყდა, საიდანაც ისმოდა საგანგაშო ხმა. ადგილზე მისულებს აღარავინ დახვდათ, აღარც საყვირის ხმა ისმოდა. სანამ ამ უცნაურ ღამის სტუმრობას გაარკვევდნენ, ვიღაცამ ამბავი მოიტანა:

ოლთისელი გენერლის ხანუმი გაძარცვეს და მისი მსახური გოგოც გადაცესო.

ხანუმიც, როგორც მოწმე, დარბაზში იყო, მაგრამ მის დაკითხვას თავმჯდომარე რატომლაც აჭიანურებდა.

მოწმეებს საკმაოდ გამომწვევ და დასაბუთებულ შეკითხვებს აძლევდა ვექილი უუბანეიშვილი. ამ შეკითხვებზე მოწმეები იბნეოდნენ და აღარ იცოდნენ რა ეპასუხნათ, მაგრამ პროკურორი, ზოგჯერ მოსამართლეც ცდილობდნენ ვექილის შეკითხვები გაეძათილებინათ.

პატიმრების დაკითხვის დროც დადგა. ყველა მათგანი უარყოფდა მდიდარი ხანუმის გაძარცვაში მონაწილეობას.

ერთადერთმა სულო მექეშიძემ აღიარა, რომ აშე-ხანუმის მსახური გოგო, მისივე სურვილით წაიყვანა და ემრულას მიჰვარა.

— მარტო იყავით? — შეეკითხა მოსამართლე.

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ. — იყო პასუხი.

პატიმრთაგან სულ ბოლოს სიტყვა მისცეს ემრულა მალაყმაძეს.

— ბატონო მოსამართლევ! აქ დამსწრე ბატონმა პროკურორმა გა-აპროტესტა ჩემი ნათქვამი იმის გამო, რომ კუზმა ალომშვინი უკანონოდ დაპატიმრებულად გამოვაცხადე. შესაძლოა მე ავჩქარდი, ამის თქმის უფლება მხოლოდ სასამართლოსა აქვს, მაგრამ იმედია მაპატიებთ, რადგანაც მე არ გამანია იურიდიული განათლება. თქვენ კი, ბატონო მოსამართლევ, ჩემს რაზმს, რომელიც მშეერტიტველი, გაჭირვებულ-გაღა-ტაკებული, ადგილობრივი ჩინოვნიკებისა და ჩარჩ-წურბელებისაგან განაწარები მოსახლეობის ინტერესებს იცავს, ყაჩაოთა ბანდას უწოდებთ. ნუთუ თქვენ გაქვთ უფლება წინასწარ, სასამართლო სხდომის დამთავრებამდე და განაჩენის გამოტანამდე ამ ხალხს ყაჩალები ან ბანდიტები უწოდოთ? თქვენ არ გიხსენებიათ, მაგრამ, აღბათ ამას მეორე დანაშაულად ჩამითვლით, თუ დაგჭირდათ, რომ ჩენ საბაჟოს მოხელეები მძევ-ლად ავიყვანეთ და არც შეგვეკითხებით ამის მიზეზს...

— მე პროტესტს ვაცხადებ! — წამოიქრა პროკურორი. — ბრალებულმა მთავარ საკითხს გადაუხვია და საუბრობს იმაზე, რასაც გასაჩევ საქმესთან არაფერი აქვს საერთო.

— პროტესტი მიღებულია. — განაცხადა თავმჯდომარემ, — ბრალებულს ვთხოვთ ილაპარაკოს საქმის არსებით მხარეებზე.

ამ დროს დარბაზის უკანა კარი გაიღო და რამდენიმე კაცი, შესვენების დროს გარეთ გასულნი, შემოვიდა, კვლავ ახმაურდა დარბაზი. თავ-შიომარემ ზარი ააწეარუნა.

— ბატონო მოსამართლენო! — გააგრძელა ემრულამ, — თქვენ შერჩერობით არ გამოგითქვამთ თქვენი დამოკიდებულება იმ ჩვენე-

ბაზე, რაც აქ ბატონმა გენერალმა მოგცათ. არც იმ პიროვნებით დაინ-  
ტერესებულხართ, ვინაც სხვისი საჩუქარი მიითვისა. მე არაუკანა ფიცი-  
საგროვო აპირებთ თუ არა ყოფილი ბოქაულის სედრაქ არუთინოლლის  
დაკითხვას და სასამართლოზე გამოძახებას.

— არუთინოლლი აქ არის! — გაისმა ხმა დარბაზის ბოლო რიგები-  
დან.

ემრულამ ყურადღება იქეთ გადაიტანა. დამსწრენიც შზერად იქცნენ.  
სასამართლოს შემადგენლობა წამით რალაცნაირად შეცბუნდა, დარ-  
ბაზში უჩვეულო ვითარებამ დაისადგურა.

— ვთხოვთ ბატონ სედრაქ არუთინოლლის, წარმოგვიდგეს. — თავს  
ძალა დაატანა თავმჯდომარებ და ესლა გამოაცხადა.

ბოლო რიგებში ჭალარაწვერიანი და თმამოშვებული კაცი წამოიმა-  
რთა.

— მე გახლავართ ყოფილი მუხტარი, ყოფილი ბოქაული სედრაქ  
არუთინოლლი. — ლაპარაკის ტონითაც იგრძნობოდა, რომ ის მართლაც  
ყოფილი ჩინოვნიკი იყო.

— დღეს განსახილველი საქმის არსზე რა შეგიძლიათ მოახსენოთ  
სასამართლოს? — შეეკითხა თავმჯდომარე.

— ბატონონ მოსამართლენო, მე მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რაც  
პირადად მე შემეხება.

— მაგრამ ამავე დროს დაგვეხმარება სასამართლო გამოძიებაში. —  
დაუმატა თავმჯდომარემ.

— დიახ, ბატონებო, მე უფლება არ მაქვს არ ვალიარო და მხარი  
არ დავუჭირო გენერალ გურიელის ნათქვაშს, რომ მისგან ომის დამთავ-  
რების დღეებში ნურიბეგ ხიმშიაშვილზე გადასაცემად მივიღე სამი  
საყვირი, რომელთაგან...

— სიცრუე! — თავი ვეღარ შეიკავა პროკურორმა.

— ბატონონ პროკურორო! — ანდრონიკოვი შეეცადა დაეცხრო ლ  
დოვის აღშფოთება.

— ბატონონ მოსამართლენო! — კვლავ გააგრძელა პროკურორმა.

— აფანასი ალექსანდროვიჩ! — კვლავ შეაწყვეტინა მოსამართლე.

— ვთხოვთ აცალოთ მოწმეს, მოგვახსენოს საქმის არსებით მხარეზე.

ამასობაში პროკურორთან ვიღაც სწრაფად მივიდა და რაღაც გაღ-  
ულაპარაკა.

ლიდოკი წამით შეყოვნდა, ეტყობოდა სათქმელი შეცვალა, მაგრამ  
გაჩერებას არ აპირებდა.

— ბატონონ მოსამართლენო! — გააგრძელა მან. — სედრაქ არუთ-  
ნოლლი სასამართლოს მოწმეთა შორის არ ირიცხება. იგი ნაძალადევად

მოყვანეს, მისი ნათქვამი ასევე ზემოქმედების შედეგი იქნება, რით გან შესაძლოა სასამართლოს ხელი შეუშალოს ჰეშარიტების დადგენაში.

— ეს კი მართლაც სიცრუეა! — წამოდგა ვექილი. ბატონ პროკურორს ვთხოვთ დაასაბუთოს მოწმის ძალად მოყვანის ფაქტი.

— ამას თავად მოწმე დაადასტურებს. — თქვა ლიდოვმა და დაჯდა.

— ბატონ მოწმეს ვთხოვთ პასუხი გასცეს პროკურორის მიერ დასმულ საკითხს. — თქვა ანდრონიკოვმა.

არუთინოლლი კვლავ წამოდგა და დიდხანს უხმოდ, უაზროდ სადღაც იცქირებოდა.

დარბაზი გასუსული ელოდა მის პასუხს.

ბოლოს, როგორც იქნა მოწმე თავმჯდომარეს მიუბრუნდა და თვალი გაუსწორა:

— ბატონო მოსამართლენო, ჩემი პასუხით ყველაზე მეტად თავად მე ვზარალდები. ჩემი პასუხით ამ ხნის კაცმა შესაძლოა ახლანდელ ბრალდებულთა ადგილი დავიკავო. მიუხედავად ამისა მე სიმართლეს ერ გავექცევი; ამის უფლებას არ მაძლევს არც სინდისი, არც რწმენა და არც ჩემი ჭაღარა. მე ვადასტურებ, რომ გენერალ გრიგოლ გურიელისაგან მივიღე სამი საყვირი, რომელთაგან ერთი დავიტოვე, ხოლო ორი გადავეცი მის პატრონს. ბატონ პროკურორს კი მოვახსენებ, რომ ამ სასამართლოზე ჩემი ფეხით მოვედი და ჩემთვის ძალა არავის დაუწენია.

მოწმის ნათქვამა დარბაზი აახმაურა, ერთმანეთის პირისპირ აღმნიდა სიმართლე და უსამართლობა, სიკეთე და ბოროტება, მოწონება და ზიზღი, პირდაპირობა და ქვემძრომობა... ამას დაკვირვებული თვალი ყველა დამსწრის სახეზე ამოიკითხავდა.

პატიმრები? პატიმრებმა ბოქაულად ნამყოფის სიტყვის დამთავრებისთანავე ერთმანეთს გადახედეს, ჩაულიმილეს, მერე სერიოზული სახე მიიღეს და დაელოდნენ მოსამართლის სიტყვას. ეს სიტყვა უჩვეულოდ იგვიანებდა, რამეთუ მოწმის ჩვენებამ თავმჯდომარეს და სასამართლოს წევრებს ურთულესი თავსატეხი გაუჩინა. მათ დიდხანს იდავეს, მეტყელეს, პროკურორი და ვექილიც მიიწვიეს სასაუბროდ...

როგორც იქნა ზარმა გაიწყარუნა და ხალხიც სმენად იქცა.

— სასამართლო სხდომაზე წამოჭრილი ზოგი საკითხის დასაზუსტებლად, რომლებიც წინასწარი გამოძიების მასალებში არ არსებობს, დღე-სანდელი სხდომა დახურულად ცხადდება. იგი განახლდება ყველა ჩვენების დაზუსტების შემდეგ; — განაცხადა თავმჯდომარემ.

— სამახარობლოს რას მომცემ? — ოთახში შემოსვლისთანავე კოწია ერისთავი ტახტზე წამოწოლილ ბეჭსიას თავზე დადგა.

— რაც რამ გამაჩნია შენი იყოს, ნიფხავ-პერანგის გარდა. — იხუმრა აბრაგმა.

კოწია ტახტზე ჩამოჯდა, ბეჭსიასაკენ გადაიხარა და ჩუმად განაგრძო:

— ახლა ვიყავი იესე ანდრონიკაშვილთან. იგი დედაჩემის ნათესავია და მიღებაზე უარი ვერ მითხრა. საიდუმლოდ გამანდო, ვერსია, რომელზეც ათამალიბეკოვი დიდ იმედებს ამყარებდა, ისე გააცამტვერა გრიგოლ გურიელის და სედრაქ არუთინოლის გამოსვლამ, რომ თუ სასწაული არ მოხდა, ემრულა და მისი ყველა რაზმელი უნდა გავათავისუფლოთო.

ბეჭსიას ჩვეულმა სიღინჯემაც არ უშველა და ტახტიდან წამოიჭრა, ამ ხნის კაცი სიხარულისაგან შეშლილს დამსგავსებოდა. კოწიამ ითიქრა, რამე ხმამალლა არ წამოიძახოს, თავადაც წამოდგა და გაუმეორა:

— გავათავისუფლებთო, მაგრამ რამდენიმე დღე გვჭირდება, რათა გურიელისა და არუთინოლის ჩვენებები გადავამოწმოთო.

ბეჭსიამ გრძელი მკლავები მოხვია ტანწერწეტა ერისთავს და გულში ჩაიხურა.

— ეს რა მითხარი, ჩემო კოწია, აწი რომ ჩავძალლდე, არაფრად ჩავაგდებ, ოლონდ ამ ძალად დახლართული საქმიდან ბიჭებმა თავი გამოიხსნან.

— ეს ასეა, ბეჭსიავ, აბა, ყველაფერი ნიფხავ-პერანგის გარდა ტახტზე დააწყვე. — იხუმრა კოწიამ.

იმავე ღამეს სათლელში სეიფულა ათამალიბეკოვის სახლს უცნობი ცხენოსანი მიადგა, მასპინძელი იხმო და წერილი გადასცა.

„ზათომ კაცი ყავს სუდში ნაჩელიკსა. იმან გავანებია, რომ ემრულ-ალა ნა მორჩეს, რომ გამოვდეს შენ ადარ გაცოცხლეფსო. ბათომიდან ხებერი ამით და. დედეს დუუზახა ნაჩელიკმა, რაცაც ვენაო რაცხაზე შევასრულოთ საქმე, რომ არც შენ. ტოცოცხლებს, არც მეო“.

ათამალიბეკოვმა დაუყოვნებლივ ორი მილიციელი აფრინა ცვალისან და შეუთვალა: „ზიხარ ადექი, დგახარ — არ დაჯდე და ჩემთან ამოდიო“.

სელმანს სახლში რაღა გააჩერებდა გამთენისას სეიცულა ნაჩალ-ნიკთან იყო.

შეთქმულებმა ერთი-ერთზე დიღხანს იმსჯელეს. საუბრის მთავარი ოება იყო: ორთაგან ვის ყავდა სანდო ნაცნობი ბათუმის სატუსალოში. სელმანს ყავდა ასეთი ნაცნობი კაცი. ეს იყო შავშეთში ფერშლად ნამ-ყოფი შარლატანი არქადი მიტროფანოვი. იგი იფხრეულიდან გამოძევების შემდეგ ბათუმის ქალაქის ექიმმა სატუსალოში გამწესა სამუშაოდ. ამაზე კარგ და სანდო კაცს ვერც ინატრებდნენ.

\* \* \*

„ეს ხებერი რომ ამოვდა ბათომიდამ, დედემ და ნაჩელიქმა ნაჭარი გუუგზავნეს, ვინცხაი რომ კაცი ყავდა ბათომში. სალთათი კარზე რომ უცდის ემ-რულ ალას, დარიშვეთეს ის...“

### დურსუნ ცვარიძე

ასე დიღი და გემრიელი თევზი ემრულას რახანია არ უჭამია. „რა შეიტყვეს ასე საზეიმოდ რომ გაგვიმასპინძლდნენო“ — ფიქრობდა სტიმარი.

წყალი მოითხოვა.

მიტროფანოვმა მოურბენინა.

რაღაც უჩვეულოდ ყურადღებიანი გამხდარა ეს ფერშალი. ემრულა ხარბად დაეწაფა მაშრავის. წყალი კი არა ჭაობია, გაიფიქრა პატიმარმა. რაღაც მყაყე სუნიც რომ აქვს.

„ერთი აქედან გამიყვანა, არსიანის თავზე, ყვირალას ცივი წყალი დომალევინა და მეტი არაფერი მინდაო“ — ინატრა ემრულამ.

კვლავ მოითხოვა წყალი.

სულ ამ თევზის ბრალია. მაინც რა გემრიელი იყო ის დალოცვილი, მილასკურის კალმახს ვერ სწობდა, მაგრამ მაინც კარგი საჭმელი იყო.

მიტროფანოვი ისევ მოადგა საარქმელს. მათარა რაფაზე დადო. სხვა დროს ზედამხედველი მოდიოდა, დღეს რატომლაც ფერშალი არკადი ემსახურება. თანაც საოცარ ყურადღებას იჩენს. ვითომ ალარ ახსოვს მილაყმაძის ბიჭებმა იფხრეულიდან რომ გამოაძევეს? იქნებ სწორედ მიტომ იქცევა ასე ბეჭითად, იქაური თაღლითობა რომ არ გაუხსენონ ჟატიმრებმა.

ემრულამ მათარა აიღო და მიტროფანოვს მიაშტერდა. — კარგად გვიარებით ამ ბოლო დროს. — პატიმარი თვალს არ აშორებდა წვერაბურძგვნილ ფერშალს.

— დავალებული მაქვს, ყურადღება გამოვიჩინო თქვენს მიმართ.— ამოლერდა იმან და გაიღრიგა.

— ვინ დაგავალოთ?

მიტროფანოვი ერთხანს გაყუჩდა, მერე სახეზე ეშმაკურმა ლიმილა გადაურბინა:

— გუშინ აიშე-ხანუმ ბულაროლლი მოვიდა საპატიმროში...

ემრულა შეტოკდა.

— აიშე-ხანუმი?

— ჰო, აიშე-ხანუმი, თქვენი ნახვა სურდა.

— მერე? — დაინტერესდა პატიმარი.

— ნახვის დღე არ იყო და პარასკევისათვის დავიბარეთ.

ემრულამ მათარა ორივე ხელში მოიქცია, ფერშალს თვალს არ აშორებდა..

— მე ცალკე მესაუბრა . ემრულას ჩემი სახლი არ გაუძარცვავს, ტყუილად აბრალებენ. ყურადღება მიაქციე, უპატივცემულოდ არ დაგტოვებთო, მითხრა და გაბრუნდა.

. პატიმარმა ფერშალს თვალი მოაორშა და წუთით ფიქრს მიეცა. მერე მათარას რატომლაც დაყნოსა, ალბათ კიდევ თუ ასდის ჭიათური. უარესი იყო, მაგრამ პირზე მაინც მიიღო. ერთი-ორი ყლუბი ხარბად გადაყლაპა, მაგრამ ის წყალი აღარ იყო. მათარა რაფაზე დაღო, სარკმელს მიეყრდნო და ცალი თვალით დერეფანში გაიხედა. ეს რა მომიტანეო, უნდოდა ეთქვა მიტროფანოვისათვის, მაგრამ ფერშალი იქ აღარ იყო.

სარკმელთან მდგომ ემრულას ფეხქვეშ თითქოს რაღაც შეტორტმა ნდა, მიწა ხომ არ იძრაო, იფიქრა აბრაგმა, კედლიდნან წამოშეერილ ჭარებზე ჩამოყიდებულ ხურჯინს დააკვირდა. ამას წინათ საპატიმროსა და წურიის ტბას შორის მძიმე სამხედრო აღალი გაატარეს, ხურჯინი აკვანიეთ ირწეოდა. ახლა? ახლა უძრავად ჰკიდია.

თავბრუ იგრძნო, მუხლებიც რაღაცნაირად მოეკვეთა. პირი ჭაუჭა, თვალებზე თითქოს ცხავი ჩამოაფარესო. სარკმელს მიეტანა, მაგრამ იქამდე ვეღარ მივიდა, მათარას ჰკიდა თვალი, ვიღაცის ხელი გამოჩნდა... შათარა გაქრა...

კედელს ზურგით მიეყრდნო, თავს კიდევ დაატანა ძალა... მგლის შელებმაც ვეღარ უშველა... ნელ-ნელა ჩაიჩიქა და მიწვა.

ეძინება? არა, წუხელ ჩვეულებრივზე დიდხანს ეძინა. აბა რაა, გონი

წაერთვა? გონიერი არის. ფიქტობს, რატომდაც აიშე-ხანუმზე ფიქრობით აეჭვიარია, ამ ქალის გაძარცვის ყალბი საქმე ორი წელია. მოუშორებლად თან დაჲყვება, სასამართლოს დაბრაზშიც მოვიდა ეს ქალბატონი, ჩადრი ეცვა. თავ-პირი სულ ახვეული ჰქონდა. რატომ არაფერი ჰკითხეს? ალბათ აღრინდელ ნათქვამს და ჩანაწერს დასჯერდნენ. შესვენების დროს, თე-ჭირს რომ მოუახლოვდა, პირბადე ჩამოიწია და საოცარი სიბრალულის თვალებით შემოხედა, თითქოს ეუბნებოდა: „შენ რა შუაში ხარ? ქვეყანა ამ გადამთიელებმა დააქციეს, ჩემი ქონებაც ბოქაულმა მიითვისა, რას გემართლებიანო“. აქაც რომ მოსულა. იცის, აიშე-ხანუმმა იცის სინამ-დვილე...

სხეულზე თითქოს ჭიანჭველები დაცოცავენ. მკერდზე ხელი მოივ-ლო, პერანგის შიგნით შეაცურა, მოსინჯა, მართლაც ხომ არ არიან მწე-რებოთ. არაფერი იყო. ახლა მძიმე რაღაც დააბიჯებს მკერდზე, მუცელ-ზე, რა არის? შუქრის შიშველი ფეხები დაღის? არა, გულ-მუცელი აეწ-ვა, „გული აერია და ცოტა კიდეც წამოანქრია.

თითქოს შეება იგრძნო, თვალი მოახილა, მზერა კვლავ სარკმელი-საქენ გაექცა. ვიღაცის დიდი ჭროლა თვალი გამოჩნდა, იგი თოვფის ლუ-ლასავით იყო დამიზნებული. ტუსაღმა თვალები დაბუჭა. დიღხანს გაუნ-ძევლად იწვა. ფიქრის თავი კვლავ ჰქონდა შერჩენილი.

„მომწამლეს ამ შობელძაღლებმა“ — თავის თავს უთხრა... მბეუ-ტავი თვალი კვლავ სარკმლისაქენ გაექცა. იქ აღარაფერი ჩანდა, ალ-ბათ ემრულა გათავდათ, იფიქრეს.

„ასე იოლად ვერ მოქლავთ, ძალლებო“, — ფიქრობდა აბრაგი, მაგრამ მაინცდამაინც არ ფხიზლობდა... ვინ იცის რას შეამთხვევენ უიარაღო, ბორკილდადებულ ტუსაღს.

\* \* \*

საპატიმროს ეჟვნების უღარუნით ალი ვარშანიძის დილიუანსი მოა-დგა. იქედან გადმოვიდნენ: კონსტანტინე ბონდირევი, გრიგოლ ყუბა-ნეშვილი, ბექსია სოლომონიძე, კოწია ერისთავი, მემედ დემირი და მიქაილ სუბუქიძე. ისინი პირდაპირ ციხის უფროსის კარებს მიადგნენ.

უფროსთან ბონდირევი და ყუბანეიშვილი შევიდნენ, მათ ციხის უფროსს გადასცეს სასამართლოს გადაწყვეტილება ემრულას და მისი თანამებრძოლების გათავისუფლებზე და თხოვეს განაჩენი დაუყო-ზებლივ აღსრულებულიყო.

ხელისუფლების წარმომაღენლები და ემრულას რაზმელები საკ-ნისაკენ გაემართნენ.

...ციხის დერეფანში ხმაურია, რამდენიმე კაცის ხმამაღალი და ლაპარაკი კი საკანს უახლოვდება. გასაღებებმა გაიჩხარუნა და კარები მძიმედ გაიღო.

— მალაყმაძე. — გაისმა ციხის უფროსის ხმა.

ემრულა ბურანშია. ხმა გაიგონა, მაგრამ განძრევის თავი აღარ აქვს.

— სძინავს, თქვენო აღმატებულებავ. — სიტყვა შეაგება ზედამ-ხედველმა.

— გააღვიძეთ! — ბრძანა უფროსმა.

ზედამხედველი დაიხარა, პატიმარს ხელბორკილი გაუხსნა, ოდნავ შეანჭლრია და ხელი ააწევინა. ძვალმსხვილი და დაკუნთული მკლავი იატაკზე ჩვარივით დაეცა.

ციხის საკანი სასაფლაოს დაემსგავსა. წუთით სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. ხმას ვერავინ იღებდა.

შემაძრწუნებელი დუმილი და ყინულივით ცივი უძრაობა ბეჭსია სოლომონიძემ დაარღვია. იგი ტუსალისაკენ დაიხარა, ჩაიმუხლა, ლოყით სახეზე შეეხო, თითქოს ეფერებოდა, მაჯაზე ხელს არ აცილებდა.

— ცოცხალია? — წამოროშა ციხის უფროსმა.

ბეჭსიამ პატიმარს ხელი უშვა, წამოდგა და კვლავ გაირინდა.

გაოგნებული ბიჭები მას შესცემოდნენ თვალებში... იქ უნდა ამო-ეკითხათ ბნელით მოცული საიდუმლოების შემაძრწუნებელი შედეგი.

ციხის უფროსის ირიბი მზერაც ბეჭსიასაკენ იყო მიპყრობილი.

— ახლა თქვენთვის სულერთია პატიმარი ცოცხალია თუ მკვდარი. ამას არ შეგარჩენთ! — უთხრა ბეჭსიამ, კბილები გაახრჭიალა და ბიჭებს ხალაც ანიშნა.

ისინი ემრულას მისცვივდნენ, მხარიღლივ შეუდგნენ, ხელჯვარედინ-ზე დასვეს და სწრაფად დილიუანსისაკენ გააქანეს.

ბონდირევი და ყუბანეიშვილი თან გაჰყვათ.

ამასიბაში მეზობელი საკნის კარებიც გაიღო, იქედან ექვსი პა-ტიმარი გამოვიდა და იმათ შეუერთდა.

დილიუანსის კოფოზე მჯდომარეობდა მემირმა მავთულხლართების გადაღმა მათკენ მზირალი კაცი შენიშნა.

ციხის ეზოდან მიტროფანვი იღრიჭებოდა.

ალი ვარშანიძემ ცხენებს მათრახი გადაკვრა, დილიუანსი დაიძრა ქუჩაში ბული ავარდა. ნურიის ტბიდან სიომ დაპბერა და მტვერი ციხის კედლებს მიაყარა.

## ჩონჩხი გულსაქილით

ტროლეიბუსი ვაჟა-ფშაველას პროსპექტის ცერასართულიანი სახლის მეორე სადარბაზოს პირდაპირ გაჩერდა. ყმაწვილები ჩამოვიდნენ და იქვე შედგნენ.

— გოგი, ფეხბურთის თავისუფლად მივუსწრებთ, ავიდეთ ჩემთან, ყავას მოვხარშავ, ცოტას დავისვენებთ და გავწევთ სტადიონისაკენ, — უთხრა ამხანაგს ჭერ კიდევ უწვერულვაშო მომალლო ტანის შავგვრემანმა ახალგაზრდამ.

— არა, აქ დავიცდი, ფეხბურთის დაწყებამდე არც ისე დიდი დროა, ავტობუსები ჩვენ ხომ არ დაგვიცდის, — მიუგო გოგიმ.

— თუ ჩემი ოდნავი ხათრი გაქვს, ამოდი. არ გრცხვენია, ბიჭო, ორ თვეში სკოლას დავამთავრებთ და ვინ იცის, როგორ გაიყრებიან ჩვენი გზები, სად ვცხოვრობ ხომ უნდა იცოდე!

— კარგი, კარგი, მოვდივარ, — მიუგო გოგიმ და ორივე ლიფტის ჭიხურს მიაღდა. ორ წუთში მეშვიდე სართულზე აღმოჩნდნენ, რეზომ ჯიბიდან გასაღები ამოილო, კარები გააღო, შუქი ჩართო და ამხანაგს მისაღებ ოთახში შეუძლვა.

— დაბრძანდი, სადაც მოგესურებოს, მე სამზარეულოში შევალ და ყავას მოვხარშავ, — უთხრა მასპინძელმა, საძინებელ ოთახში შევიდა, წიგნების ჩანთა საწერ მაგიდაზე დადო და სამზარეულოს მიაშურა.

გოგიმ ლამაზად მორთულ სასტუმრო ოთახში მრგვალ მაგიდას, სავარძლებს და წიგნების კარაღაში ჩალაგებულ „ქართულ ენციკლოპედიებს“ თვალი შეავლო. ელნათურებით გაჩირალდნებული ჭალის შუქი „ბუფეტის“ მინას ეცემოდა და თვალს სჭრიდა. გოგი წამოდგა, რეზომს სამუშაო ოთახში შევიდა და საწერი მაგიდის კედელზე ჩამოკიდებულ, შავ ჩარჩოში ჩასმულ ლამაზი ჭალის სურათს მიაჩერდა, ერთსანს უცირია, შემდეგ თვალები დაბლა დახარა, იატაქს დააჩერდა, მალე თავი აქწია და კვლავ სურათს დაუწყო ცქერა.

— რა ნაცნობი სახეა, სად მინახავს ეს ჭალი? — გაიფიქრა გოგიმ და ახლა უფრო მეტი ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა ლამაზი, შავგვრემნი ჭალის სახეს, რომელიც მის მეხსიერებაში კარგა ხნის უკან აღეჭილოყო.

— ყავა მზად არის, აქ მოვიტანო, თუ სამზარეულოში შევიდეთ? —

ჰერთა რეზომ ამხანაგს, რომელიც გაქვავებული იდგა ერთ  ერთობლივ სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მიღებული იყო.

— გოგი, ხმას რატომ არ მცემ, ყავა მზად არის-მეთქი.

— ჰო, მე მეუბნები, კი წამოვალ, დაიცა, რეზო, ვინ არის ეს ქალი?

— დედაჩემი იყო, ხუთი წლის უკან დაიკარგა, ქიმიას ასწავლიდა მოსკოვის ქუჩაზე რუსულ სკოლაში. დილით ადრე დგებოდა, ხუთ ნოემბერს გავიდა სახლიდან და გაქრა. მამაჩემი კინაღიმ გადაჰყვა მაგის ჯავრს, ქვეყანა შეძრა, მაგრამ ამაოდ, ბებიაჩემიც შეილის ჯავრს შეეწირა, — მიუგო რეზომ.

— დაიცა რეზო, თქვენ უწინ რომელ ქუჩაზე ცხოვრობდით?

— ეს ბინა ორი წელია, რაც მივიღეთ, მანამდე ლიკანის ქუჩის დასაწყისში გვქონდა ორი პატარა ოთახი.

— სხვა სურათები თუ შემოგრჩა ცხონებული დედაშენის?

— როგორ არა, ახლავე გაჩვენებ,—მიუგო რეზომ; საძინებელ ოთახში შევიდა, კარადის უჭრა გამოაღო, ალბომი გამოიღო და დედის რამდენიმე სურათი გოგის გაუწოდა.

გოგიმ ერთ სურათს ხელი დავლო, დააცემდა და მისდაუნებურად წამოიძახა:

— არ ვცდები. ის არის, მე ისიც კარგად მახსოვს მანქანის ბოლო ორი ნომერი ორმოცდაერთი იყო.

— გოგი, რას ამბობ, მითხარი, შენი ჭირიმე, რა იცი დედაჩემის შესახებ! — წამოიყვირა რეზომ. ამხანაგს ორივე მკლავში ხელები ჩააფლო და აღელვებული მიაჩერდა.

— დაიცა რეზო, მეხსიერება არასდროს არ მღალატობდა, ყველა ფერს მოვიგონებ.

— აბა, შენ გენაცვალე, გამისქდა, ბიჭო, გული, მითხარი ყველაფერი.

— ჰო, იმ წლებში ბიძაჩემი ლიკანის ქუჩაზე ცხოვრობდა, მეორე სართულზე ორი პატარა ოთახი და სამზარეულო გვქონდა. სამზარეულოს ფანჯრები ქუჩას ზემოდან დაჰყურებდა. გაზქურაზე ჩაიდან იდგა, წყლის აღუღებას ველოდებოდი და ქუჩას გავცემოდი, კარგად მახსოვს, მაშინ მეშვიდე კლასში ვსწავლობდი, ეს ქალი, — სურათზე მიუთითა გოგიმ, — ჩქარი ნაბიჯით ჩამოდიოდა დაღმართზე, რომ ძევლებური „მოსკოვი“ მას დაეჯახა, მძღოლმა მანქანა დაამუხრუს წაქცეული ქალი ხელში აიტაცა, მანქანაში შეიყვანა, ხელჩანთას ხელ წაავლო, საჭეს მიუჯდა და მანქანა ადგილიდან დაძრა. მე კარგად შევხედე გონდაკარგული ქალისა და მძღოლის შეწუხებულ სახეები

ძლივს მოვარი თვალი მანქანის ბოლო ორ რიცხვს, მძღოლმა ქალი წარუდიშვილი ალბათ საავადმყოფოში წაიყვანა-მეთქი, გავიფიქრე და ეს ამბავი დაცვის წევბას მივეცი. ჰო, სამი წლის უკან ის კაცი სიონის ტაძრის მახლობლად ნავთის წერტში ვნახე, მაგრამ ყურადღებაც არ მიმიქცევია, — უთხრა გოგიმ რეზოს.

— ვაიმე, უბედურო დედაჩემო, გოგი, ბიჭო, ეს რა მითხარი, — წამოიყვირა რეზომ, ორივე ხელი თავში წაიშინა, მწარედ ამოიგმინა და პირჩალმა ტახტზე ჩაემჭო.

— კარგი, რეზო, მე ვარ დამნაშავე, არ უნდა მეთქვა ეს ამბავი, — ხუთი წელი არც ისე ცოტა დროა, გულზე ახალი წყლული გაგიჩინე, მართალი გითხრა, ახლაც ვერ გავრჩეულვარ, თავშეკავება სჯობდა, თუ სიმართლის თქმა, — თქვა გოგიმ, სკამზე ჩამოჭდა და რეზოს დაღვრებილი მიაჩერდა.

რეზო წამოდგა, მას შუბლზე წაბლისფერი თმის კულულები ჩამოშლოდა, სახე გაფითრებოდა, თვალები ცრემლებით ამოვსებოდა და საცოდავდ გამოიყურებოდა.

— არა, გოგი, შენ კარგად მოიქცი, დიდ მადლობას მოგახსენებ, გვედრები, დაგვეხმარე დედაჩემის მკვლელის ძებნაში, ახლა მოდი, ყავა მიირთვი და ფეხბურთზე უჩემოდ წადი, — უთხრა რეზომ ამხანაგს, რომელიც მასთან შედარებით ტანდაბალი და ჩაფიცვნილი აგებულების ყმაწვილი იყო, შავი, გრუზა თმები ზევით ჰქონდა ავარცხნილი, საოცრად მეტყველი თვალები ჰქონდა. მის ოდნავ მოგრძო პირსახეს შვენია საულვაშეზე შესამჩნევი ლინღლი.

— რას ამბობ, ბიჭო, ყავის დამლევი და ფეხბურთზე წამსვლელი ვარ ახლა მე? ხვალ სკოლაში გნახავ... ვიცი, რა უნდა გავაკეთო, ყორანიგით შავი კაცია, ნიკაპზე დიდი შავი ხალი აქვს, სადაც არ უნდა გადავეყარო, ვიცნობ, მერე კი ვერსად გაიქცევა.

რეზომ ლიფტის კარებამდე მიაცილა, ბინაში დაბრუნდა, ტახტზე მიწვა, დედის სურათები გულზე დაიწყო, მწარე ფიქრებს მიეცა და ღიღი ხნის შემდეგ ჩაეძინა.

\* \* \*

სამი წელი იგლოვა ზურაბ მაჭავარიანმა საყვარელი მეუღლე თამარ გოგინავა, იგი ფიზიკის მასწავლებლად და დირექტორის მოადგილედ მუშაობდა თბილისის ერთ-ერთ სკოლაში. ვიღრე სიღეღრი ცოცხალი იყო, ობლად დარჩენილ მაღონას და რეზოს მზრუნველობა არ მოჰკლებიათ. წესიერ და შრომისმოყვარე ოჯახში გაზრდილი ბავშვები,

სკოლაშიც სანიმუშმ მოსწავლეები იყვნენ. რეზოს მათემატიკა იტაცა  
ბდა, მაღონას — ისტორია და ლიტერატურა. დაკარგულ მეულეობის  
ფიქრმა მთლად გაათეთხა ზურაბი. სიდედრის სიკვდილის შემდეგ იგი  
ძულებული გახდა ცოლად შეერთო მისივე სკოლის ქართული ენის  
მასწავლებელი, ორმოც წელს მიღწეული ნუნუ კალანდაძე, რომელიც  
ბუნებით კეთილი, ბავშვებისმოყვარული, დაუზარელი და შრომისმოყ-  
ვარე ქალი გამოდგა. მაღონასა და რეზოს დედინაცვლის ცუდი სიტყვა  
არასოდეს არ სმენიათ.

— მამა, რეზო არ უნდა იყოს კარგად, ოთახში წევს, გულზე დედა-  
ჩემის სურათები დაუწყვია და ძინავს, — უთხრა მაღონამ მამას,  
რომელიც სამუშაოდან გვიან მოვიდა, დამშეული სამზარეულოში შევი-  
და და მაგიდას მიუჯდა.

— ჰო, ზურაბ, მეც დავინახე, მაგრამ გაღვიძება მომერიდა, საღი-  
ლისათვის ხელი არ უხლია, ყავა მოუხარშავს და არც ის დაულევია, —  
უთხრა ნუნუმ ქმარს და საჭამანდით სავსე თეფში დაუდგა.

— წადი, შვილო, ტელევიზორი ჩართე და გაიღვიძებს, — უთხრა  
ზურაბმა მაღონას.

ტელევიზორის ხმაზე რეზომ გაიღვიძა, ტახტიდან წამოიშვია, იატა-  
კზე დაცენილი სურათები მაგიდაზე დააწყო და ამასობაში ოთახში მა-  
მა და და შევიდნენ.

— რა მოგივიდა, შვილო, ცუდი ხომ არაფერი შეგემთხვეა?

— არაფერი, ისე ვარ უგუნებოდ.

— კი მაგრამ, აღარ უნდა გვითხრა, რაშია საქმე? — უსაყველურა  
მაღონამ.

რეზო ხმას არ იღებდა, მამასა და დას მისჩერებოდა, მერე თავი  
ვეღარ შეიკავა და ცრემლები გადმოსცვივდა.

— შვილო, რა მოგივიდა, კიდევ რა უბედურებაა ჩემს თავზე, —  
წამოიყვირა ზურაბმა, რომლის ხმაზე ცოლიც იქვე გაჩნდა.

— დედაჩემი მანქანას მოუკლავს, — აღმოხდა რეზოს და ტირილ  
უმატა.

— ვამე, დედილო, — წამოიყვირა მაღონამ.

— რას ამბობ, შვილო, დაწყნარდი, დაწვრილებით მომიყევი ყვე-  
ლაფერი. — უთხრა აღელვებულმა მამამ შვილს, რომელმაც ყველს  
გასაგონად უთხრა გოგი მეიფარიანის მონათხრობი.

ოჯახში მწუხარებამ დაისადგურა. ჭერ ხმას არავინ იღებდა, საძინე-  
ბელ ოთახში ჩუმად იცრემლებოდა მაღონა, ტიროდა დედინაცვალიც.

უცებ კარებთან ზარის ხმა გაისმა, მაღონა წამოდგა, კარები გააღმ  
შესასვლელთან დაბალი, შავგვრემანი ყმაწვილი იღვა.

— ვინ გნებავთ? — ჰკითხა ქალიშვილმა.

— მე რეზო მინდა, ამხანაგი ვარ, — იყო პასუხი.

— მობრძანდით!

— გოგი, შენა ხარ?

— მამა, ეს არის ჩემი თანაკლასელი გოგი მეიფარიანი.

ყმაშვილს სახეზე აღლვება ეტყობოდა, მაგრამ მის აზრიან თვალებს არ გამოჰკარვია ოჯახში გამეფებული მწუხარება.

— რეზო, მე ვიყავი სიონის უბანში, ვნახე ის ნავთის წერტი, სა-  
დაც ორი გამყიდველი მუშაობს, უფროსია სწორედ ის კაცი, რომელ-  
საც მე ვეძებდი. ეჭვი რომ არ აეღო, ვიდრე ქალი გამყიდველი მარტოკა  
არ დარჩა, სავაჭროში არ შევსულვარ. როგორც კი ის წყეული წავიდა,  
რუსის ქალმა მითხრა მისი ვინაობა, იგი მემედ იდრისის ძე ისმაილო-  
ვია.

— მადლობა, შვილო, ყველაფრისათვის მადლობა, ჩემი თამარის  
შევლელს თუ სამაგიერო მიეზღო, ეს მხოლოდ შენი წყალობით მოხდე-  
ბა, როგორც მითხრეს რეზოს დღეს საღილი არ უჭიმია, დაჯერი ჩვენთან  
ივაბშე, არ დაგაგვიანებ, სახლში ტაქსით მიგიყვან, — უთხრა ზურაბმა  
გოგის.

— მადლობათ, ბატონო, ვერ დავიცდი, სახლში მელოდებიან, თუ  
საღმე საჭირო დავრჩე, ყველაფრისათვის მზადა ვარ, მაპატიეთ, კარგად  
იყავით, — მიუგო გოგიმ, სკამიდან წამოდგა და კარებს მიაშურა.

\* \* \*

— აი, ავტოინსპექციის ცნობა,—უთხრა პროკურორს გამომძიბელ-  
ბა ბორის გვიჩიძემ და ქალალდი გაუწოდა. პროკურორმა ცნობა ხმამალ-  
ლა წაიკითხა: „ქ. თბილისის ავტოინსპექცია ადასტურებს, რომ ათას  
ცხრას ათხმოცდაოთხი წლის ნოემბერში მემედ იდრისის ძე ისმაი-  
ლოვს ჰყავდა პირველი გამოშვების სისტემის მანქანა „მოსკვიჩი“, რომ-  
ლის სახელმწიფო ნომერი იყო „ი 16-61 გვ“.

— მოსწავლე თუ დაკითხეთ? — ჰკითხა პროკურორმა და მე-  
ლობ თავზე ხელი გადაისვა.

— დიახ, დავკითხე და იმას, რასაც გოგინავას ქმარი ზურაბ მაჭა-  
ვარიანი განცხადებაში წერს, გოგი ილიას ძე მეიფარიანი ყველაფრის  
დასტურებს.

— შემთხვევის ადგილი თუ შეამოწმე?

— ლიკანის ქუჩაზე ვნახე უბედური შემთხვევის ადგილი, ის ბინა  
და სამზარეულო, საიდანაც მეიფარიანმა შეხედა მანქანის დაჯახების  
სურათს და შემდეგ მომხდარ ფაქტს, — იყო პასუხი.

— რას აპირებთ? — კიდევ ჰყითხა პროკურორმა.

— ისმაილოვი პატიმრობაში უნდა ავიყვანოთ, — მიუჟობთან  
გვიჩიძემ, რომელმაც შუბლთან შეთხელებულ ჭიარაშერეულ თმაზე  
ხელი გადაისვა, სიგარეტი ამოილო, პროკურორს გაუწოდა, ასანთს გაჰკ-  
რა და ორივემ გააბოლეს.

— მართალი ხარ, დაუპატიმრებლად დაკითხვის წარმართვა არ გა-  
მოღება, შეიძლება გაიქცეს და ძებნა გაგვიჭირდება, მეიფარინის შე-  
სახებ მათემატიკის სკოლა-ინტერნატიდან საუკეთესო დახასიათება  
მოვიდა, მისი ჩვენება ძიებისათვის დასაყრდენია, ისმაილოვს ხვალვე  
დააპატიმრებ. — დაასკვნა პროკურორმა.

\* \* \*

გამომძიებელ გვიჩიძის გვერდით კიდევ ორი ადამიანი იჯდა, ქალი  
და ახალგაზრდა მამაკაცი. ოთახში შემოიყვანეს წვერმოშვებული, ფე-  
ლაკარგული ისმაილოვი, რომელიც გამომძიებლის ნებარვით მაგიდა-  
თან დაჯდა.

— ისმაილოვ, რამდენი დღეა პატიმარი ხარ?

— ჩუღმეტი დღე არის ბატონო, — იყო პასუხი.

— მაშ თქვენ ამბობთ, რომ მანქანა არასოდეს გყოლიათ და არც  
ახლა გყავთ.

— არა, ბატონო, მე მანქანა არა მყავდესა.

— ქალბატონო ნინო, წაუკითხეთ ისმაილოვს ავტოინსპექციიდან  
მიღებული ცნობა. — მიმართა გამომძიებელმა გვერდით მჯდომ ქალს,  
რომელიც ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა პატიმარს.

ნინომ ცნობა ხმამაღლა წაიკითხა.

— ახლა რას იტყვი, ისმაილოვ?

— მართალს წერენ, ბატონო, მყავდეს „მოსკვიჩი“ და გავყიდე.

— მემედ, შენ ოჯახის კაცი ხარ, ცოლისა და ხუთი შვილის პატრო-  
ნი, ნახევარი საუკუნისათვის მიგიღწევია, ჩვიდმეტი დღეა ზიხარ და  
სიმართლეს არ ამბობ, სიმართლის თქმა სასჯელს შეგიმსუბურებს, გირ-  
ჩევ სიმართლე დროულად აღიარო. გაიგე, რას გეუბნები, თუ რუსუ-  
ლად გითხრა?

— გავიგე, ბატონო, მე არაფერი არ ვისი და რა უნდა გითხრა;  
იყო პატიმრის პასუხი.

— ალიოსმან, უთხარით ისმაილოვს აზერბაიჯანულად, რასაც ახლა  
ქართულად გეტყვი, — მიმართა გვერდით მჯდომ მამაკაცს, რომელიც  
გულდასმით უსმენდა დაკითხვის მსვლელობას.



— ისმაილოვ, შენ ბრალი გედება იმაში, რომ ათას ცხრაას თორმეტი განცხადა თოხი წლის ხუთ ნოემბერს ლიკანის ქუჩაზე მანქანა დააჯიხე თამარ ანტონის ასულ გოგინავას, გონდაკარგული ქალი მანქანაში შეიყვანე, ქუჩაში დაგდებულ მის ხელჩათას ხელი წავლე, საჭეს მიუჯეში და მანქანა აღგილიდან დასძარი. იქვე ეჭვი მეტრის მოშორებით ამ სურათს სამზარეულო ფანჯრიდან უცემოდა თორმეტი წლის მოსწავლე, რომელმაც კარგად დაიმახსოვრა გულწასული ქალისა და შენი სახე. ბავშვს ეგონა, ქალი საავადმყოფოში წაიყვანე და შემდეგ ეს ამბავი დავიწყებას მიეცა. წინა დაკითხვაზე მოსწავლე გოგი მეიფარიანმა შენი თანდასწრებით ყველაფერი თქვა და ჩვენებაზე ხელი მოაწერა. როგორც ქმარი ზურაბ მაჭავარიანი ამბობს, თამარ გოგინავას ჰქონდა ოქროს ორი ბეჭედი, საყურე და ოქროს საათი. გირჩევ აღიარო, რა უყავი მიცვალებული და ხსენებული ნივთები.

ალიოსმანმა გამომძიებლის ნათქვამი პატიმარს სიტყვა-სიტყვით გადაუთარებული მშობლიურ ენაზე.

— ბატონო, ქმარი ტყუილს რატომ იტყვის, ოქროს საათი არ იყო, უბრალო საათი ქონდეს, — დაუფიქრებლად წამოსცდა ისმაილოვს.

— კარგი, მჯერა, რომ უბრალო საათი იყო, მაგრამ მიცვალებული სად წაიღე?

— ოჳ, ალაპ, კასი არა ხარ, ქალი მოქვდარი იყო და დავმარხე, ციხეში ხომ არ წავიდოდეს, შვილები უპატრონოდ დარჩებოდეს, — ხმის კანკალით თქვა პატიმარმა და თავი უმწეოდ გააქნია.

— საათი, ბეჭედები და საყურე რა უყავი? — ჰკითხა ნინომ.

— ყველაფერი ცოლს მივესი, მაგან ქურთებში გაყიდა.

გამომძიებელმა პატიმარს და დამსწრეთ ჩვენებაზე ხელი მოაწერინა და ისმაილოვი გაიყვანეს.

\* \* \*

ოცსაჯდომინ ავტობუსში, საჯდომებს შორის იდო თუნუქის ვიწრო უბო, ორი ბარი და რეზინის ხელთათმანი, ავტობუსს მიჰყვებოდნენ გრეთვე სამი მილიციელი და პატიმარი.

ავტობუსის უქან მიღიოდა „ვოლგა“, რომელშიც ისხდნენ პროკურორი, პატალოგანატომი გურამ ლომიძე, გამომძიებელი გვიჩიძე და ზურაბ მაჭავარიანი.

მანქანები ქალაქ რუსთავს ორი კილომეტრით გასცდნენ და, ტრიალ მინდორზე, გზიდან გადაუხვიეს, აგვისტო იწურებოდა, საშინლად ცხელადა, ორი კილომეტრი რომ გაიარეს, გამოჩნდა ფერდობი, რომლის

ქვემოთ იყო ორი დაბალი ბუჩქი. მძღოლებმა ფერდობთან მარტინები  
შეაჩერეს, კუბო, ბარები, ხელთათმანები ჩამოიღეს და პატიმარი-ჩამლი  
ყვანეს. მილიციელმა ისმაილოვს წინ გაძლოლა უბრძანა და „ნაგანი“  
მოიმარჯვა. ისმაილოვი ფერდობზე ჩავიდა, მას უკან იარაღმომარჯვებუ-  
ლი მილიციის უფროსი სერეჯანტი მიჰყვებოდა. ყველანი დაღმართზე  
დაეშვნენ. ისმაილოვმა ბალახი ფეხით გადასწია, ორი ნაბიჭი გადადგა და  
გამოჩნდა ქვის მოკლე ლოდი, რომლის ახლოს დაბალი ბორცვი შეიძ-  
ჩნეოდა.

— აქ უნდა მოუთხაროს, — ხმის ჩაწყვეტით თქვა პატიმარმა და თა-  
ვი უმწეოდ გააქნია.

— აიღე ბარი, რას ელოდები, დამარხვის დღეს ხომ მარჯვედ იყა-  
ვი, — უსაყვედურა გამომძიებელმა, რომლის ვერდით ფერდაკარგუ-  
ლი ზურაბ მაჭავარიანი იდგა, პროკურორს ნერვიულობა ეტყობოდა და  
სიგარეტს ზედიზედ ეწეოდა. პატალოგანატომს უბის წიგნაკი და ავტო-  
კალამი მოემარჯვებია და გამალებით რაღაცას იწერდა. ისმაილოვს  
მილიციელიც დაეხმარა. ორი ბარის პირი მიწა მოთხარეს და გამოჩნდა  
ადამიანის ზემო კიდური. ზურაბს ქვითინი აუვარდა.

— ხელთათბაზბის გარეშე ძვლებს ხელი არ ახლოთ. — წამოიყვი-  
რა ექიმმა. ხელთათმანები გაიკეთა და ჩონჩხს მიწა მოაშორა. თავის  
ქალა, ნეკნები და კიდურები გაუხრწნელი აღმოჩნდა. ყველა გააგვირვა  
იმან, რომ ჩონჩხს ყელის მაღაზე ეკიდა გაყვითლებული, უანგმოლებუ-  
ლი ყელსაბამი, რომლის დანახვაზე ზურაბმა თავი ვეღორ შეიკავა და  
აქვითინდა.

— ომში დაკარგულ ძმის სურათს ატარებდა საწყალი, ეტყობა  
დამარხვის ღროს ამ მხეცმა ვერ შენიშნა და მიწაში ჩააყოლა, — თქვა  
ზურაბმა და მდუღარე ცრემლი მოიწინდა.

ფოტოაპარატი მოიმარჯვეს, რამდენიმე სურათი გადაიღეს, ჩონჩხი  
კუბოში მოათვალისეს, ოქმი შეადგინეს, ყველას ხელი მოაწერინეს და გა-  
ზი თბილისისაკენ აიღეს.



## ხომ არ მოგზეიდა?

„ხომ არ დაბერდი, ძმაო მგოსანო...“

შ. როვა

ზეცამ სპეტაკი სული მოგთხოვა  
და ულმობელი ხელით მოგცელა,  
ო, რა უღვთოა ეს შემოდგომა  
და რა მწარეა ეს ფოთოლცვენა!  
მიღიხარ,

გზებზე უკვე შებინდა,  
ჩამოეფინა მწუხრის ფარდები  
და „საქართველოს ეზოებიდან“  
იცრემლებიან ქორფა ვარდები.  
მიღიხარ,

სხვა რა გსურდა დიღება —

სუფთა სინდისით,

სუფთა ხელებით,  
მოღულდება მარგალიტებად  
შენი ლექსები ქედუხრელები.  
მიღიხარ,

„ფრთები“, ფრთები ინდომე,  
რომ სამარეშიც ჩაგყვეს ოცნება,  
გადაუქროლებ ქართვლის

მინდორ-ველს

„სიკეთედ“, „ნდობად“,  
პატიოსნებად.

ვერდით ჩვენს დიდ ძმას

სჭინავს უკუნით.

(ვინძლო, ფიალა მანდ

გამოსცალოთ!)

ჟექმიანე შენი ბუბუნით:

— ხომ არ მოგწყინდა, ძმაო

მგოსან?

## თანდეგა

„მოდით, ერთმანეთს უოვე-  
ლოვის ღიმილით შევხვდეთ,  
რადგან ღიმილით იწყება ხიუ-  
ვარული“. —

დედა ტერეზა.

ანთებულ სანთლით

(მარტო ხელში? — სულშიც  
უნთია),

მუხლაუხხრელად  
რამდენ ტკივილს ღამე უთია!  
სადაც გაჩნდება —  
მტირალს თვალზე აშრება  
ცრემლი,

ტკბილდება ლუქმა  
მორთმეული ღამაშვრალ ხელით;

არც საფიქრალი დაელევა,

არც იმედები,

სწამს, არაკაციც განკაცდება  
მისი ვედრებით...

ჩვენი ლოცვებიც შევაშველოთ,

პოი, დედანო,

რომ სიყვარულმა ინავარდოს

უკიდეგანოდ,

„უსიყვარულოდ

მზე არ სუფევს ცის კამარაზე“,

ძალმომრეობას ღააჩოქებს —

ცივს და ამაზრზენს.

ჰე, საქართველოვა,

ცა გეხუროს

ვარსკვლავდაყრილი,

რომ არც ცხრა მარტი

გამეორდეს,

არც ცხრა აპრილი,  
 და გინინებული,  
 ნირწამხდარი არვის ენახო,  
 და შენი სულის სიღიადე  
 ვერვინ შელახოს.  
 თენდება,  
 მრავალ ჭირთამომენო ჩემო  
     მამულო,  
 საბედნიეროდ,  
 საალერსოდ,

სასიყვარულოდ...  
 ერი და ბერი ახლა ერთი  
     ფიქრით ავენთოთ —  
 ამ ცოდვილ მიწას  
 მზე დაადგეს უდასავლეთო.  
 მზე, მზე გააშრობს  
 სისხლის გუბეს, ცრემლის  
     ღელესაც...  
 ღმერთის ვუყვარვართო —  
 ირწმუნება დედა ტერეზა.

### პატარა ანას

ანა, ანო, ანუკი, ანუკელა პატარა,  
 უველა შენ გეფერება — „თამთალაც“ და „ნატალაც“.  
 გადარიე „ბებონა“ „დედანა“ და „მამალა“,  
 დარბი, უსაქმურივით, დაგლევს მთელი ამალა.

აი, მოდის „ნანალა“, გული შვებით ევსება,  
 „დეიდანა“ შორიდან ტკბილად გეალერსება.  
 — „ქაქ-ქუქ“ — ფანჯრის მინაზე გიკაკუნებს „ოგეგი“,  
 ხატი ხარ თუ თილისმა ყველას გული მომგები.

შენ ის ქალი არა ხარ, სიტყვა ქარს გაატანო,  
 რომ გვიბრძანებ:  
 — „ატანდა“!

მხრებით უნდა გატაროთ.  
 განაჩენი მტკიცეა, არ გჩვევია გადათქმა,  
 თქვი და — „გელი“, „დუღანა“ და „ავანაც“ გადადგა.  
 შენი შემშინებლები ყველა ერთად კრულ იყოს,  
 ყველას მოგიგერიებს, ყველას მოკლავს „ქუნიკო“.  
 ახლა ერთი წლისა ხარ და საყვარლად ჟღურტულებ,  
 ოთხმოცის რომ გახდები მაშინ „ჩაბულბულე“,  
 შვილებს და შვილიშვილებს მოუყევი სუყველას:  
 — იყო, არა იყო რა, იყო ერთი „ქუნელა“,  
 ისე მაგრად ვუყვარდი, არ იცოდა რა ექნა,  
 დაგდა, ჭლაბნა ქალალდი, ლექსიაო ასე თქვა.  
 პაწაწინა მერცხალო, ფრთა გაშალე ძლიერი,  
 მძნდა შემოგხაროდეს ამერი და იმერი,

მინდა საღარდებელი გულში აღარ გაივლო,  
გაიფურჩქნე, გამზევდი გაზაფხულის ყველო!  
დაგათროს და დაგატებობს ია-ვარდის სურნელმა.  
შენს მტრებსა და ორგულებს ყველას მოკლავს „ქუნელა“.

\* \* \*

ვიცი ის ქალი, — სათნო და წრფელი,  
და მინდა ჩემებრ იცოდეს ყველამ.  
მოძმის საშველად გაწვდილი ხელით.  
მოძმის ტკივილით იწვის და ღელავს.

მეორეც — ვიცი რაზე „გარჯილა“:  
რამე შემატოს საკუთარ „სორის“,  
ცხოვრობს თავისთვის — მშვიდად და თბილად,  
და ღმერთმა იცის, რაისთვის ცხოვრობს.



## გური ჩაუბეჭებელა

### საყვარელა

გაზაფხულის მოწმენდილ დილით, მწვანეში და ყვავილებში ჩაფლულ ზღვის სანა-  
ჟირზე, ფეხსურთის სტადიონის გვერდით გადავროხნილ ვეება ევგალიპტების ქვეშ,  
ვლურად მიგდებულ მორჩილ მოედანს მოულოდნელად ტრაქტორი მიადგა.  
თეთრეულის გასაშრობი თოკები და ბაგირები ჩამოხსნეს და პაიდა... ალესილი  
შეხლუხებით მოედანი თვალის დახამხამებაში გადახნეს. აყვავებული ხეები და  
უჩქები უმოწყალოდ ამოძირებული პარაზიტები ახალგადაბრუნებული სველი მიწის მიძმე,  
უხტანი სუნი იდგა.

შოედნის ირგვლივ ტურისტული კარვებივით ჩამწკრივებული ძველი ფიცრულებიდან  
მოვარი გამოცვივდნენ და ტრაქტორს წივილ-კივილით გამოუდგნენ, მაგრამ უშედეგოდ,  
მწვანე ხასხასა მოედნის ნაცვლად ხრეშისა და ტალახის კორაკები აღიმართა.  
ტრაქტორის კაბინიდან მხარებჭიანი, ტანხალი, ახალგაზრდა გაღმოვიდა, სპორ-



ოული ლურჯი მაისური გაისწორა და აქოთქოთებულ ქალებს დამშვიდებას დაუტუშება:

— გენაცვალეთ, ნუ დელავსართ... ნუ ნერგვიულობთ. მთავრობამ ასე გადაწყვიტა:

ჩვენც მის გადაწყვეტილებას ვასრულებთ. სულ მალე ოქვენს ქოხმახებს აიღებონ და ახალ ბინებს მიიღებთ. აქ კი თანამედროვე, კეთილმოწყობილი საცურაო კომპლექსი გაიჭირება. ოქვენს ბავშვებს დიდი ხნის ნატვრა და ოცნება აუსრულდებათ. ცურვას და წყალბურთს ვასწავლით. ოქვენც მალე ახალ ბინებს მოგილოცავთ... — ცდილობდა იგი გაანჩხებული ქალების დაწყნარებას და აღმასკომის გადაწყვეტილებას ჰაერჩა აფრილებდა.

ქალები მაინც არ ცხრებოდნენ და თავისას გაიძახოდნენ:

- გვატვილებთ!
- მასე ბევრჯერ გაგვაცურეს!
- ახალ ბინებს არავინ მოგვცემს!
- დაგვაუკენეთ ქოხმახებში.
- ჩვენთვის გამოყოფილი ბინები დიდი ხანია სხვებს მიყიდეს!
- ამ მოედანზე სარეცხს ვაშრობდით!
- ჩვენი ბავშვებიც აქ თამაშოდნენ!
- ეს მცენარეებიც ჩვენ დავრგეთ. პაპანაქებაში ჩრდილში თავს ვაფარებდით!
- რატომ თავიდან არ შეგვეკითხეთ?
- სასწრაულდ გაიყვანეთ ტრაქტორი!..
- ეს რა უკუღმართობა დაგვმართოთ!

— მალე ჩვენი კაცებიც გამოჩნდებიან და კუდით ქვას გასროლინებენ. სჭობია აქაურობას დროშე გაეცალოთ! — დაემუქრნენ კიდეც.

ახალგაზრდა უკან არ იხევდა. უხერხსულად ილიმებოდა და ერთსა და იმავეს მეახეგერ იმეორებდა. ტრაქტორი ისევ გუგუნდებდა და მოედანი სულ ორმოებით გადასხრა. მალე მაზაკაცებიც გამოჩნდნენ და შეიძმნა ერთი გაწევ-გამოწევა. ახალგაზრდამ ისევ თავიდან დაიწყო ახსნა-განმარტებები. თან ხელებსაც იშველიებდა. უველას უსხნიდა, რომ საცურაო კომპლექსი აუცილებლად სჭირდებოდა მომავალ თაბაბას. და ეს საქმე აღმასკომის ღონიშვი იყო გადაწყვეტილი. იგი ლაპარაკობდა დინჯად და გარკვევით. ცურვა უველასათვის საჭიროა, ხახს უხვამდა. შემდეგ იქვე მდგომ აცრემლებულ ბავშვებს მიუჟალოვდა, სათითაოდ მოეფერა, მოელი ჭიბე კამტვეტები ჩამოურიგა და ანუგრძა: — ნუ იყურცხლებით მალხაზებო, გენაცვალეთ, ბურთის სათამაშოდ ამოდენა სტადიონი გაქვთ. აქ საცურაო აუზები გელირებათ და იშუუმპალავებთ. სახტუნაოდ გაქვთ საქმე... დაგვეხმარეთ ქვების და ლორდის გაზიდვაში.

— გართლა ბიძია?

— როდის? — ხასიათშე მოვიდნენ პატარები და კამუჯეტებს ცუცქნა დაუწეუს.

— მალე, გენაცვალეთ, ჩემო მერცხლებო, სულ მალე. მაშინ უველამ მოდით ცურვაში სავარჩიშოდ, ჩემთან. — გაუდიმა მათ და თავისი საქმე განაგრძო. მალე გახალი სებული ბავშვებიც მხარში ამოუდგნენ.

ეს ახალგაზრდა კაცი გახლდათ ცნობილი სპორტსმენი, წყალბურთელი, მოცურავი და მწვრთნელი, პედაგოგი დათო საყვარელიძე. ახლო ნაცნობ-მეგობრები და ბავშვებიც მას აღერსით „საყვარელას“ ეძახდნენ.

ბოლოს საყვარელამ უველანი ერთად შეკრიბა და აღმასკომის დაგენილება ორგერ ხმამაღლა წაიკითხა. მასში ხაზგასმით იყო ნათქვამი: ფიცრულებში, ხაერთოდ ხალხი ალარ უნდა ცხოვრობდესო. ამ ქოხმახებში მცხოვრებნი, ბირველ რიგში, ორიოდე თვეში აუცილებლად მიიღებნ ახალ ბინებსო, აქ საცურაო კომპლექსი აშენდება.



მსმენელები იღნავ დამშვიდდნენ. მამაკაცები საყვარელას სიტყვის კაცად იცნობდნენ და გაკირვებულნი ეყითხებოდნენ:

- ჩართლა ორიოდე თვეში მოვცემენ ბანებს?
- ვითომ დაგვადგება საშველ-სახიდებელი?
- თან აღმასკომის დადგენილებას წაღმა-უკუღმა ჩაპეკირკიტებდნენ.

დადგენილება საიმედო ჩანდა და კარგა ხნის ყიყინ-ქაქანის შემდეგ დაშოშმინდენ.

ამას წინათ დათომ ფიზკულტურის კომიტეტში და საქალაქო საბჭოს აღმასკომში დახვა საკითხი, აქ ზღვის სანაპიროზე საცურაო კომბაზების აშენების შესახებ. გუშინ, როგორც იქნა აღმასკომმა სათანადო გადაწყვეტილებაც გამოიტანა. დათომაც, ალრ გადაიფიქრონო, აღმასკომს აღარ დაელოდა, თავად შეცუთანხმდა ნაცნობ ტრაქტორისტს და პირველი კვალიც გაიყანეს.

მეორე დღეს სპორტსმენები და მოსწავლეებიც მიუხია ბარებით, წერაქვით... არ-ქეტიმეროიც გამოძენა და სასწავლით პროექტიც უკადგინა. ხელმძღვანელობაც სიტყვას ვეღარ გადავიდა და მხარში ამოუდგა. ბულდოზერები, ექსკავატორები, ამზები, სხვა შენებლობებიდან აქ გადმოისროლეს, ხუროები და კალატოზებიც გამოუყვეს, სულ რა-დაც ორიოდე თვეში, ქოხმახებში მცხოვრებთ ბინები მისცეს. მალე აუზებში წერალი გაუშვეს.

გახარებული ბავშვები დღე და ღამ შიგ კუუმპალაობდნენ. მათი პირველი მწვრთნელიც საყვარელა გახლდათ.

„საყვარელას საცურაო კომბლექსი“ მთელ ქალაქში გახდა ცნობილი. იგი თანდა-თანმიმდევრული გაფართოვდა და დამშვენდა.

ოვალისებური ფორმის, მწვანედ, ლურჯად და თეთრად შეღებილი ტრიბუნებით, საზღვარგარეთული ფერადი ფილებით მოპირკეთებული აუზებით.

იქვე აღმიართა ორსართულიანი აღმინისტრაციული შენობა: მისაღებით, გასახლებებით, ცივი და ცერელი უხავებით, კომპიუტერებითაც კი. მოკლედ თვალსა და გულს ჰარებდა. დათოც მის დირექტორად დანიშნეს.

კომბლექსს ირგვლივ ცადაზიდული ეგვალიტები ამშვენებდნენ. ქოხმახების ადგილას ლამაზი პარკიც გაშენდა, ძირითადი, სათადარიგო და წყალბურთის აუზები სულ წევანგში იყო ჩაფლული.

ძირითადში ბიგები კუუმპლაობდნენ, სათადარიგოში — გოგონები.

აუზებზე თაღოვანი ხილები გაღეს. მათ ქვეშ, მოფარებულად ახალბედები იწყებდნენ ცურვის შესწავლას. ტრიბუნების წინ უკვე გაწვრთნილები ცურავდნენ. ძირითად აუზში შეგიძრებისათვის ათი საცურაო ბილიკი გაიკიმა. ისინი გრძელ თვკებზე უკინძლული სხვადასხვა ფერის რეზინის რეოლებით გაიტინა და დაინომრა. ცალკე უზში ბადები გაატეს წყალბურთელთათვის.

წყალბურთელიც, რა თქმა უნდა, კარგი მოცურავე უნდა იყოს, ისე ვერ ითამაშებს და წყალბურთელებსაც ხოლმე მოცურავებიდან არჩევდნენ.

აუზებში წყლის ტემპერატურა ყოველთვის 300 აჭარბებდა.

ცნობილ მხატვარს კომბლექსის კედლებიც სასახლო სპორტსმენთა პორტრეტებით მოახატვინეს. ცელენგან გაიკრა ლამაზი ტრანსპარანტები სხვადასხვა წარწერებით: „კეთი-და იყოს თქვენი მობრძანება“, „ფიზიკური კულტურა და სპორტი ყველასათვის“, „ხა-ზების ჯანმრთელობა ქვეყნის სიმდიდრეა“, „ნიშნოსნობიდან ლომბიური მედლისაკენ“, „ჯანმრთელო ბავშვები ჩვენი მომავალია“, „ცურვა უველამ უნდა იცოდეს!“ აუზებში წუშერებდლივ მოჩხრიალებდა კამკამა და გამჭვირვალე მტკნარი წყალი. თუმცა სილმე

სამ მეტრს აჭარბებდა, ფსკერი მაინც სარკესავით  
უერადი განათება. აღმოსავლეთის ტრიბუნების წინ დიდი სპორტული საათი აღიმართდა, მოჩანდა. გაიცვანეს წერალევში

წუთებისა და წამების აღმნიშვნელი ისრებით. მოიწვიეს სხვა მწერთნელებიც და სისხამ დილიდან გვიან საღამომდე იყო მათი ორომტრიალი.

ჩვეულებრივ, საყვარელა ყოველთვის ბილიკების თავში დადგებოდა, ბოლოში სხვა მწვრთნელები და სხმალლა იძლეოდნენ განკარგულებებს:

- წყალში ისარივო გადაეშვი, გენაცვალე!
- ცეცხები აამოძრავე!
- წინ, ცურვით!
- უკან, პირალმა!
- ზურგით!
- ორივე ხელი აამოძრავე, გენაცვალე!
- ბრასი, მხარული!
- კროლი! ბაჟაური! გენაცვალე!
- ბატერიული, დელფინივით! ჩემო კარგო!
- სინქრონული!
- უფრო სწრაფად!
- სწორია!

— ერთი! ორი! სამი! — შემდეგ ტაშით აგრძელებდნენ თვლას.

ბაჟაურებიც მონდომებით ცურავდნენ: უურყუმალობდნენ, უვინთავდნენ: კროლით, ბრასით, ბატერიულით, მყერდით, ზურგით, გვერდებზედაც, შერეულად, სინქრონულად... ერთმანეთს ეძიძგილავებოდნენ. სურდა ფულს ან სათვალეს წყალში განგებ ჩაგდებდნენ და თვალის დახამსახებაში ფსკერიდან ამობჭონდათ.

მისაღებში ყოველდღე ბაჟაურების გრძელი რიგი იდგა. ისინი განრიგით მოდიოდნენ საჭარბიში და ახლებიც მოჰყავდათ.

იქვე „უებბურთის“ სტადიონზე ჩშირად იყრიდნენ თავს სპორტის „დაწმუარი“ გულშემატკიცრები, კამათობდნენ სპორტზე, განსაკუთრებით უებბურთზე, მსჯელობდნენ საყვარელს სპორტულ კომპლექსზე და მოცურავე ბავშვებსაც დიდი სიყვარულით შეძურებდნენ.

დათომ ჩიყილი ბავშვებისათვისაც ცალკე აუზი გააკეთებინა და უველას სალაპარაკო-საკამათო სწორედ ეს იყო. ფეხულებელი, ძუძუს ბავშვის ცურვა თავიდან არც სჭრებოდა, მაგრამ მასე დარწმუნდნენ და აზრიც შეეცალათ. ფეხულებელებმა მოშროებით დილებზე უფრო ადვილად აითვისეს წყალზე ტივიზით და ერთობ სასაკილოდ ამონავებდნენ ფუნჩულა კილურებს. ჭრა ცეხზე ვერც დაბაჭაჭებდნენ, წყალში კი არ იძირებოდნენ.

ცურვა კარგი მცურნალიც აღმოჩნდა. ბევრს კიდურების თანდაყოლილი სიმრუჩ გაუსწორა. სისხლძარღვების და გულის მოძრაობა გაუუმჭობესა. სახსრების ქრონიკული ანთება ჩაუქრია. სიმსუნეში დააკლებინა. სხეული დაუკუნთა. უელ-გისერი დაუგრძელა ძალა და გამბედაობა შემატა, რაბიტიანებს მკერდი და სერსემალი გაუსწორა. სიგრძე შიდაც მოიმატნენ. ყოველივე ეს ხდებოდა ქირურგიული და თერაპიული ჩარევის გარეშე, — ცურვაში კოველდღიური ვარგიშით.

მოკლედ, საცურაო აუზებში ბავშვების ტევა აღარ იყო. მთელი ქალაქი საყვარელი დაბარაკობდა. საყვარელა საყვარელიც გახდა ერთად ერთი და განუმეორებელი კაცი, სახელითაც, გვარითაც, ხასიათითაც და საქითანობითაც.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ექიმებმაც აღიარეს ცურვის დიდი სამკურნალო მნიშვნელოვანი მომენტი.

ნელობა. ცნობილმა ბავშვთა და ქალთა ექიმმა, გინეკოლოგმა გულნარა ხაფთასმის მიერთებული თავისი რახიტანი შვილი, თენებიზე აქ მოიყვანა ცურვაზე. ბავშვს მაღლე ხერხემალიც გაუსწორდა და საუკეთესო მოცურავე. — ხპორტსემერ დადგა.

ამის შემდეგ საყვარელას ავადმყოფ ბავშვებს სავარჯიშოდ, თავად გულნარა ხაფთასიც უგზავნიდა. მანვე შეადგინა სათანადო საკურნალო ვარჯიშების განრიგი და თანმიმდევრობა. რახანარ ბავშვებს არ შეხვდებოდით აქ... თეძოამოვარდნილებს, ფეხ-მონგრეულებს, ხერხემალგამრუდებულებს, ქეციანებს, წყლულიანებს, პინგინივით მსუქნებს. ვარჩიშის შედეგად კიდურები, თეძო და ხერხემალი უსწორდებოდათ, ქეცი და წყლული ურჩებოდათ, ტანწერწერანი ხდებოდნენ, სუნთქვა უუმჯობესდებოდათ. ადრე წყლის მოშიუარნი, იხევდივით დასრულებდნენ, უსუსურებს მკერდი და მკლავები დაეყუნთათ, მსუქნებს — დაბაბი გაუქრათ. ნერვულ ავადმყოფებსაც კი უკეთესობა დაეტყოთ. ზოგი მტკნარსა და ზოგიც ზღვის მარილიან წყალში ბარიამდნენ. მათ შორის ამაუდ ჩადგებოდა დათო საყვარელიც და მისი იყო ეს ქვეყანა. მთელ დღეს ციბრუტივით ტრიალებდა. დალლასაც უკი გრძნობდა. ზოგჯერ თავისი ბავშვობაც გაახსენდებოდა. მაშინ სხვა დრო იყო, საცურაო სპორტს მაინცდამაინც არ მისდევდნენ, პატარაობილანვე მრავალნარი სპორტით გატაცებულს თავიდანვე სწორედ ცურვა-ზი ჰქონდა დიდი წარმატებები: შედლები, გრძბი, სიგელები, სამკერდე ნიშნები და სხვა ჭილდოებიც. სპორტის ოსტატიც გაჩდა.

დათოს ცურვისადმი ასეთ მისწრატებას თავისი საცურევლიც ჰქონდა. სოცელში, შვილიდე წლის ბიჭი, პატარა მდინარეში კინალამ დაიხრჩი, მეზობლის მიზრდილ ბავშვებს გასძია საბანაოდ. ისინი ცურვაში უკვე გაწაფულნი იყვნენ, — მდინარეში იხევდივით უკინთავდნენ.

შთის პატარა მდინარის ამბავიც მოგრძესენებათ. ღორესა და კლდეებში გველივით დაკლაკინილი ჩერიალ-ლრიალით მიედინდა. სწორ აღილას თუ მუხლებდაც არ წვდება, მისახვევებში, ხების ბოგირებში, ვეება ქვებისა და კლდის ძირებში ღრმა მორევებს და ღურლუმელებს აჩენს. ღურლუმელებში წყალი წაღმა-უკუღმა ძლიერად ტრიალებს, ბავშვებიც საცურაოდ ასეთ ღრმა ადგილებს ეტანებიან. ისე ცურვა არ გამოსდით.

ასეთ მოტევში ცურვა საშიუა. კლდე-ქვებს შორის მოტრიალე წყალი მოცურავეს ღურლუმელაში შეითრევს და ძნელი ხდება თავის დაწევა.

მაშინაც, დიდები ასეთ მოტევში სკუპ-სკუპით გადაეცენენ. მათზე ნაკლები რით ვარო, ნამცეცა საყვარელამაც ისყუპა. თუმცა ცურვაზე წარმოდგენაც არ ჰქონდა. იგი წარმა პირდაპირ კლდეებისაკენ წაილო. ხელები სხვებივით ამონძრავა, მაგრამ ფეხები ვერ ააყოლა და ცურვაც არ გამოუვიდა. მალე სილრმეში აღმოჩნდა. ფსკერი უცხევებ გამოუცალა და ჩაიყურუუმელავა. ერთხელ ამოჭყო თავი, ძლივს მოასწრო შეყიირება და კიდეც ჩაიძირა. როცა თვალი გაახილა, ირგვლივ კამიამა წყალი იდგა. მალე სუნთქვა შეეკრა. წყლის ძლიერ ნაკადს წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია და მდინარებ კლდეებისკენ ჩაითრია. ისლა მოახრისა, ფსკერზე დაპკრა და წყალმაც ზემოთ ამოაგდო. მოცურავეთა შორის ყველაზე უცუროსმა, ავთომ სწორედ მშინ ჩასჭიდა ზებეში ხელი და ნაპირისკენ გაითრია. წყალნაცლაპი, კასრივით გაბერილი ფეხებით დაჭიდეს და წყალი წვარწვარით გადმოადინეს. სული ძლიერება მოითქვა. ზოგი მის ღვილას შეშინდებოდა და თავს სულ დანებებდა წყალს, მან პირიქით: მოზრდილებს მიზანეთზე გადაბმული გოგრები გამოართვა და ასე გოგრებში ჩაწოლილმა დაიწყო ცურვის შეწავლა.

მაღლ ისე გაიწავა, რომ ღურლუმელასა და გრძელ ღარისთვალს ისარივით აჭრიდა სიღმე.



აქედანვე, თითისტოლა ბავშვი ოცნებობდა, კარგი მოცურავე გამხდარიყ უნულ შედება ნარეჟე დადიოდა. ზამთარშიც, უურისძირის მეზობელს ივანეს დასლევდა. ივანე მაინც მთელ სოფელს აკვირებდა. თოვლშიც კი ბანაობდა მდინარეზე. დილიდანვე სხეულს ციფი წყლით ან თოვლით დაზელდა და მთელ დღეს შრომა-ლილნში ატარებდა. თავიც არ წამოტკიფდებოდა.

დათო ისე დაოსტატლა ცურვაში, რომ ორი წლის შემდეგ სხვა ბავშვიც გადაარჩინა დახრიბდას და ამით თავიც მოსწონდა.

საშუალო სკოლის შემდეგ ციჯულტურის ინსტიტუტში, სწორედ ცურვის ჭგუში ჩატარიცა და სპორტის ოსტატიც გახდა. ინსტიტუტიდან ამ ზღვისპირა ქალაქში გააწილეს პედაგოგად. ბინაზედაც ბიძასთან მოეწყო. მალე ხანშიშესული ბიძა-ბიცოლაც გარდაიცალნენ და მათ ბინაში მარტოკა დარჩია.

შემდეგ?.. შემდეგ ამ საცურაო აუზში ამინშე თავიც ვერ წარმოედინა.

საყვარელსათვის ბავშვები იყო უკელაფერი. მათ გარეშე თავიც ვერ წარმოედინა. პატარებისათვის ჭიბე ყოველთვის ტკბილეულობით ჰქონდა სავსე.

სპორტსმენსა და მწვრთნელს, თავდანვე ჰქონდა. დათქმული, ლვინო იშვიათად დაეღია. სიგარეტი საერთოდ არ მოეწია და ამ გზით დანაზოგი თანხით ნაცნობი ბავშვებისათვის კამფეტები ან ნაყინი ეყიდა. ამ პირობას იგი პირნათლად ასრულებდა. მეზობლის ბავშვებს კამფეტებს ან ხურდა ფულს ჰყერში აუყრიდა ხოლმე და ჰაილა, ატკედებოდა ერთი წეწვა-გლეხა, მიწაზე კოტრიალი, თავად სიამოვნებისაგან ხარხარებდა.

გრძელი, სპორტული ნაბიჯებით მომავალი მისი ახმახი ფიგურის გამოჩენა პატარებში დიდ ურიამულს იწვევდა. უკელა მისკენ გარბოდა.

— დათო ბიძია გამოჩენდა!

— საყვარელა მოდის!

— კამფეტებს მოგვიტანდა!

— ნაყინი ფულსაც მოგვცემს..

— სათვეზაოდ წაგიციანს!

— ცურვას შეგვასწავლის!

— დათო ბიძიას გამოაჩინოს!

ვინც მიასწრებდა, უფრო მეტი კამფეტიც და ხურდა ფულიც მას შეხვდებოდა. თავად კი სიცილ-ხარხარით უკელას სათითაოდ მიერადეს სებოდა და დაწვრილებით გამოკითხვდა სკოლაში მიღებულ ნიშნებზე, სპორტზე, მშობლებზე.

თავიდან ბავშვების მოყვარე ასეთი კაცი ბოლომდე ასეთივე დარჩია.

საშახურში, სამსახურის გარეთაც, შეჯიბრებებზე, მეზობლებში, უკელგან ბავშვებთან უხდებოდა ყოვნა. ამიტომ სპორტული კომპლექსის მშენებლობაზე ბავშვების მთელი ამქარი დაეხმარა როგორც ითუყვიან: „თითო ბარი უკელამ დაქრეპა“. ეს ბავშვები საყვარელას ხშირად მშობლიურ სოფელსაც გაახსენდა. სოფელში მისი დედა, პედაგოგი თამარი და უმცროსი და დარეგანი დარჩინა. დარეგანი მალე გათხოვდა და თამარი მარტოყა უკელიდა მამაპაბისულ ეჭო-მიდამოს, დედა-შვილმა ქველი ფიცრული ოდა-სახლის ნაცვლად ახალი, ორსართულიანი აგურის შენობა ააგო. შემდეგ დედა პენსიაზე გავიდა და ეჭის დასტრიალებს თავს. დათო კი ქალაქს შემორჩინა. სოფელი საბორტსა და განსაკუთრებით ცურვას დიდი მომავალი არ ჰქონდა. იქ ცურვის მასწავლებელი არ ჭირდებოდათ.

ბავშვების ასეთი მოყვარული კაცი, თავად ჭერ კიდევ უცოლშვილო იყო. თამარი, გეთილი, სათონ ადამიანი დღე და ღამი ნატრობდა სიცილის დაქორწინებას. ხშირად გვასტავდა ხალხურ სიბრძნეს: „მოიყვან ინანებ, არ მოიყვან მაინც ინანებო“. დროში



სინანული ხვიბია, შვილები ადრე მოგესწრება. მრავალი გაუთხოვარი გოგოა და რომელიც მიმდევარი შეიძლო, მაგრამ უშედეგოდ.

დათოს ზოგი შესახედაობით არ მოსწოდა, ზოგიც სწავლა-განათლებით და მედლუ-შეხვალიერავით ემართობოდა.

თავარი თავადაც შეუდგა სარძლოს შერჩევას. გაუთხოვარ გოგოებს ყურადღებით აკვირდებოდა. თან შვილსაც მიეძალა, რატომ არ ქორწინდები, მიზეზი მითხარიო.

ბოლოს და ბოლოს მთავარი მიზეზი შვილმაც გაუმხილა:

— ახლანდელი გოგონები მრავალშვილიანობას თავს არიდებენ. ბევრი შვილი მინდა მყავდეს და ჩემი ჭკუისას დავეძებო.

შშობელს მწარედ გაუცინა: — შვილო, მაგას ცხოვრება გიჩვენებს. წინასწარ არავინ მოგცემს პირობას, ბევრ შვილს ვიყოლიებო. მასე სულ უშვილძიროდ დარჩები. თავად გამოგირჩევ საცოლეს და შენც თუ მოგეწონება, შეირთო.

— ვნახოთ... ოღონდ, ვინც არ უნდა შემხვდეს, ჩემსას მაინც მივალშევ. ჩვენს გვარს მრავალ გამგრძელებელს შევმატებ. შენს გამორჩეულზე დავქორწინდებიო, — დაეთანხმა იგი დედას. ადრე სტუდენტობისას და შემდეგშიც ნაცნობ-მეგობრებში დათო სულ მრავალშვილიანობას იჩემდება და, ამიტომაც ვერ ქორწინდებოდა.

— გრავალ შვილს, ბევრი ხარჯი და კეფის ფანა დასჭირდება, მასეთ პირობას ახლანდელ ქალშვილს წინასწარ ნუ წაუყენებ, უბრალოდ, ჩასჭიდე ხელი და მოივა-ნე, შვილების რაოდენობა შემდეგ გამოჩენდება, იქნებ მდიდარი საცოლეც შეგხვდეს და ბევრი შვილის გაზრდა აღარ გაგიჭირდებაო. — ჭკუას ასწავლიდნენ გამოცდილნი, ცოლშვილიანები.

— ხელი ჩავსჭიდო და წამოვიყვანო? — საქონელი ხომ არ არის... თავად უნდა წა-მოყენე. ხარჯი? შვილებისთვის ხარჯი ალალია. მდიდარი საცოლე? მისი მშობლები მიღიონებიც რომ იყოს, მაინც ჩემი ხელფასით გაფზრდი შვილებს. სხვისი სიმდი-დრე ჩირადაც არ მიღიოს... უველავე დიდ სიმდირე მრავალშვილიანობაა, გენაცვალეთ, რა ხელია ერთის პერანგს. მომდევნოს რომ ჩაცმევ. მიმიქარავს ვრცელი დარბაზები, მანეანა და ფულით გატენილი ჯიბე, — ფიქრობდა იგი.

ჭლები კრიალოსანივით იმარცვლებოდა. ოცდაათამდე ნელა, საათივით წეტილი, თითქმის უხმოდ და შეუმჩნევლად... შემდეგ კი თავდალმართში დაგორებულ ურემივით ჩახრახით.

საყვარელას დალევაც შეეძლო და ენამშევრობაც. შესანიშნავი თამაღობა გამოს-დონდა. სადლეგრძელობებს სულ დექსებთ ამიობდა.

სწორედ ასეთმა თამაღობამ გადაწყვიტა მისი დაქორწინების ბედიც.

სოფლად, მამიდაშვილის ქორწილში თამაღდა დააყენეს და იქვე მყოფ სალომე წილობისან იგი სასიძოდ მოსწონებია. თავისი ქალშვილის ნანასთვის გაეცირა.

ამის შესახებ მალე თამარსაც შეატყობინეს, — უნ რაღას იტყვიო. თამარმაც სარძლო შორიდან შეათვალიერა და შვილს ურჩია: სახე სწორი და ლამაზი ქალია. პედაგოგი, უნივერსიტეტამთავრებული, კარგი ოჯახის შვილი, გაეცანი და თუ ჭკუაში დაგი-ჭდეს, შეირთე, მგონე არ შეცდები... ნანა წილობისანია. ოღონდ შენებურად, მრავალ-შვილიანობაზე წინასწარ არ გააფინო ენა, საქმე არ ჩაშალო. შვილები შემდეგ გაჩნდებან.

— ნანა პევა? — შეცბა დათო.

— კი შვილო... არ მოგწონს სახელი?

— პირიქით... კარგი სახელია... მარტო ყოფნაც მომწყინდა...

— პოდა, საჭმეც არ გააჭიანურო.

დათო მიბუვა მშობლის რჩევას და ნანა წილობის გაეცნო.

პირველი შესვედრების შემდეგ დედასთან გულახდილად აღიარა: — კარგი გოგო ჩანს, შეიძლება მისი ცოლად შერთვა, ოღონდ კიდევ დაფიქტრდები. ახლა სასწრავთან მიღლინებაში მივდინარ, თბილისში, იქაც გავიკითხავ, უნივერსიტეტში, მის შესახებ და დაბრუნების შემდეგ დაწერილებით ვილაპარაკოთო.

საქმე წისქვილის ქავასით დატრიალდა. საყვარელას დაბრუნებამდე უკელაფერი გადაეშვითათ, ორივე მჩარე საქორწილოდ ეჭიადებოდა.

დედამ დათოს სანიშნო ბეჭედი და ოქროს საათი ნაყიდი დაახვედრა. ლვინო და პროდუქტებიც შეერჩიათ და დაეთავისთავებიათ.

სინამდვილეში, საყვარელას თბილისში მიღლინება არ ჰქონია, უნივერსიტეტის ლექტორი, თავისი ბიძაშვილი ნახა და ნანას შესახებ ვრცლად გამოჰყითხა. ბიძაშვილმაც შეუქმ წესიერი და კარგი სტუდენტი იყო.

და მაინც, მოულოდნელად, ასე „ერთი ხელის დაკვრით“ დათო საყვარელიც დაქორწინდა ნანა წილოსანზე ყოველგვარი სიყვარულის გარეშე! ქორწილიც კარგი გამოვიდა. სოფელში, თამარის ხათრით, ყველამ თავი გამოიდო. მაგიდას „ჩიტის რძეც არ აკლდა“. ხალხმრავალ, გრძელ საქორწილო კარავშ ტევა არ იყო.

დათომ მოზრდილი მაგიდა, ცალკე, ბაგშებს დაუთომ და ქალაქიდან ერთი ავტობუსი ბაგშეგბისათვის მოაყვანინა. პატარებს დიღდებზე უფრო უსაროდათ საყვარელას დაქორწინება. კარგი საჩუქრებიც მოუტანეს საყვარელ მწვრთნელს.

მალე გაირკვა, რომ საყვარელა აჩქარდა.

მრავალ სპორტულ შეჯიბრებაში გამობრძედილი, დინჯი, მომთხენი, ცხოვრებაში წინდახედული, გამოცდილი სპორტშენ და მწვრთნელი, ასე არასდროს აჩქარებულა, მართლია, ადრე ცულიც საქმაონ იშოგნა, მაგრამ ხელმარტო, უცოლო კაცს უმიზნოდ შემოხეხარგა და დასაოჯახებლად ეკონომისტრადაც დელისმებურე დარჩა.

ამ აჩქარების შედეგმაც მალე იჩინა თავი. ჭერ ფარულად, შემდეგ კი ცოლ-ქარს შორის აშკარა შეხლა-შემოხლით და თავის ცველებით. ნანას ქალაქში ორი ძევლი თთახი არ მოეწონა, ეცოტავა, სოფლად, წლების მანძილზე აგებულ ორსართულიან სახლს არაფრად აგდებდა. მისთვის მანც მთავარი ქალაქი იყო.

ისინი ცხოვრებას და ცოლებმრიანასაც სულ სხვადასხვანაირად შეუტრებდნენ. საყვარელამ პირდაპირ განუცხადა ნანას — მრავალი შვილი უნდა ვიყოლიოთო. ნანამ ერთზედაც უარი განაცხადა. სწორედ ეს გახდა მათი შეხლა-შემოხლის მთავარი მიზეზი. ნანა თურმე უართო ბინიან და ბევრ ცულიან ქმარზე ოცნებობდა. საყვარელას კი ხელფასით ცხოვრება ჸქონდა გადაწყვეტილი, რა თქმა უნდა, ხელფასით ცულიან ვერასდროს გახდებოდა. „ხელფასი და შვილი“ ყურს უხვრეტდა ნანას.

ხასიათებითაც განსხვავებულნი აღმოჩნდნენ.

ნანა ფიცხი, და თოფისწამლივით ფეხებადი, როდის რა ეწყინებოდა ან გაუხარებოდოდა წინასწარ ვერ მისვდებოდი. უბრალო რამეზე ავარდებოდა და უხეში სიტყვების დაუკურნებლა, უხეში სიტყვები? მოგეცათ ლხენა... მთელ დღეს აღარ განელეოდა, დაზოთხული ჸქონდა, უხეში სიტყვების მთელი ლექსიკონი. დალლაში იგესლებოდა.

საყვარელა ალალი გულის, პირში მოქმედი და პირდაპირი, თავის ნათევამს არა დროს გადავიდოდა. ნანას უხეში სიტყვები სმენას უტიშოდა. მომთხენი და ღიან ნებისყოფის იყო, მაგრამ ბოლოს მანც ატყდებოდა, და ველარც გაჩირებოდა. განებისყოფის იყო, მაგრამ ბოლოს მისამართით ნათევამ დამამცირებელ სიტყვებს. ეს საკუთრებით ვერ იტანდა დედის მისამართით ნათევამ დამამცირებელ სიტყვებს. ეს კარგად იცოდა ნანამაც. პირდაპირ თამარს აპრალებდა ჭიშეცარიელი საყვარელას ცოლობი გახდა და კისერი მოიტეხა.

— უფლი! გააჩინე უფლი! — ყოველდღე გაიძახოდა ნანა. ხელფასის შემუტებები ცოტა გადაიტანა  
სპრეტსმენს საიდან ექნებოდა ულამდე უფლი? ბაგშებთან მუშაობით და საცრაო  
საქმიანობაში დიდი უფლი როგორ ეშვენა?

დათოს სამსახურიდან სახლში ჰელენებურად აღარ მიუხაროდა. გვიან ღამემდე სა-  
ცურაოში ითერევდა ცეს. კაცი დღე და ღამ შვილებს ნატრობდა. მრავალი კი არა,  
ერთიც საოცნებო გაუზდა.

იქნებ სამსახურმა შეუცვალოს ხასიათით, დატრიალდა და ნანა იქვე, სკოლაში  
მოაწყო მასტავლებლად მთელ განკვეთ ნახევარზე. ყოველდღე ექვემდებარებოდა გამოსილიოდა.  
უფრო უარესი დარჩა. ახალი მიზეზი გამონახა. სამუშაოთი ვარ დატვირ-  
თული და უცილი ხელს შემიშლის. ერთზე შეტი მაინც არ არის საჭირო და იმასაც  
მოგვიანებით მოვეცხვებით. ხარჯის უცილი სულ მც შემომაჯეს ოჯახში. ტკილად  
დაუიალებ დილიდან დაღამებამდე, უნი კაპიკებით უცილი არ ისჩინება. „მიზეზ-მიზეზ  
დოს, მარილი აკლიან“ და საყვარელას ნანატრი უცილი არ ჩანდა.

მოკლედ, მთილან დაგორებულ ქვას, ხეგშიც სალი კლდე და კანანი გააიღო.

— ბევრი ფული და ჭერჭერობით არც ერთი ბავშვი!.. შემდევ მხოლოდ ერთი...  
— სულ გაიძახოდა ნანა.

დათო რასაც გაურბოდა, იმას გადაეყარა. ქვას ფეხი კი არა, მუხლიც წამოჭრა.  
ცოლის სიყვარულით ისედაც არ გუდებოდა და უშვილობის გამო სხეულში სულ კლე-  
ბი ჩინდებოდა.

ნანას ბავშვობილანვე ბევრი წიგნი წაეკითხა. სათავგადასავლო რომანებში რომ  
ეწერა, ცოლქმრიაც ისეთი ეგონა: რომანტიული, წინააღმდევობების გარეშე, ხა-  
ლიჩებით მოფენილი, დათაფლული და, უზრუნველი. სალი იქროვერცლით საგეს.  
ქმარი ცულით ჭიბეგატენილი. „ქალბატონი, რას ინებებთ და მიირთმევთ“... — არა-  
ვინ ეპატიუებოდა.

თურმე ცხოვრებაში უმაღლესი დაპლომის გარდა საჭირო ყოფილა ოჯახური საქ-  
მიანობა: ჭრა, კერვა, რეცხვა, საჭმლის მოზალება, სტუმრების პატივისცემა და ხშირად  
უცულობის გამოცდაც. იგი უცელაცერს წაკითხულის თვალით უცემერდა და დათოს  
რომანებით წარმოდგენილ მოთხოვნებს უყენებდა.

„გრაფი მონტე ქრისტო“, „სამი მუშკეტერი“, „პოლი და ვერუინი“, „ვერტერის  
ვენებანი“, „მანონ ლეხკო“, „წითელი და შავი“, ბალზაკი, დიუმა, პიუვო, ტოლსტიო,  
დოსტოევსკი, შემინგური, დიკენსი, სხვები და სხვები... ქმრად კი საყვარელა!.. აი ტრა-  
ვილია. არც ერთის მოგარ გმირს არ ჰვავდა იგი. სულ სხვა იყო. უბრალო და პატივი...  
და ნანა გულშე სკდებოდა: ამას ვის გადაევევარე, სპორტისა და ბავშვების მეტი არა-  
უერი ასეოვსო. მილიონერები მეძლეობინენ და ეს ვინ ჭიბეგატენილი შემხვდათ.

ამას ასაშიც საკმაო სხვაობაც დაემატა. — ათი წელი! საყვარელას სხვანაირი ნა-  
სითი ასაკის ბრალიც არისო. ეჩვენებოდა, თავად ახალგაზრდას და ულამაზესს ხანში-  
უსული და მახინჯი ქმარი ჟყავდა.

დათოსაც უყვარდა მხატვრული ლიტერატურა, მაგრამ მათში აღწერილი ცხოვრება  
წარსული ისტორიის საკუთრებად მიაჩნდა. დღევნიდელი აღამიანი ისე ვეღარ იცხოვე-  
ბდა.

დათოს აღარ მოსწონდა ნანა, მაგრამ დედასთან არ იმჩნევდა. თუმცა თამარის გუ-  
ლი უცელაცერს ამჩნევდა და გრძელობდა.

ნანა თავისი ხასიათი თანდათანობით ბოლომდე გამოამჟღავნა, თავის თავს ყო-  
შილ ნაბიჯზე აყვერილა ქმარს: — პედაგოგი ვარ, ხალში დაფასებული. უცნებ ბევ-  
რად ახალგაზრდა, სისხლითა და ხორცით სავეგ, სახახლო ოჯახის შვილი... მშობლებმა

ამინვიეს თვალი და გამოგუევი უშნოსა და წყალწალებულ სპორტსმენს. მადლობა  
თქვი შენი ცოლი რომ ვარ და კიდევ შვილები გავაჩინო? შიმშილით დეწონებულია  
რომ გაცხარდოთ? გაკეთილებას ც ვერ ავუდიგარ და ჩივილის ჭყაბინი მინდა? სხვისგა  
შვილებია ამომიღეს ტვინი თავში და ჩივიც გავაჩინო? ისიც შენსავით უშნო და  
მახანგი იქნება... ამ სინის კაცს ბავშვის ჭყუა შეგრჩა. მთელი ქუჩის ბავშვები რომ  
დაგდევენ, სწორედ მათი შესაფერისი ჭყუის ხარ. ხაცურაო აუზში შენ დღე და მოს-  
წრება ჭიბეგაფხევილი იქნები... ამიტომაც ალარ მაქვს შენი იმედი და არც შვილს  
ვავაჩინო. ჯირ სხვა, უფრო სარტყანი სამსახური გამონახე, ხალხი გაკეთდა, შენ ფეხზე  
გძინვას... ბავშვებს ცურვის სწავლება რაში სჭირდებათ, თევზებია თუ? მშობლებსაც  
გასახრებულიდ ფულიც მოთხოვე, დღე და ღამე თავს რომ ევლები მათ ცინგლი-  
ნებს. დღეს ხელფასზე აღარავინ ცხოვრობს... ფულია ახლა ოქახის ღმერთი...  
— დანაზე ეხეოდა იგი... .

ესდა აკლდა საყვარელას, ცოლს შეეკითხოს: სად იმუშაოს, ბავშვები უყვარდეს თუ  
არა... ბავშვი თევზია თუ ადამიანი... ანდა ცურვის სწავლის საფასურში მათი მშობლე-  
ბის ძარცვა-გლეხა დაიწყონა!..

სიდედრის, ხალომეს სტუმრობისასაც ნანა მშობლებსაც შეუტევდა ხოლმე, —  
შენ რომ დაგიგრე, იმიტომ მიღის ჩემი საქმე უკუმა. ღარიბსა და ღატაქს გადამკი-  
დე.

დედაც აყვებოდა ფეხის ხმას, ჩემს შვილს თურმე სიდარიბეში სული ქვებაო და  
ორთავენი საყვარელას შეუტევდნენ. შეტევასაც გააჩინა. ცხელ ნალვერდალზე წვავდ-  
ნენ. უშვილობას კი არც ახსენებდნენ.

რატომძაც ნანას ორსულობ ბოლომდე არ მიღიოდა.

დათომ შიგვიანებით შეამჩნია, თურმე იგი აბორტზე გინეკოლოგ გულნარა ხაფ-  
თასთან ჩხირებულობდა და მოთმინების ფაილაც აეცხო. თვალებიდან სულ ნაპერწ-  
ლებს ჰყოიდა. გულნარა ხავთასზეც ცოჯს ანთხევდა.

— როგორ? კაცი შვილს ვნატრობდე და შენ, ჩემი ცოლი, აბორტზე დაძვრებოდე?  
ისიც გულნარასთან, ჩემს ნაცონბთან? ჭანდაბას ასეთი ცოლი, მიგათოვებ და სხვას შე-  
გირთავ. თუნდაც სულ მახინებს, მაგრამ შვილების გაჩენის ჭიშრებელსა და მოყვარულს;  
შენ შვილი საერთოდ არ გინდა... და მომავლის იმედით ტყვილა წყალს დაყავ... შვილი  
ან გაშორება!.. პირში მიახალა ცოლს.

საყვარელას თავისი საიდუმლოებაც ჰქონდა:

სტუდენტობის დროს სხვა უყვარდა, ისიც ნანა, ის ნანა სხვაზე გათხოვდა, უფრო  
მდიდარზე, კარგ ბინანცე, მანქანიანცე და შემდეგ მისი ასავალ-დასავალი აღმარც  
აინტერესებდა. მასაც არ უნდიდა შვილები ბჟოლობა და აშიტომ ჭაიჩხუბენ. დათო  
იგი გაგიუბით უყვარდა და დათქმულ ჭიონდა იმ სიყვარულის საპატიცებულოდ მის  
მომავალ მეუღლეს „ნანა“ უნდა რემეოდა... სხვას არ შეირთავდა. ნანა წილოსანზე  
მისი დაქორწინების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ესეც იყო... ასე დაეცედა დათოს რო-  
ნანა.

პირველი სიყვარულის შემდეგ დიდი დრო გავიდა. მაშინ ოციოდე წლის იქნებო-  
და. გული კი, წყეული გული, ახლაც ოცი წლის იყო. ველარ დაევიწყებია პირველი ნა-  
ნა და მეორე, თვალში აღარ მოიდიოდა.

მაშინ სიყვარულში გაცრუებულმა დათომ, ფიშკულტურის ინსტიტუტის და-  
მთავრებისთანავე მიატოვა თბილისი და თავი ამ ჭლისპირა, პატარა ქალაქში გაა-  
წილებინა, პედაგოგად.

ნათქვამია: სიყვარული „პრასივით არ მოდისო“, იგი უფრო ბამბუკსა ჰეგავს, ბამბუ-

კივით უციად ამოხეოქავს. მთელი სიძლიერით აილორთქება და შემდეგ გულ-  
ცარიელი დერო მთელ საუკუნეს ცოცხლობს, მაგრამ აღარ იზრდება, გამრავა-  
ლებით? მოგვცათ ლხენა, ბალახივით მოედება მიდამოს, ერთი ბამბუკისაგან მალე  
მთელი კორომი შეიქმნება.

და ასე, უსიყვარულოდ ბამბუკივით გულცარიელი გადაეკიდა იგი მეორე ნანას.  
მაგრამ გამრავლება?!.. გამრავლება არ ჩანს..

საყვარელობ კარგად იცოდა ჩეუბი და ჭიუტობა შეიოს არ მისცემდა. სადღაც დათ-  
ხობაც იყო საჭირო. ხალხი იციქრებდა, იქნებ ქმრის ბრალია. უშვილო მამაკაცებიც  
ხომ არიან ამ ქვეყნად. ამიტომ ამ უკმაყოფების გახმიანებასაც ერიდებოდა. ორი მე-  
ტრიის სიმაღლის მხარეებიან ჩასკვნილ-ჩაკუნთულ სპორტსმენს, სახე სწორსა და გრუ-  
ზა, ხუჭუჭმიანს, დალაგებულად და მოსწრებულად მოხაუზრეს, თანატოლებთან და  
მეგობრებთან, ადრე უცოლობის სცხვენოდა, ახლა უშვილობა გაუხდა უფრო სასირ-  
ცხო. და დარეგანი დიდი ხანია გათხოვდა, თავისი გზა გამონახა, საყვარელიძეების გენი  
და გვარი კი მან უნდა გააგრძელოს...მისი მთავარი მოვალეობა.

აღრე გარდაცვლილი მამის მამაპაპურ გენზე სიცოცხლის გაგრძელებაა საჭირო.  
ამაშია საქმე.

შვილების სადღეგრძელოზე მაგიდის ქვეშ ჩასაძრომს დაეძებდა. შვილის მოლოდი-  
ნი ყველზე ჩვარივით ჰქონდა გაჩერილი და სულს უხუთავდა. ამიტომ თავს არიდებდა  
ქორწილებს, გაშლილ ბანკეტებსა და გრძელ სადღეგრძელოებიან სხვა თავშეურას.

— რა ჯანდაბაზ წამიყვანა მაშინ მამიდაშვილის ქარწილში. იქ დაიწყო უკელავერი.  
მაშინდელ ჩემს თამაღლობას მოჰყვა ნანას გაცნობა და ცოლად შერთვაც.

— თავიდანვე უნდა გამერკვია ნანასთან, შვილებს თუ იყოლიებდაო — თავის თავ-  
ზე ბრაზობდა დათო.

იგი მაინც შეეცადა, თბილი სიტყვით ნანას დარწმუნებას შვილის გაჩენის აუცილე-  
ბლობაზე.

დრო შეურჩია და დაწყნარებულ ხასიათზე მყოფს შორიდან დაუწყო:

— ნანა, გენაცვალე, რასაც გეტშვი, დაჩივერ...

— მაინც რასე?

— ნანა, შენ არ ხარ სწორი...

— რაში „ბატონი“?

— შენ სახელს არცხვენ.. დიახ, ახეა...

— სახელს გარცხვენ? იქვინობაც დაწყე?

— იქვიანობა რა შუაშია.. სწორედაც, სახელს არცხვენ.

— რით ვარცხვენ „თქვენო აღმატებულებავ?“

— უშვილობით, გენაცვალე...

— უშვილობას რა საერთო აქვს ჩემს სახელთან?

— ძალიან დიღი... შენ „ნანა“ გევია და არ გაქვს უშვილობის უფლება.

— რატომ? — გაუკვირდა ნანა.

— იცი? თავიდანვე მინდოდა ჩემს ცოლს „ნანა“ რემეოდა.

— მერე და გაგიმართლა... ნანა ვარ...

— შენ არ ხარ ისეთი ნანა..

— მაინც როგორი? ვერაფერი გავიგე..

— იცი? ნანა უძველეს დროში მზის, სინათლის და ნაჟოვიერების ქალღმერთი

— ոչ... ուշրմբ համո պայուղա սայմե! Ցըրյ? — օհռնոյլաց ցայցունա նաճան.

— Հա օմ վաղմբերտօնաւուս արօս մօձլցնուու պէցըլցըս սայցն սաշալլիցըլցը, „օգնանա“, սեցքօնց... ատասօնծու լոյցիս, ջլակարո, ցամուցան ու թոտերնօնամաւացը նաճան սկզբուու Հա վիճնջըս սաշըլուա. ցամոցի? եսլոն մզըլլացան პօրցըլ հոշին օս Հա նաճան սմլլրուունը. օաց պայլաց սապարու պայզուու մօահիճնատ.. նամուունուն տագու մելլուց, պահուունաս, դամացքու լուց օս տագուուց իշխնուա.

— ???

— „օգնանա“ դանունուուն „ծառնեցնուուսացան“, յ. օ. օնցյէլուուրո Ծաացալցեցնուուսացն ացալցիուու ծացնուու ցանցյուննենա ոյու. եսլոն վաղմբերտ նաճան տեռու ծացնուու ցանցյուննենա և հոցուր ցցոննա? գուց թարմացնուուտաց. լուսիյուուրուու մօահիճնեցնեն Ծաացալցեցնուու.

— Բանց պէր ցազոցց, հոսո տիմա ցոնճա, հա Շուամու վաղմբերտու և նամուունուն անճա օնցյէլուուրո Ծաացալցեցնու?

— Ենացուու, ցըտուուց „նաճան“ և Շուուու ար ցազոցց? զուուս սմլլրուն „օգնանա“? սուրբքուու ար արօս?

— ոչ, մօցրտու իշմո... օսց Հա օսց Շուուու... Շուուու մարտու „օգնանա“ ցաշուճու գուցնուու սփորհնուու... իշմու ամենաց մօլուունուրո յիմարո կըցաց և յուր Շուուու մլոց շուճուան.

— Մենց ըլուուց իշմու մօլուունուրոնած?

— Ասա, հոցուր!.. տաճաց մթօնծուարոնա վալս ամաենքնուցն?

— Ծասկցուուրո մհացալմշուունան վալս օնուրաց մթօնծուարոնատ լուսիյուր սուլամիւցն ար կըցարցացն. Պօրիոյտ, բանցյանարոնա և ջանմիրուունած ծոռոմթու նահիւնեցնեցն. Ցոցոյրտ վարտուու վալս չըլմիւր կըցանաց մօահիճնա տացու: „Եցրու Շուուու սուրբքու լուս ցամօնթարենսու“, արց յու արօս սփորհու? գուց մհացալմշուունունած ագենու ցանցածու პերյաման և Հա տեղուունուած.

Ենա ուժաց մթունա:

— Հուտ ցաշուճուու? մաշոն յուրու մեց դամիչուրո, իշմու մթօնծուուցն ցուուու համեմարեցնա.

— Արացուտարո. մատ Մեն ցաշուճուու, ցաշուճուու և Հա ցատեռուցն. մատենցրեց ար ցարտ. եցըրնչ սկցուուս երլուցաեցնուու ցաշուճ, ցենցուու. ար ցացուուրուուցն Շուուու ցաշուճ. մատ տագուս սակունցաց եցըրու յէցտ իշմու կարցո, գուց մօահիճնուց մօնցած Ցինցան. Սուցլաց միելլա ցար-մուզամու ցաշուճ.

— Սուցլուս և գուց միելլու արացուրո ցամոցացու. օգո իշենցան Շուրսա. ցյոնու մօցրուաց հոմ մօցմէլլացիւուցն, մաշոն.. քէր ալհրց, Մեթուց ցաշուճուու վալմբերտու նաճան.. — Համիոնացաց ցանլունա նաճան. դատու սօնիացուսացն սօնելու պայլա և յէշիսածու ցաշուճ.

Սուցլուս և գուց միելլու արացուրո ցամոցացու. օգո իշենցան Շուրսա. ցյոնու մօցրուաց հոմ մօցմէլլացիւուցն, մաշոն.. քէր ալհրց, Մեթուց ցաշուճուու վալմբերտու նաճան.. — Համիոնացաց ցանլունա նաճան. դատու սօնիացուսացն սօնելու պայլա և յէշիսածու ցաշուճ.

— Եսմարու ցրէնոնծ Սուցլուս թրացընած պայլուու մուռուուն աստմասացու սուլուս Մեթուց ուցուու. դատու ուցլու գուց ամի իսինցն ենցն, դրուշյա սակուրո. սաճան մալու Մեթուց և յէշիսածու ցրէնոնծ նաճան պայլուու մօահիճնու պայլուու.

(ցաշուճուու օյնեցն)

ისრაილ ქარა(შავიშვილი)

## საღამ ჭრის მთავრებები

8. ჩირუე ანუ ახლოდან ნახული იცოდა

ახლა რასაც ვიტყვი, ალბათ ძნელად დაიჭერებს, ვისაც ასეთი რამ იღესმე ან არ უნახას ან არ განუცდია. სიტყვა შორიდან დანახულ დიდ მემლექეთს, შორიდან დანახულ აჭარის მთა-გორებს ეხება. საქმე არის, რომ ვიდრე აქ მოვიდოდი, ვიდრე ამ მიწას ფეხს დავადგამდი, ბევრჯერ აღრეც ვიყავი მისი სტუმარი... თვალ-მზერით! ჩემი მშობლიური მხარე ართვინია, სოფელი შოლთასხევი. ჩვენს სოფელში და საერთოდ ჩვენს მხარეში მომთაბარე მესაქონლეობას მისდევენ, ისე როგორც აქ, აჭარაში, ქათიჯვარი, უწყლოფერდი, კარისათი, ღიღველი, საბუდარი, წასახედავი, ბერიყლდე, ორთვალი წყარო, ქალიწყარო, სარიჩაი (ყვითელი ჭალა), კინიჯვარი, წითლობი, ფიქალთავი, გორგოშის-სერი — ეს ის მთებია, სადაც დღესაც ჩვენი მომთაბარეობაა. ჩვენებურები ზაფხულობით ამ მთებზე ჯიშიან და გამძლე ართვინულ საქონელს ასალახებენ და წველიან. ზაფხულობით, შეიძლება ითქვას, ნამდვილი ართვინულ-შავშური ცხოვრება სწორედ ამ მთებზე დუღს და გადმოდუღს. პოდა, ჩვენ, ართვინელ ბავშვებსაც, ჩვენი ნამდვილი ბავშვობა მ მთებზე გავვიტარებია. ჩვენებურებს უყვართ ეს მთები, რადგან ისინი ძლევენ მათ სარჩოსა და საბადებელს, ჰაერსა და წყალს. კიდევ და კიდევ ჩვენებურებს იმიტომაც უყვართ ეს მთები, რომ სწორედ აქედან შეიძლება თავისუფლება მისცე, წუთით თვალი ყოველგვარ ზღუდეს მოარიდო, აქეთ გამოაქციო და დიდი მემლექეთის სანუკვარ მთა-გორებს მიმოვლო... მეც, როგორც ჩველა შავშელ და ართვინელ ბავშვს, ჩემი ბავშვობა ამ მთებზე გამიტარებია-მეთქი და ბევრჯერ, უფროსების მიერ აქეთკენ მოპყრობილ სევ-დიანი მზერისათვის, აქეთ დარჩენილი ქართული მამულ-დედულისკენ მოქცეული მზერისთვის ჩემი ბავშვური მზერაც გამომიღევნებია. მე-

რე, როცა წამოვიზარდე და ამ მზერისა და სევდის ნამდვილ მიზანს  
ჩავწედი, თვითონაც ბევრჯერ, ჩემთვის, ჩუმად მიმზერია აქაურობების  
თვის. რა ახლოს იყო აქაურობა ჩვენი ართვინული სერებიდან და თავის  
უძრას! აქეთობაზე იტყოდნენ, ბევრი ჩვენებური ციცაი იქაურ ლამაზ, ღო-  
ნიერ, მხარბეჭვნიერ ბიჭებზე გათხოვილან, ახლა იქ იმათი შთამომავლე-  
ბი ჩვენი ღვიძლი ნათესავები არიანთ, რარიგად მსურდა და მენატრე-  
ბოდა ახლოს მენახა ყოველივე ეს!

ჰოდა, ის უნდა ვთქვა, რასაც ამ თავის დასაწყისში შეგპირდით:  
ნათესავები ვნახე, შთამომავლებსაც გავეცანი, მაგრამ დამრჩა ის ბავშვ-  
ობისღროინდელი ნატვრა: მენახა აქაური ზღაპრული მთაგორები, გად-  
მომდა სარიჩაირი და ჩირუხი, ის პატარ-პატარა და კოხტა მთის ოდა-  
ქოხები, საიდანაც მუდამ ცისფერი კვამლი ამოდიოდა და იქით დარჩენი-  
ლებს აქაურთა ღონიერი ცხოვრების ამბავს გვატყობინებდა.

ლამაზი, მთებისთვის ჩვეული ცინცხალი დილა გათენდა. გოგაძე-  
ების თავზე თეთრი დედოფალივით წამომდგარ ზაფხულის პაპანაქება-  
შიც ჟი ჯერ კიდევ თოვლით დაფარულ წმინდასერის მთის წვერს თვა-  
ლი შევავლე და უმალ ჩირუხის მთები მომავონდა. დაუძლეველი სუ-  
რავილი გამიჩნდა — ხელიდან არ გამეშვა შემთხვევა და იმ მთებსაც  
ვწვევოდი ბარემ. სოფლიდან მთამდე არც თუ ისე ცოტა მანძილია,  
ოთხმოცამდე ძნელი კილომეტრი უნდა იარო თურმე გამძლე, მთის პი-  
რობებს შეგუებული მანქანით, ჩემი სურვილი მოკრძალებით გავნდე  
მასპინძლებს, მეგონა დაიზარებდნენ, მაგრამ შენც არ მომიკვდე, თქვე-  
იქაურობა ჩვენც მოგვნატრებიან და...

რამდენიმე საათში გეზი ჩირუხის მთებისაკენ გვქონდა აღებული,  
თითქმის ოთხი საათი ვიარეთ ტყით, მდინარით, ალპური საძოვრებით  
მდიდარ მთის გზებზე, ბოლოს მანქანამ, როგორც იქნა, უკანასკნელ

•ლმართიც აათავა და...

აპანდე, ჩირუხი, აპანდე სარიჩაირის მთის მეორე მხარე, როგორც  
გაჭრილი ვაშლის მეორე ნახევარი. აგერ ის ოდა-ქოხები, შორიდან რომ  
პატარ-პატარა გვეჩენებოდა. იაილაში შევიდით თუ არა, მანქანიდან  
გადმოსვლა ვითხოვე, მთელი იაილა ფეხდაფეხ გავიარე. უკან მომ  
დევდნენ ჩემი ცოლი ხატიფე და პატარა ზეინაბი. ვიწრო ორლობებში  
და შუკებში საძოვრებიდან ახლახან დაბრუნებული საქონელი მობრა  
ოდა. იმათ ბლავილსაც შემოლობილი პატარ-პატარა ჭალაკებში დამწუ-

ღეული ხბოები ეხმაურებოდნენ, უცებ ყველაფერი გადამავიწყდა და  
ჩემი თავი... შავშეთის მთაზე წარმოვიდგინე. შეგონა, პა გაიღებოდ  
ოდის კარი და იქიდან ხის კიბეზე დედაჩემი ჩამოირჩენდა, რომ გულ  
ში ჩაეჭრა ბარიდან ამოსული, მონატრებული შვილი. და ოქვენ გვი-

ნიათ, არ მოხდა ასე? მოხდა, სწორედ რომ ასე მოხდა. ცოტა ხანიც და მთს ჩვენი იქ ასვლის ამბავი მოედო. მოედო და სწორედ ისე მოხდა, როგორც ჩვენს მთაში ზდება ხოლმე, ყოველი ქოხის ეზოდან ჭალარა მემთეურები კალთაზე ხელის წმენდა-წმენდით გამოდიოდნენ, სამივეს ერთად დედა-შვილურად გვეხვეოდნენ, გვეფერებოდნენ, გვესიყვარულებოდნენ, შინ გვიწვევდნენ, და გულალალი მასპინძლობის სურვილს მელავნებდნენ. ჩვენც, როგორც მონატრებულ მშობლებს, ლამაზ კალთაზე ვეამბორებოდით და გზას ვაგრძელებდით.

მოსალამოვდა. მთას მთვარიანი და ვარსკვლავიანი მთა გვირგვინავთ დაედგა თავზე. ჩვენ ერთ დიდ ოდა-სახლში ვისხედით, გარს მემთეურები გვერტყნენ და ვსუბრობდით. ბევრი გვქონდა სალაპარაკო, საუკუნის სათქმელ-გასამხელელი ერთ ღამეზე უნდა გვეთქვა და მოგვესწრო. იქაური მემთეურები ჩვენებური მემთეურების ამბჯეს გვეკირებოდნენ, ჩვენ დაუზარებლად ვუამბობდით და ვუამბობდით. ისინი ჩვენებურ ამბებს გვაყოლებდნენ, ჩვენ იმათსას ვიგებდით, ხოლო ორივეს ერთად, ჩვენც და იმათაც, გულში ქართული გული გვიცემდა ქართული მიწა-მამულის სიყვარულის ცეცხლი გვიგზუზებდე.

ჩირუხში გატარებული ერთი დღე-ლამიდან ყველაზე მეტად ორი ამ დამამახსოვრდა: ერთი შესვლა და შორიდან ნამზერის ახლოდან ხილვა, ანუ სიზმრის ცხადად ახდომა, მეორეც იქაურებთან გამოთხოვება...

შესვლა იმიტომ, რომ, სანუკვარი ოცნება ამიხდა, წამოსვლა კიდევ მიტომ, რომ იქიდან ერთი ადრე შავშეთიდან გამოთხოვილი და ახლა იქ არჩენილი, აწ უჯვე ღრმად მოხუცებული ქალის, ჰიქმეთის, ნატვრა მოგვყვა: იგი, ისე როგორც ჩვენ, აქაურობისას, თუნდაც ერთხელ შეშეთ-ართვინის მთების ხილვას ნატრობდა. და მე აქვე დავტენ: მშობურ ართვინში დაბრუნებისთანავე მისინები მოვნახე, სასწრაფოდ ასტიურ გავუფორმეთ და მემლექეთში პირველივე წამომსვლელის ხე-თ გამოვუგზავნე.

ბათუმი-ბურსა-ინეგოლი.

1989 წელი, აგვისტო

თარგმნეს ხათიჯა სარაჩა და ებენ დაგითარება.



## როვორი ლექსი უყვარს ხალხს?

ბევრჯერ დაფუძნებულვარ ამ საკითხზე. რატომ? იმიტომ, რომ აზრთა სხვადა-სხვაობაა. ზოგს მოსწონს ფერადოფანი ლექსი, რომელიც გულზე ცეცხლივით მოეც-კიდება, უშუალოა, განგაცლევინებს, დაგაფიქრებს, ზოგჯერ გულს აგიჩუქებს, ზოგჯერ ხელში ხმალს აგალებინებს და გინდა პირდაპირ შეება ბოროტს. ზოგიერთი ლექსი ფერადოფანია, მაგრამ ცივია, როგორც ყინული. ზოგს ასეთი ლექსი მოსწონს, მე კი — არა. ზოგს თეთრი ლექსი მოსწონს, ზოგს რითმიანი. ერთი სიტუაცით, ამ საკითხში აზრთა მრავალფეროვნებაა, მაგრამ მე აქ ვილაპარაკებ მხოლოდ უშუალო ლექსიც და ლექსის სამკაულებზე. ლექსისათვის რა არის აუცილებელი, მაცოცხლებელი, რომელიც მას დათიურ მაღლს ანიშებს?

ავევ მინდა დავხვა კითხვა: რატომ გვიყვარს აკაკი? რატომ გვიყვარს მისი პოეზია? იმის გამო, რომ იგი მეტაფორებით, სამქაულების წარმოჩინებით გვირ-გვირდადგმულია, თუ იმიტომ, რომ — თბილია, უშუალო და ხალხის ჭირ-ვარაშის მტკიცებულად აღმომთქმელია? მარტო ამ მაღლით როდია განათებული აკაკის პოეზია. მისი ლექსი, თუნდ მეტაფორები არ ამშვერებდეს, თავისთავად მხატვრულია. თავისთავად მშვერიერია, სულში პირდაპირ სიყვარულივით შემოღის და გულს გიღერებს. აი, წინ მიდევს აკაკის თხზულებანი. ვინ იცის რამდენჯერ წამიკითხავს და სიკვდილამდე კალავაც რამდენჯერ წაკითხავ მის მომავალობელ პოეზიას: „ციცინათ-ლა“, „ჩემო თავო, ბედი არ გიშერია“, „მუხამბაზი“, „აღმართ-აღმართ“, „ჭალარა“, „ნათელას სიმღერა“, „რაც არ იწვის, არ ანათებს“, „განთიადი“, „სულიკო“ და სხვა. „სულიკო“ რა უბრალოდ იწყება:

„საყვარლის საფლავს ვეძებდი,  
ვერ ვნახე, დაკარგულიყო,  
გულამოსკენილი ეჩიოდი:  
„სადა ხარ, ჩემო სულიკო?“  
ეკალში ვარდი შევნიშნე,  
ობლად რომ ამოსულიყო.  
გულის ფანცქალით ვკითხავდი:  
„შენ ხომ არა ხარ სულიკო?“.

და ისე ჩაიკითხავ ბოლომდე, შენს სულში თანდათან დაგროვდება ნაპერწკლები და მერე ალად აენთება. აბა ახლა წაკითხოთ „განთიადი“. რა არის ამ ლექსი მთავარი ძალა? უშუალობა თუ სამქაულები, მეტაფორები? მხოლოდ დიდი უშუალობაა ამ ლექსის სიღიადე. აკაკის რომელი ლექსიც არ უნდა წაიკითხო, უშალუ შენს სულში შემოიჭრება. რჩეული ლექსები კი წითლის მუგუზლებივით იწვინ და



ინთებიან, მუდამ სიმცხუნვარესა და სინათლეს გამოსცემენ. საუკუნები ჩაიქროლებდნ და აკაის ლექსები მუდამ წვითა და ნათებით გააცეცენ წუთისოფელს, უბრალო ადამიანებს და დიდ ადამიანებს. მისი მარადიული წვა და ნათება მზეს ჰყავს, ამიტო-შაც თავანს სცემდა ქართველი ხალხი აკაის. ამიტომ, უაველდღე მუხლმოყრით, სელაპურობით ვლოცულობ აკაის ლეთიურ საკურთხეველთან...

ვინ არის რომ ხშირად არ გადასწილის გალაკტიონ ტაბიძის ტომეულს? იგი ძალიან დახვეწილი პოეტია. მე ხშირად მითქამს, რომ რუსთაველის შემდეგ ასეთი და-ხვეწილი პოეტი არა გვყოლია. რუსთაველმა თავის დიდ სულში გადაადნო მადანი და მეტე დიდი მხატვრული ძალით ჩამოძროულია ყოველი სტრიქონი; ასევე ვალაკტიონ ტა-ბიძემ, თუმცა პირველი — თვალშეუდგამი ბუმბერაზი მწვერვალია და მას ჭერქერო-ბით ვერავინ შეედრება საქართველოში. გალაკტიონის ზოგიერთი ლექსი იმდენ მეტა-ფრინას მოიცავს, რომ გავვირვებთ. მაგალითად ასეთია: „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, „შემოდგომა“, „უმანქოთა ჩასახებას“, „მამათა სავანეში“, „ატმის ყვავილები“, „შე-რიგბა“, „ალვები თოვლში“, „ლურჯა ცხენები“, „თოვლი“, „შემოდგომის ფრაგმენ-ტი“, „ახსნა“ და სხვა. ამ უკანასკნელ ლექსში პირველი ტაბი დამშვენებულია მე-ტაფორებით, შედარებებით:

ღამეს ელვარე დღე შეუცვლია  
თქვენი თვალების ღრმა სიბნელეთი,  
ამნაირ გრძნობას ხომ შეუძლია  
ღაიმიორჩილოს მოელი ხმელეთი.

ამ მხრივ გასაოცარია „ქებათა ქება ნიკორწმინდას“. უკელი ლექსი ასე ძლიერად შეტატორულ-უცრალოვანი როდია, მაგრამ პოეტის სილამზით თავს როდი დახრიან ამ შეტატორულ ლექსთა წინაშე. ამა, წავიკითხოთ ლექსები: „უსიყვარულოდ“, „მა-მული“, „ცამეტი წლის ხარ“, „სადლეგრძელო იყოს მისი“, „თასი“, „1950“, „მესხეთ-ჭავაქეთი“, „გურიის მთები“ და მრავალი სხვა. აი, დაცუკცირდეთ რა დიდი პოეტური მაღლია ჩაღვრილი ამ თითქოს უბრალო სტრიქონებში:

სადლეგრძელო იყოს მისი,  
ვინც ოცნებით იწოდა,  
ვინც პოეტის მარალისი  
აღტაცება იცოდა.  
მოღიოდა ერთზე ასი,  
გზა გვშევნოდა დიდების.  
ჩვენ დავცალო ყველამ თასი  
ბედთან არ დარიდების.  
სადლეგრძელო იყოს მისი.  
ვინც შიშმა ვერ დაპხარა.  
ავდგეთ ლეხზე, ჩვენ თბილისი  
ვადლეგრძელოთ ჭალარა.  
აქ სიცოცხლე და ხალისი  
ვის სხვად არ ესვენება,  
სადლეგრძელო იყოს მისი  
და დიდებით ხსენება!

(„სადლეგრძელო იყოს მისი“.)

Հուտ ՑՎԵՆԻՑԼԱՎՏ ՝ “ՑՄՐՈՈՍ ՑԹԵՑՈ՞Շ” ՇՄՌԱԼՈՅՑՈՒԹ:

ԽՄՅԱԾ!

ՑՈՂԱԿ ՑՋՐԻՍ ՑԹԱՑԵ... Հա մալա ամ ՑԿՑՈԼ ԷՄԱՇՈՒ  
ԱՌՍԱԾ ԸՍԵ ԱՌ ՑՋՐԻԱՆ, ՀՐՋՈՐԾ ԵՅ, ԱՄ ՑՎԵԿԱՆՑԻ,  
ԱՌՍԱԾ, ԱՌՍԱԾ ԱՌ ԱՌՍԵՑՈՑՑ ՑԻՌՈՂՈԼՈՒ ՄՆՈՒ, ՑԻՌՈՂՈԼՈՒ ՄՆՈՒ,  
ԱՌՍԱԾ ԸՍԵ ԱՌ ՑԱՋՄՈՑՔԵՇԵ ՑՍ ՑԿՄԱՐԿՈՑ ՑՆԱՂՎԱՐՈՒ,  
ՀԱ ԱՌՍԱԾ ՑԹԵՇԼ ՑՎԵԿԱՆՑԻ ԱՌ ՑԿՈՐՆՈԱՆ ԸՍԵ ՑՎԵՑՈՒԹ,  
ԸՍԵ ՑԵՇԼՈՒԹ, ԸՍԵ ՄԱՆՈՒԹ ՀԱ ԱՄՑՎԱՐՈՒ ՑԱՌԱՑԵՇՈՒԹ,  
ՑՎԵՇԼՈՒԹ ԸՍԵ ՎԵՐՎՈՒՆ ՑԱՋԿԵՎԵՍ ՑԱՄՈՒՐՆՈՑ ՑԵՇԼՈՒ ՑԲԱՇՈՒ,  
ՀՐՋՈՐԾ ՑՋՐԻՑԺՎԱԼՇՇՄԱՆՑՈՒԼԵՑ ԵՅ — ԵՅ, ԱՄ ՑԱՌՄՑԻԱԿ ՑՎԵԿԱՆՑԻ.

ՀԱ ՑՈՂՐԱԼՈՒ, ՀԱ ՑԱՄԵԼՈ ՏԿՐՈՂԵՆԵՑՈԱ, ՄԱԳՐԱՄ ՀՐՋՈՐԾ ՌԱՑՎՈ ՍԱՄԵՋԵԼՈՒ ԱՄ ՀԱ-  
ԼՈՒ ՏԵՎԱՆԱՌԻՇ? ՏՄ ՀԱՖԴԵՑ ՀԱ ՏԿՐՈՂԵՆԵՑՈԱ ՑԱՋԵՐԱ՛ՇՆԵՑ ՍԱԼԵՑԱՎԵՑՈՒԹ, ՕՆ  
ՄԱԼԱ ՀՃԱՐ ՑԵՆԵՑ ԵՅ ՑՋՐԵՍ, ՀԱՋԳԱՆ ԵՅ ՑՄՈՒՆՈԼՈ ՏԿՐՈՂԵՆԵՑՈԱ ՄԱԼԱԼՈ ՄԱՑԳՈՒԱ  
ՑԹԵՆՈԼՈ, ՑՈՋՐԵ ՀՋԵՎՍՈՍ ՀԱՆԱՐԻԵՆ ՑՄՈՆԱԿԵՑՈՒԹ.

ԱՅ, ՀԱ ՑՈՂՐԱԼՈՒ ՑՎԵԿԵՑ ԸՍԵՎԱՐՇՄԱՆՑՈՒԹ:

ՑՍՈՎՎԱՐՇՄԱՆՑՈՒԼՈՒ  
ՑԵԿ ԱՌ ՑՎԵՎԵՍ ՑՈՍ ԿԱՑԱՐԱՑԻ,  
ՏՈՈ ԱՌ ՑԱՑՔՐԻՍ, ՑՎԵ ԱՌ ԿՐԵՑԵՑ  
ՏԱՏԻԵԱՐՇՄԱՆՑՈՒԼՈՒ...  
ՑՍՈՎՎԱՐՇՄԱՆՑՈՒԼՈՒ ԱՌ ԱՌՍԵՑՈՑՑ  
ԱՌԿ ՏՈԼԱՄԱՑԻ,  
ԱՌԿ ՑՎԵՎԵՑ ԵՅ ԱՌՍԵՑՈՑՑ  
ՑՍՈՎՎԱՐՇՄԱՆՑՈՒԼՈՒ.

ՀԱ ԱԵՐ ՏԱԳՈՍՏԱԳԱԴ ՑՄՐՈՒՑԿԵՐ ՑՇԱՍ ՑՈՈՎՎԼԵՎՏ ՀՋԵՎՏ ՀԱ ՑԵՆՏ ՑՐՎԵՆԵՑՈԱ ՑԵՎ-  
ՏԵՎԾԼԵՇՈՐՑԵՑԱ.

ՑՈՆ ԱՌ ԱՌՈՍ ՑՄԵՆԻՑԼԱՎՄԱՆ ՀՋԵՎՏ ԱՌ ՑԵՎԵԼՈ ՏԿՐՈՂԵՆԵՑՈԱ ՑԱՋՎԵՆԵՑ ՑՎԵՎԱՐԵՑ  
ՏՄՎԼՄՈ ՀԱ ՑԵՐԵ ԸՍԵ ՑՄԻԿԱԴ, ՑԱԿ ՏՈՈՏ ՑԻՌԻԿՄԱՆ ՑԵՎՏ:

ՑԵՆ ՑՎԱՐԾ ՈՇԵՌՈՒ ԻՄ ԸԱՄԵՍ, ՑԵՐՈ!  
ՑԵՐՈ, ԻՄ ԸԱՄԵՍ ՑԱՑ ՑՎԱԼԸ ՑՎԵՌՈՄԱ.  
ՏԱՆՁՈՈԱՆ ՑՈՍ ԵԼՎԱ ԳԱ ՑՎԵՐՈ  
ՑՄՇՄԵՎԱՐԾ ՈՎԿ, ՑՈՒ ՑԵՄՈՋՎՈՄԱ!

ՑԵՄԾՄԾ ՑԵՆ ՑՐՎԵՆ ՑՈՒՐ...  
ՑԵՐՈ, ՑՎԵՌՈՄԱ, ՑԼԵՍԱՎ ԱՌ ՑՄԵՐԱ...  
ՑՎԿՈ ՑՄԵԲԱ, ՑԱԳՐԱՄ ԱՌ ՑՎԿՈ:  
ԵՍ ՑԼՐՈՎ ՈՎԿ ՏՄ ՑՎԱՐՈՍՑԵՐԱ?

ԱԵՏՆԱ-ՑԱՑԱՐՄԱՆՑՈՒԵՑ ՑԱՋՈՒՆ ՑՆԾԱ ՑԱԿՈՒԵՑ ԵՍ ՀՋԵՎՏ, ՑՎԵԼԱՎՎԵՐՈ ՑԱՏՄ  
ԼՈԱ, ԱՌԿ ՑՐԾ ՏԿՐՈՂԵՆԵՑ ՑԱՋԵՏ ԱՌ ԱՌՎԱԼԵՑՑ; ՑԱԼԱԿՏՈՒՆԵՑ ՀԱԼՈՒՄԱՆՑՄԱՆ ՏԿՐՈ-  
ՂԵՆԵՑ ԱՌ ՑՄԵՆԵՑՆԵ, ՏՄՑԻՐ ՑՈՂՔԵՐ ՑՈՂՈԼՈՒՑ ՑԱՑԱՐԱԿՈՆԵ ՏԿՐՈՂԵՆԵՑ ՏԱԿԵԼԱՐՄԵՇ  
ԼՈՒՑՈՒԹ, ԱՐՏՈՒՑՏՈՒՑՄՈՒ. ՑՈՏԵ ՑԱՋՈՂԵՐՏՈ ՀՋԵՎՏ ՑԱՐԻԿՈՎ ՑՎԵՎԵՆԵՑ, ՑԵՎ ՑՎԵՎԵՐ ԱԵՎ  
ՀՋԵՎՏԵՍ, ՑԱԳՐԱՄ ԱՄԱԿ ՈՎԵՑ ՑԵՎԵՑ ՑԵՆ ՑՎԵՐՈ, ՑԵՐ ՑԵՄԾՄԾ ՀԱ ՑՎԵՎԵՆԵՑ. ՑԵՎ  
ՑԱՐՈ, ԱՅԱ ՀԱՄԱԿՎՈՐԾ ԱՄ ՏԿՐՈՂԵՆԵՑ:

ცერიან ბალახზე თუ ფეხშიშველა  
არ გავირე — რაა მამული?!  
წინაპართაგან წავიდ ყველა,  
სხვა ხალხის ისმის აქ ურიაშული.  
გაშალა ველი ნელმა ნიავმა,  
და მელანდება მე მის წიაღში  
მოხუცი მამა, მოხუცი მამა  
სასხლავით ხელში დაღის ვენახში.  
აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი  
მასზე ოცნებას დაემგვანება!  
ისევ აწვანდა მდელო და კორდი!..  
დავდივარ... ვწუხვარ და მენანება!

ახევე ითქმის ლექსზე — „ცამეტი წლის ხარ“. თოთხმეტმარცვლიანია „თასი“. პოეტს დვინით აუცხა თასი და ყველას გასაგონად დაღადებს:

თასს საღლეველძელოს ხელში ავიღებ  
ასსა და ათასს.  
დაე, ესმოდეთ; ერთმანეთის  
გატანა ვიცით,  
შეხედეთ ამ თასს, მეომრებო,  
შეხედეთ ამ თასს,  
იგი საგსეა არა ღვინით,  
არამედ ფიცით.

ახე ანკარა ლელეხავით მიედინება ლექსი, რომელიც საკმაოდ გრძელიცაა. არც ბავშვს გაუჭირდება ამ ლექსის მოსმენა და გაგება.  
რატომდაც „1950“ ჰქვია იმ ლექსს, რომელიც ოცდართი სტროფია. სანიმუშოდ მოვიტან ერთ სტროფა:

მეირფას მეგობარს, თანამებრძოლს.  
თანამოკალმეს,  
ვის სიტყვას ვადრი სივრცეებში  
ანთბულ აღმასს,  
გაჭრიალებულს, უბრწყინვალეს  
ელვარე მზეზე —  
რომ ვუძღვნი ამ ლექსს, გულო ჩემო,  
აი, მიზეზი!

იგი ახე ბოლომდე გამშვირვალე ენითაა დაწერილი. დასკვნა ახეთაა: გ. ტაპიძე შეიძლავს უპირველესად და უმთავრესად უშუალობით, გულში ჩამწვდომი სტრიქონებით. მე ახეთ პოეტებს ვარქმევ გულის პოეტებს. თურმე, პოეზიაში გამაჭვებას შულით მოიპოვებ, უსულგულო არც კაცი ვარგა და არც ლექსი.

\* \* \*

გიორგი ლეონიძის ლექსებში ჭარბად მოიპოვება შედარებები, მეტაფორები, ეპისტები. მაგრამ ერთი კია, რომ მის ყველა საუკეთესო ლექსს ყვავილივით როდი და „პოროხი“ № 6

სწორებია სამკაულები, არამედ ჩვეულებრივი ლექსის შთანეჭდილებას სტოკორი და გამოიწვევს რამ გამორჩეულია ლექსით შორის. აი, თუნდაც გავიცნოთ მის საუკუნეების კრებულებს გამოცემულს 1947 და 1960 წლებში, თვითონ ავტორს რომ უცურჩევია. აი, თუნდაც მისი ლექსი იყო: „არ დაიდარდო დედაო“, „ნინო ჭავჭაძეს“, „უიზალის პარმანი“ „გერფხისტყაოსანს“, „პატარა ქვაო პატარძეულში“, „სამშობლოს“, „ვუმღერ საშობლოს“, „შინბოუსევლელო, სადა ხარ?“, „ისევ სუნთქავნ ქართულ ოცნებია“, „ვინ მეტვენება, ვინ მიწვდის ხელებს“, „ნუშნარა“ და სხვა მრავალი გულით დაწერილი ლექსი იყო. რა თქმა უნდა, მხატვრული, რომ არ იყო თითოეული ლექსი, მაშინ არ ჩაითვლებოდა ავტორის რჩეულ ლექსებად, მაგრამ უნდა გვესმოდეს ერთი რამ, რა არის მხატვრული და რა არა. მხატვრული არ არის მშრალი ლექსი, რომელიც უწიშო პოეტის ხვედრია, უამთაგან მივიწყებული პოეტი, როგორიც იყო ხარიტონ ვარდოშვილი ერთ-ერთ ლექსში ამბობს:

ზის მათხოვარი და ითვლის თთხე  
თუ ვინ ჰყავს შემწე და გამკითხავი,  
და გადაყიდულ მუხრანის ხიდზე  
გადაფრინდება ტირალით ყვავი.

აი, ეს უკანასკნელი სტრიქონი უკვე მხატვრულია და მაღლა აზიდა სტროფი.

ერთ-ერთ წერილში ტ. ტაბიძეს ედავებოდა სიმონ ჩიქოვანი. სიმონი ხაზს უსამ-და იმას, რომ ლექსი ფერწერული უნდა იყოს. ტიციანი პასუხობდა: ლექსი გულით უნდა ითქვასო. განგებ ფიქრს ლექსის ფერწერაზე უარყოფდა.

ჭერ მოვიტან სიმონ ჩიქოვანის რჩეული ლექსიდან „მგზავრის სიმღერა“ — საუკეთესო ადგილს:

მომგონებიხარ, მომგონებია  
ლერწმად რჩეული შენი სხეული,  
ეს ვაგონებიც მონგოლებია  
და სად მივყვარ შენი რჩეული.

ამის შემდეგ კიდევ ცხრა სტროფია, მაგრამ ჩვეულებრივი. ეს ტაეპი კი ფერწერულია.

ახლა მოვიტანოთ ტ. ტაბიძის ლექსიდან „მე ყაჩალებმა მომკლეს არაგვშე“ ბოლო ტაეპი:

მინდა მოვირთხნა ამ შარაგზაზე,  
მინდა გაეიხსნა გული ალალი,  
მე ყაჩალებმა მომკლეს არაგვშე,  
შენ წერს სიკვდილში არ გიდევს ბრალი.

სიმონის ტაეპი უცრო ფერწერულია, ტიციანის კი — უცრო გულისმიერია. რომელი უცრო კიდება ჩვენს სულს — პირველი თუ მეორე? მიუხედავად იმისა, რომ სიმონის ლექსში შეცვარებულის გულისტყივილია ხაგასმული სატრულოსან და შორების გამო, მაგრამ მაინც ისე არ უკიდება სულს, როგორც ტიციანის ტაეპი. აი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს უშუალობას, რომელსაც ვერ შეცვლის ეპითეტი, მეტაური, რა, თუმცა ისიც კი უნდა ითქვას, რომ ტიციანის ტაეპი მოლიანად მხატვრულია და ასეც ალიქმება.

gafovshenot g. llyorenkodis sasukyutegesom lyegysio „ar daatqanaklom dgevdaon“. am llyegysio shoradzha tayevashen gerasakutqanaklom daalma dgevda shemdevego tayevashen:

նու դարձարեծ ըցառ,  
միջարյ սոյցալուս սցըզաս,  
ճղյու, գալութու, գահութու,  
շցոլո ըպրեծ դյուսա.

այ հա արու գանսացուրեծունո՞ւ գան օց տցալսահինու թերթացորուտ ծրվանացք,  
հոգորուց յ յերկեծա գ. լլունունց՞ արա. թացրամ մեսաթցրունու՞ լոցըցըլագ; այ որու  
աշրու ար ահեցնած... դա հաւ ար ոնճա թերթացորունու դայնո հացեցատ միս ազգալաս,  
զեր զցարմենունեցեծ օմ ցուլուսերուունու, հաւ ճագեցնեց դյուս և հաւ կարցագ տիցա  
առցիմա; երկոյենեծ ոտոյուս դյուս ցուլուս լուցարչ լիցրուա. զոմեռորեծ: արու ու  
ար յ յերտ-յերտու լոցիս սասկյուտեսու յահուտու პոյշանու սամամշլու ոմնչյ դայցրուու  
լոցիստա Մոռու՞ արու. զոմորցու լլունունու սասկյուտեսու լոցիստ ոտուլուս „ապմլու սաթ-  
ամծլուս“. առ, ամ լոցիսունան մոցուրան որ սասկյուտեսու երկորու:

Սուլ հիմո ցուլուս մոնակուրուա,  
հաւ ճացմիցյարս յալունուս լոցիսեծու,  
վամլուր սամշոնծլուս, յուզու միջուրուա,  
դա մուս սոյցարունուս ճացմիցյամըցէծու.  
մարագու Շոյկուտ ծրվանցալունուս օցու,  
մուսո նաւուլու ճամտուցցիմա,  
սուրուկելու, — մուս մշցենցիմս ոյնու  
յուրու նածոյինչեցաւ ար մժոմեցիմա.

ոնճա Շցընունուտ, հոմ արահիցուլունուտ երկոյենեծ ար զանցյուտանեծա, թացրամ յ յերթացունունուտ հիմունագ օտուլուսա, հալուսալու, ցուլուրցուլունու ճայցրուունու. աց-  
ծորու Շցելցեցաւ, ամուս նոյնու յերկոնճա գ. լլունունց, հոմ յ յերթացորունուտ, յուտոյ-  
ցեցիտ ճացմուուրուտ, թացրամ ոյնեցնունու տցալուս սանածացու լոցիստ և արա ցուլուս ալսայ-  
նունու. սամամշլու ոմնչյ ճայցրուու լոցիստա Մոռուս ցամուռիցա յահուտու գ. լլունունուս  
լոցիստ „Յոնմուսցուցուունու, սածա ხար?“ պայունակ պայուն ցուլուս մոնցըցիմս առուցըցունու  
ունու սկրուու:

Յոնմուսցուցուունու, սածա ხար,  
շեն եռմ տնունուս ցոյցարունու,  
սած ճեցեծ Շենո յոնուրու,  
տնունուսիո յարու յացացլու —  
շեն սած արիու ճարինենա?  
Երեւացու Շամոցայեցաւ,  
մտավանունու յուզու յահունու.

ճանարինենու բայցեծ ամուս մոնցուունու. թացրամ ամ որ բայցիու ծրվանացք թերթացորու՞  
ա. թացրամ արուս մեսաթցրունո՞ւ? — յո. անլա կունաց մոցուրան և սովոր վրուլուն մուս  
ունու լոցիստ. առուցըցու: „ուսց սցենյացն յահուտու ունեցիտու“.

օսց ճացմերունու,  
զեր զնանց թեցետու, Շամոցերունու...  
զերու արթանչոչու, ոմչու, սակուլու...

როდის მოუვა მათ გაზაფხული?..  
 ვეღარ ვემთხვიდ მესხეთის მიწას,  
 სადაც გმინავენ ქველი ლოდები,  
 სადაც აჩრდილნი მამა-პაპათა  
 შემოგვძახიან: თქვენ გელოდებით!  
 იქ ხე არა დგას, რომ არ თხრივდეს:  
 — გაზაფხულია, რათ არ აყვავდი!  
 იქ თვალი მხოლოდ ნანგრევებს ერთვის,  
 ჭოროხის კვნესა — ქვათა ლაღადი.  
 შავშეთს მოებზე ნისლი გადადის,  
 კარჩხალოს მოებზე კეტავ არწივებს,  
 და მათს ანგრეულ, აჭლილ ბუდეებს,  
 ქარი უბერავს, ქარი ცირებს...  
 მაგრამ გუგუნებს ქართულად მიწა,  
 და თუ გამხდარან დასანაცრები, —  
 ისევ სუნთქვავნ ქართულ ოცნებით  
 მესხეთის მოებზე დიდი ტაძრები.

თითქოს ამ ლექსის გაგრძელებაა მეორე ლექსი: „ვინ მეჩვენება... ვინ მიწვდის ხელებს?“

ვინ მეჩვენება... ვინ მიწვდის ხელებს? —  
 დაკარგული ძმის მესმის ყივილი...  
 საქართველოზე მოჰრილო ძუძუ,  
 შემაქრიალებს შენი ტკივილი...  
 შენ ჩემი გულის დასკლავად ხარ  
 ისევ მტრის ხელში გადავარდნილი.  
 დიდო მესხეთო, ძველო მესხეთო,  
 ფეხდაფეხ დამდევეს შენი აჩრდილი.  
 შენი ხანძრები მომბოლებია,  
 მომყრია ფერი მკვდარი, ზოვის ფერი...  
 მინდა დავემხო მე შენს წინაშე,  
 კოცნით ავწმინდო შენს ლოდებს მტვერი...  
 შენი ნაშთები ნამსხვრევებია  
 ჩემის იმედის გაზაფხულისა,  
 ვკრებ და ვაერთებ, ცრუმლით ვაწებებ —  
 ნახევრებია ჩემი გულისა.

როგორც ჩანს, ეს ლექსები არ ბრწყინავენ მეტაფორებით, სამყაულებით, მაგრამ არავის მოუვა აზრად, ეს ლექსები ისე დაიწეროს, რომ გავამდიდროთ მეტაფორებით. მაშინ ეს ლექსი დაემსგავსებოდა ვიტრინაში გამოფენილ მანკენ ქალს, რომელსაც ძვირფასი კაბა აცვა და გაქნეული წარბები აქვს. თანაც გვიღიბის. მთილე მწევებს რომ ვანახოთ და სხვათა შორის ვკითხოთ: ეს გირჩევნია თუ შენი ხატრუა ვიქვათ ულამზო, დაკერებულ ჩითის კაბაში? იგი დამილობ გვიპასუხებდა: ჩემს ხატრუოს თავსაც შემოვევლები, რადგან მისი ხიტყაა, მისი ცხოველმყოფელობა და თბილი მკერდი სიცოცხლეს მანიქებს, თქვენი ვიტრინის მზეთუნახავი კი თქვენ გმირდესო. ცამდე მართალი სიტყვაა. ლექსის მაცოცხლებელი უშუალობაა, გულწრიცე

ლად და პათოსით, გზნებით თქმაა, მაგრამ ამას ისე ნურვინ გამიგბს, თითქოს მე ვარ ვაფასებდე მხატვრულ სამკაულებს, თითქოს არ გამეგბოდეს მისი ღირებულების არის. ნიჭიერად დაწერილ ლექსის წალში კარგდ ჩავიხედოთ და შესამჩნევად წარმოგვიჩნდება მისი ფარული, არა მყვირალი, არამედ შინაგანი მხატვრული ელფარება, რაც იგივე სამკაულია და სხვა არაფერი. ერთსაც ვიტუვი: პოეტი, რომელიც დაჯილდოებულია დიდი მეტაფორული ნიჭით და დიდი გრძნობით, ის გენიოსურ ნაწარმოებებს შექმნის. მაგრამ ასეთი იშვიათად იბადება... აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ თვით ლექსი მეტაფორული ქმნადობაა და იყითხება კარგად, თუკი უშუალობით არის გაუხვებული. გავისხენოთ გ. ჭალადიდელის „მოგონება“, ი. დავითაშვილის „ჯგილი“, მ. გურიელის „ადამიანი“, დ. მეგრელის „პატარა ქართველი“, ნ. ჩხილეგაძის „ვინ ჟითხულობა?“ იმერელი ქალის „სპარსეთში დატყვევებული“ და ჩვენ დავრჩმუნდებით იმაში, რომ ამ ლექსებს დიდ შინაგან ძალას შთაბერავს უშუალობა. ამ ლექსებს თითქოს თავისთავად განრიდებია მეტაფორული სილამაზე. მაგრამ აბა, რომ ინარჩუნებინ იმ უპირატესობას, რომ ადგილს პოლუობენ ანთოლოგიებში? პასუხი ერთია: დიდი უშუალობით.

ამბობენ, საქართველოში „ვეფხისტუაოსნის“ შემდეგ უცელაზე მეტი მკითხველი ჰყავს სიმონ გუგუნავას ეპოქას — „თამარიანის“, პირველი — მეტაფორების, ეპითეტების, ჰიპერბოლების, შედარებების ზღვა. მეორეს ამ მხრივ ნუ გავჩინიავთ, იგი დიდი უშუალობის პირმშოთ. ვის არ შეუძრავს გულს „პირველი წერილი თამარისაგან შალვასადმი“.. და საერთოდ „თამარიანი“ საამოდ იყითხება არა მარტო იმის გამო, რომ საინტერესო, დრამატულ სიუსტრზა აგებული, არამედ იმიტომ, რომ მას შინაგან დიდ ძალას სხენს უშუალობა.

ეს ამბავი სანაქებოდ გალექსა აგრეთვე რაფიელ ერისთავმა, ბრწყინვალე ლექსის — „სამშობლო ხევსურისა“ — უშემქნელმა. მაგრამ ხალხმა შეიყვარა მხოლოდ ს. გუგუნავას წიგნი და იგი აქცია სათავანებელ ქვირფას რელიქვიად. იმიტომ რომ ს. გუგუნავას „თამარიანი“ უფრო უშუალოა.

ერთხელ აზრად მომივიდა — მემუშავა მეტაფორების, მხატვრული სამკაულების შექმნაზე, დამეგროვებინა და შემდეგ ლექსებში გამომიეუბნებინა, რომ შემეტმნა მაღალ-შატვრული, მეტაფორებით და სამკაულებით მდიდარი ლექსები, ეს აზრი ერთ ჰყვიან ჩემს მეგობარს, განათლებულს, არა პოეტს, გაუზიარე. მან ვაიღია და მითხრა: შენ შექმნი მხატვრულ სამკაულებს, და მით კიდევ უფრო გაამდიდრებ შენს ლექსებს, მაგრამ ერთი რამ დაგვირგება — გული, უშუალობა. რადგან შენი სურვილი ხელოვნურობის სენს შეგვის და ეს შენთვის, როგორც პოეტისათვის, მომაკვდინებელი იქნებათ. ეს ჩემი მეგობარი რუსულ პოეზიას კარგად იცნობდა და ძალიან უყვარდა ესენინი. ცოტა დაფირდა და მეტე მითხრა: რა თქმა უნდა წაყითხულა გენება, მაგრამ ახლა დაკირვებით გადახედე ესენინის ლექსებს: „Письмо от матери“ და „Мертв“ ნახე, რა სადაა, მაგრამ სულში ჩამწვდომია!.. გეგონება, პოეტი და მომიერებული ერთმანეთს უბრალო ენით ესაუბრებიან. ამ ლექსში იგრძნობა დიდი დედაშვილური სიყვარული და პატვისცემა, უშუალობა, გულწრფელობა. უოველი ტრიქნინი ბაჭალლა. აი, რა არის პოეზია!

და მე დღესაც ხშირად ვეთხულობ ესენინის ამ ლექსებს. იგი ისე მოქმედებს ჩემს გრძნობებზე, ტრიკი მინდა, რადგან ყოველთვის მაგონებს წუთისოფლიდან ურე გარდასულ ჩემს დედას.

ძალიან უშუალო პოეტია ტიციან ტაბიძე, რომლის ზოვიერთი ლექსი გულიდან არის ამხეთქილი და მღვდლარესავით ედება ჩვენს ტვინსა და გულს. აი, ეს ლექსებია: „სერგე ესენინის“, „მე ყაჩალებმა მომელეს, არავზე“, „ლექსი მეწყერი“, „რია-

რია“, „მაშ, გამარჯვება“, „წინათ თუ ერთი იყო მთრეხელი“, „მუხრანის ველზე საკუთხევების და სამართლის უძინველესი ღირებულება“. ამ ლექსების უპირველესი ღირებულება არის თვალში არ გეცემა ბრტყელიალა სამკაულ-მეტაზორები. პოეტი გულწრფელად გვეპატიჟება თავის საბალნაროში და ჩვენც მთელი ნდომით ვმოგაურობთ ავტორის მეგზურობით. ბალნარიდან გამოვდივარ და იხეთი გულისტკივილი გვიყრობს, თვისოთავად გვიტირება. ამ ლექსთა შორის მხატვრული შესრულებით შომწონს „მეწყერი მეწყერს“.

გაელავს, დაპკრავს მეხი მეხს მწვერვალს,  
მთა ტიტველია, არ აქვს საფარი.  
თვითონ მეხია და თვითონ ელავს,  
როგორც შემილის თეთრი ფაფარი.  
ნეტა თუ საღმე ხარ ძე კაცისა,  
ამ უკვდვებას ქედს არ უხრიდე,  
თუ გაწყდა ძარღვი სიმამაცისა,  
მე ცოცხალი ვარ ერთი მიურიდი,  
ვარ დაფრენილი ორბისგან გნოლი  
და არ იყარებს გული სალავათს,  
ხევსურის ჭაჭეის ნაგლეჯი რგოლი —  
ერთი ვაცხალებ მარტო ჰაზავატს.  
ვარ გათელილი ლეკის ნაბალი,  
ყველა სახსარი მაქვს დალექილი,  
მაგრამ ვაჟკაცმა მხოლოდ გაძედე  
და მეც ვაჟკაცის დამიდე წილი.  
რა საგირზო შელნად გიშრის ტბა  
და კალმად კიდე მინა რხეული,  
თუ ამ სიბრაზით გული გაგითბა,  
თუ ამ ურუანტელს იგრძნობს სხეული.  
მეწყერი მეწყერს, ლანქერი ლანქერს,  
კლდე კლდეს ასკლება, ზვავს ლუბავს ზვავი,  
ცა მოწყალებით თაგზე დამცერის,  
არ მემეტება მოვიკლა თავი.

ლექსი თავიდან ბოლომდე ჭრიშმარიტი პოეტის ხელწერითაა აღბეჭდილი, მაგრამ გასაოცარი როდია, მით უმეტეს, რომ მისი ავტორი ტიციან ტაბიძეა და ჩვენ მიხედვით მეტსაც მოველოდით. მაგრამ ჩვენს გულს აღამიანური სევდა-ტკივილებით ავხებს და აღაგზნებს.

აქვე გავიხსენოთ გრიგოლ ორბელიანის ლექსი „სალამო გამოსალმებისა“. აი, რა დენიმე სტრიქონი:

მზე ჩაესცენა: მის შუქი  
გამოსალმის უამს კავკასია,  
თავსა ეხვევა ალერით,  
ვით ქალი მამას მოხუცა.  
ბუქებერაზ მთანი მღუმარელ  
ცათამდის აყუდებულნი,  
ჰსხედან, ვით დევნი, სპეტაკის

წყალნი მთით დაქანებულნი,  
აღმასებრ უფსკრულს ცვივიან,  
თერგი ჩბის, თერგი ლრიალებს,  
კლდენი ბანს ეუბნებიან!

ამ ნაწყვეტში უფრო თვალსაჩინოა სურათ-ხატები, ვიდრე ტიციანის ლექსში, ზა-  
გრამ... აქ დროებით დავსვათ წერტილი.

ახლა მოვუსმინოთ ვაჟას:

ბუნება მბრძანებელია,  
იგავ მონაა თავისა,  
ზოგჯერ სიკეთეს იხვეპავს,  
ზოგჯერ მქნესა ავისა;  
ერთფერად მტვირთველი არის  
საქმის თეთრის და შავისა,  
საცა პირიმზეს ახარებს,  
იქვე მთხრელია ზვავისა...  
მაინც კი ლამაზი არის,  
მაინც სიტურტით ყვავისა.

ეს არის ნაწყვეტი ლექსიდან „დამე მთაში“. ამ ლექსის სიმდიდრეა ბრწყინვალე  
სტრიქონები: „დადამდა, წვრილნი ვარსკვლავნი აუგვდნენ, დასხდნენ ცაჲედა. მთვარე  
კი ჭერ არსადა ჩანს, არ დაგვანათის თავზედა, ჭერ თუ არ გაუღვიძნია, იხვ თუ  
სძინავს მკლავედა! ჭერ გამარჩვება არ უთქვას შემომჭდარს გორის ფხაზედა, სხვნი  
არ დაუგზავნია პირის საბანად წყალზედა“. რა საამო სურათია! ვაჟა უფრო აღრმავებს  
სურათს:

წყალი ჩქეფს, ხევი ჩატირის,  
განა ერთი და ორია:  
იქაც, იქ, იმას იქითაც,  
საცა ფერცხალა გორია,  
ლამაზი მოტბის ასულთა  
ხმა ხმისთვის შეუწონია.  
მადლი შენ, ყველა ერთმანეთს,  
უფალო, დაუმონია;  
ამაზე ტურფა და კარგი  
მე სხვა ალარა მგონია!  
ხევი მთას მონებს, მთა — ხევსა,  
წყალი — ტყეს, ტყენი — მდინარეთ,  
ყვავილი — მიწას და მიწა  
თავის აღზრდილთა მცენარეთ,  
და მე ხომ ყველას მონა ვარ,  
პირზე ოფლ-გადამდინარედ!

მერე აღწერილია ის, რომ შუაღამისას ატყდება ქარი, მოსკდება ლვარი, „მოელი  
მთა-ბარი იქცევა, მეორ-მოსვლაა სწორედა, მოჰკაშრავს ლვარი ტყე-კლდეებს, მოაქვს

და მოსდგამს ყორედა“. ბოლოს თავდება უშვენიერესი პოეტური სტრიქონებით თაც დავიწყეთ. ტ. ტაბიძის ლექსი „მეწერი მეწერს“, მხატვრული სიღიაღით ვერ შეუძლება ვაჟას ლექსს „დამზ მთაში“, რომლიდანაც მოვიყანეთ მონაკვეთები. მაგრამ ტაციანის ლექსი ბუნების ხატის წარმოსაჩენად კი არ შექმნილა, არამედ ტრაგიული ბედის ადამიანის გულის ფერება უნდა გვაგრძნობინოს და ძალუმადაც. მისი სტრიქონები თავს დასტრიალებს არა მარტო მთებს, სადაც მეხს ურტყამს და ლან-ქერი ლანქერს ასკდება, არამედ ადამიანებს: აი, იელვებს შამილის თეთრი ფაფარი... და ავტორი აცხადებს, რომ „მე ცოცხალი ვარ, ერთი მეურიდი“, „რომ არ იყარებს გული საჭავალს“, რომ „ერთი ვაცხადებ მარტო ჰაზავატს“. ჩემი გუმანით პოეტი გონიერი და გულით იმ სამყაროშია გატყორცნილი, როცა შამილის სარდლობით მთიელნი შეუპოვარ ბრძოლებს აჩალებდნენ რუსეთის იმპერიის ორთავიანი არწივის წინააღმდეგ. ამ ბრძოლამ თითქმის ოცდაათი წელი გასტან და წარლვის ბედი ქარბუქივით თავს დასტრიალებდა კავკასიის მაღალ მწვერვალებს. ამ აღტკინებით გამსჭვალული პოეტი თითქოს მისი ორგულის მიმართ ომაჩიანად ამბობს:

ვარ გათელილი ლექის ნაბადი,  
ყველა სახსრი მძევს დალეჭილი,  
მაგრამ ვაჟაცმა მხოლოდ გაბედე  
და მეც ვაჟკაცის დამილე წილი.

ტიციანის ამ ლექსის ბწყარები სულს გვიკაშრავს, ვაჟას ლექსი ბუნების იშვიათი მაღალმხატვრული ფილოსიფიური მონოლოგია. გრ. ორბელიანის „საღამო გამოსალმებისაც“ ბუნების ბუმბერაზობის წარმომჩენია. რა თქმა უნდა, ზიგ ჩართულია სატრიუ მწუხარებაც გულის ტრფიალთა დაშორების გამო. ამიტომ გრ. ორბელიანის ეს ლექსი ორ მხრივ დიდებულია: შეცვარებულის მტკაწნეული სულის წარმომჩენით და ბუნების სიღიადის ხატვით... და რა თქმა უნდა, გრ. ორბელიანის „საღამო გამოსალმებისაც“ დიადია. ტიციანიც ბუმბერაზ ბუნების წილში შეიკრა და ვინივენა მისი მრისხანება, მეხთა ტეხა... და იქვე თავისი სულის ტკივილი, ადამიანური ტკივილი ვერ დამალა, რაკი გაახსენდა მთიფლთა შეუბოვარი ბრძოლები, როცა სიცოცხლე ილეოდა და საფლავები მრავლდებოდა, და არა მარტო ქალებს ჰქონდათ თვალნი ცრემლიანი, არამედ მეომარ მამაკაცებსაც; და მეომარი ვინ არ იყო. — ახალგაზრდებიც და მოსუცებიც ბრძოლის ხაზზე იდგნენ. შეცვარებულთა დროებით დაშორება, ხნმოკლე დარდის მოგვრელია, მაგრამ ეროვნული თვითმყოფალობისათვის ფანატიკური ბრძოლები და მსხვერპლი, ტრაგედია. ტიციანის ეს ლექსიც იმ ტრაგედიის თანაზიარა და ამიტომაც უფრო დიდ გულისტაკივილს, სევდიან ფიქრებს აღდრავს ჩვენს გულში, მე პირადად ამიტომ მიყვარს ეს ლექსი. იგი ტანჯული სულის ნატეხია. ამ ქმნილებას გასაოცარი მხატვრობა არ ამშვენებს სამყაულად, მაგრამ უთუოდ დიდოეტურია, რადგან იგი მთლიანად შენს სულს უერთდება. ასეთი დიდი ძალა აქვს უშუალობას. ამიტომ ვთქვი ზემოთ: ჩვენ გვირჩევინა ჩითის კაბაში გამოწყობილი სატრფო, ვიდრე ძვირფას ატლასში გამოხვეული უსიცოცხლი მანეკენი, რომელსაც თუნდაც მარგალი ტის საყურები უკეთია. ასეთია სიცოცხლის ძალა და ადამიანის ბუნება, ხოლო ვის ადამიანისათვის იქმნება, ხალხისთვის იქმნება, რომელიც ოუ გულს არ ეპარება, იგი არის პოეზია და ხალხი მას არ დაეტანება; დაეტანებიან მხოლოდ ახალგება მეცნიერები, რომ ახალი შრომები გამოაცხონ და ამით იქნებ ხარისხი მოიგონ... ხალხის უკარს თავისი სულის აღმქმედი პოეზია.

ცოტა რამ მინდა ვთქვა პოეტ ლადო ასათიანის შესახებაც. იგი სამკაულების კი  
არა, გრძნობის პოეტია. მისი ცეკვაშე უფრო განმაურებული ლექსია „სალალბობის რომლის ოთხი საწყისის სტრიქონი მეტაფორულია,

ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,  
ატმის ჩესავით აფეთქებული და მოქნეული გავაზივითა.

ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,  
ფართოდ გაშლილი და მოხატული თამარ დედოფლის დარბაზივითა.

დანარჩენი სტრიქონები გულისმიერია და არ ისახავს მიზნად მეტაფორებით  
თვალი მოგვჭრას, არამედ იგი ელდასავით შემოიჭრება ჩვენს სულში და საშეღლს  
არ გვაძლევს, ჩვენც აღვანოთებს სამშობლოს სიყვარულით. თავისთავად ხატოვანია  
უცველი ტაბი, მაგრამ არც ერთს ყვავილივით გვირგვინად არ ადგას ბრჭყვალა სამ-  
კაულები, მეტაფორები. ავტორი რომ ცდილიყო კიდევ მოიხველა ამ სიმღილეებს,  
მაგრამ ჩვენს გულს ვერ დაიბყრობდა და როგორც პოეტი, ვეღარ მიგვიზიდავდა, ვერ  
შეგვაუვარებდა მის ქმნილებებს. უკვევ შემთხვევაში ერთხელ წავიკითხავდით და ამით  
დამთავრდებოდა ჩვენი ურთიერთობა ავტორთან. ახლა კი დამონებულ-დაბყრობილნი  
ვართ ამ ლექსის თილისმით და ვისაც სურს, ეძიოს ამის მიზეზი, ჩემთვის კი ცხადია.  
მოვიტან ლადოს ერთ თითქოს უბრალო ლექსს — „გზაში“:

სიხარულს გთხოვ, — მწუხარებას მთავაზობ,  
ნუთუ ასე დაგატყვევეს ფიქრებმა?  
ცოტა კიდევ მოითმინე ლამზო,  
და ნანატრი მთა-გორებიც იქნება,  
ცოტა კიდევ, სალოცავო ხატებავ  
და ლაშქარი სვაების და ყორნების,  
ვით ღრუბელი, ისე გაიფარება  
და თბილისის მიწას ვეამბორებით.  
ხომ უყურებ, როგორც ხვალი ავაზა,  
ორთელმავალი ისე უტევს უკუნეთს,  
ცოტა კიდევ — და იელვებს კრწანისი  
და ერთი ლილი ირმებსა და ბულბულებს.  
ცოტა კიდევ — და იელვებს კრწანისი  
და მეტების ეკლესის თავანი,  
სადაც წმინდა მაცხოვარის ხატის წინ  
ფეხშიშველა ლოცულობდა თამარი.  
სიხარულს გთხოვ, — მწუხარებას მთავაზობ,  
ნუთუ ასე დაგატყვევეს ფიქრებმა?  
ცოტა კიდევ — და იელვებს კრწანისი  
და ნანატრი მთა-გორებიც იქნება!

ზოგიერთი აცხადებს, რომ ლექსი ლექსი არაა თუკი მას მეტაფორები, მხატვრუ-  
ლი სამკაულები არ ამუვნებსო. ლექსს „გზაში“, რომელი მარგალიტის და ბრი-  
ლიანტის საუკრე ჰქინია! მაგრამ გულს ხდება, ჩვენს სულს ხომ რაღაც ჰქაწრავს,  
რაღაც ხევდა გვმსქვალავს? იყითხება კარგად? მაშ, რა ძალა შთაბერა პოეტმა  
ლექსს, რომ ჩვენ გვადელებს, გვიტაცებს, როგორც უბრალოდ იტყვიან ხოლმე —

ავტორმა თავისი უჩინარი სადაცე მოგვდო და გვატარებს თავის ნებაზე; ამას ჰქონდა პოეზიის მაღლი. ეს ლექსი პოეზიის მაღლითაა გაულენთილი. აი, რა შეუძლია მინიჭონ პოეტს, გულით პოეზიის ქმნილებათა შემქმნელ შემოქმედს.

უცხლუ იცნობს ლადო ასათიანის ლექსებს. აქ რამდენიმეს კიდევ დავასახელებ: „არ ვიცი ასე რამ შემაყვარა“, „ცხრა ძმა ხერხეულიძე“, „საქართველო იუო მათი საოცნებო სახელი“, „ქართველი ოქროსმაიებლების სიმღერა“, „სასაფლაო“ და სხვა. „არ ვიცი ასე რამ შემაყვარა“ სიმღერადეცეული ლექსია და როცა ამ სიმღერას ისმენ, ურუანტელი გივლის ტანში. პოეტი უბრალოდ, მაგრამ ისე გვესაუბრება, რომ ჩვენს გულს იპყრობს.

ამ ლექსს აღარ სჭირდება ახსნა-განმარტება. მისი ძალა უშუალობაა. აქ თითოეული სტრიქონი ჩვენს სულს ცეცხლივით ეკიდება. იგი გვხიბლავს არა სიკეკლუციო, „ლა-მაზი ტანისამოსით“, არამედ გულის გამჭრელი უხილავი ბასრი მახვილით. მე ამას პოეზიის მაღლს ვარქმევ და სხვამ რაც გინდა ის შეარქვას. ვის წაუკითხავს პოეტი „სასაფლაო“ და ვისი სული არ შეძრწუნებულა სიკვდილის ამაზრზენა შიშით? როცა ეს ლექსიც ქებით მოვიხსენიო ერთ ახალგაზრდა პოეტთან, რომელიც პოეზიის თავი-სებურად აღქმით კეკლუციობს (რა თქმა უნდა თავის გამოჩენისათვის), მითხრა: — ასეთ ლირიკულ, სედან ამბებს ზამთარში ბუხრის პირას დედაბრებიც ჰყებდანო. ლექსი თუ მეტაფორებით არ ბრწყინავს, მე იმას პოეზიის ქმნილებად არ ვთვლი. და ეს ლექსიც ასეთთა რიგს განეკუთვნება.

რას იზამ, შენი არ ესმის!

ერთ გოგონას ვკითხე, კინოში თუ დადიხარ და თუ გინახავს ესა და ეს კინო-ფილმები-მეტქი. კი მინახავსო. მერე რომელი უფრო მოგეწონა?.. გოგონამ გაიღმიქა და თავი გააწინა, თითქოს დიდი გემოვნების იუო და ჩემს მიერ მოწონებულ ფილმ მუჭღულუნი ჰქონა, იქით გადავდო.

ზოგიერთს ასეთი ხერხით უნდა თავი დიდ მცოდნედ და ესთეტიკოსად გაასაღოს და თავისი აზრები თავს მოასვიოს ყველას, მიზანი: თავისი ქნუტის ვეფხად გასაღება!

შე ისიც მახსოვს: ამჯერად სხვა ახალგაზრდა პოეტმა თქვა აკავის ლექსზე — „განთიადი“ — ეს უბრალო შაირთქმა და მეტი არაფერით.

ას, ღმერთო ჩემი, გაიგონე ჩემი ვედრება, შთამბერე დიდი ძალა და ასეთი ბრწყინვალე ლექსი მეც დამაწერინე და მერე თუნდაც მომკალი!

მამია ვარშანიძე.



**მუსიკან მეგრელიძე**

## აღმ ფაშა თავდგირიპე ქართულ ზეპირსიტყვიერებაში

პატარაობიდან, როცა სასკოლო მერხზე ვიჭექი, მესმოდა ცნობილი ქართული სიმღერა: „აღმ ფაშა გვიღალატა, ჩაგვიყვანა ვეირიებში. თვითონ ფულები ადღ, ჩვენ ჩაგვყარა რუსის ხელში...“ და ჩემში იზრდებოდა ცნობისმოყვარეობის გრძნება მისი სულიერი პოტენციის დასადგნად. და ამ საქმეში დახმარება გმიწის ხანდაზმულებში. ხანდაზმულები კი სოფელ ქობულეთში, კოში, სამებაში და სხვაგან შევრნი იყვნენ. მათ კარგად ახსოვდათ აღმ ფაშაც და მისი მკაცრი და უზნეო მმართველობის წლები.

აღმ ფაშა ქობულეთის მთავარის მამუკა თავდგირიძის შევილიშვილი იყო. გადმოცემით იგი იყო მამუკას შევილის სულეიმანის ვაჟი ანუ თურქების ქობულეთში შემოსვლის შემდეგ გამუსლიმანებული მაქსიმე თავდგირიძისა, მამუკამ თვითონ არ მიიღო სლამი, გურიაში გაეცი თურქებს.

სულეიმან თავდგირიძეს კოლად ჰყავდა სოფელ ქობულეთის მკაცრის სერდელ-აღმ გუგუნავას ასული დინდილე, რომლის ერთი დაც ელმასი გულო კაიკაცაშვილის დედა იყო. სულეიმან თავდგირიძე თურქეთის ორიენტაციის წაფი იყო. კიდევ მეტი, გადმოცემის მხედვით, იგი იბრძოდა გურიილთა წინააღმდეგ. ერთ-ერთ ბრძოლაში იგი მოკლეს სოფ. შეკვეთილთან. ცოლა — დინდილე ხანუმი ქმრის ტანსაცმელში გამოწყო, შეჭდა ცხენწე და ჯარს გაუძლვა. თურქეთის სულთანმა გაიგო ქალის ამბავი სტამბულში და ამ ამბით ნასიამოვნებმა, ქალი დაიბარა დასაჭილლოებლად. დინდილე ხანუმი წავიდა გემით სტამბულში, თან ახლოდა მისი თორმეტი წლის ვაჟი — აღმ, სულთანმა მიიღო ქალი, ესაუბრა მას, მოუწონა საქციელი, უხვად დააჯილდოვა ოქროვერცხლით და სინანულით. განაცხადა: „ხანუმ ეფენდი (ქალბატონი), ამ დამსახურებისათვის ფაშინის ტატული გვიცვთვნის, მაგრამ ჩვენი რჯულით ეს შეუძლებელია. ე. ი. ქალზე ჩაიმე ტიტულის მინჭების უფლება არა გვაქვს.

პატივმოყვარე ქალმა თამად შეხედა სულთანს: „თუ ამ მოწყალებას მოილებთ, მე მყაფს 12 წლის ვაჟი, რომელიც ახლა აქ მახლავს, მას აღმ ჰქეია... და თუ შეიძლება ფაშის ტიტულით ამიაღლოთ.

გახარებულმა სულთანმა ბრძანა, სულეიმან ბევ თავდგირიძის 12 წლის ვაჟს მიერიდან ჩურუქსუს ფაშას ტიტული ეტარებინა.

ასე დაიწყო სჩულიად დაუმსახურებლად აღმ თავდგირიძის აღზევება. ამის შემდეგ ჩურუქსუში და მთლიანად აშენაში ერთადერთი ფაშის ტიტულის მქონე აღმ თავდგირიძე განდა ამ მხარის მმართველი, როცა მას 17 წელი შეუსრულდა.

აღმ ფაშას პირადი თვისეცები მაღლე გამოვლინდა. ამ ზნედაცმულმა ადამიანმა

ისეთი სიძულვილი დაიმსახურა ქობულეთში, რომ დედები თავიანთ ატირებულ შეგ-  
ლებს აშინებდნენ: „ნუ ტირი, თუ არა ალი ფაშა წაგივანს თავისთანა“ და კარგი მუშა-  
ბიც სწყვეტდნენ ტირილს. რამდენი ათეული წელი გავიდა ალი ფაშას შეათველობი-  
დან და ქობულეთის სოფლებში დღესაც ავხორცობისა და ზედაც მუშალობის სიმბო-  
ლოდ შემორჩენილია სიტყვა „ალი ფაშა“. ქობულეთელი მოსახლეობა, რომლისთვისაც  
ოჯახერი უბიშობა, მისი სიწმინდე სიცოცხლის არსს წარმოადგენდა, ალი ფაშას  
პრც მუქარი და ვერც მათრახი ვერ აშინებდა. ცნობილია, რომ ალი ფაშას მარტო  
ხალხში გამოსვლისა ეშინოდა და მან შექმნა 25 რჩეული ქობულეთელისაგან შემდგა-  
რი დაცვა. იძეგნაც გამომწვევი იყო ალი ფაშას ავი მოქმედება და ზედაც მუშალობა,  
რომ ბეკრმა რაზმის წევრმა ადრე მიატოვა იგი. ცნობილია, მაგალითად, რომ აჭყვისთა-  
ველი ხუსეინ ხაბაზი, რომელმაც არ ისურვა ალი ფაშას რაზმში ყოფნა, იძულებული  
გახდა ყაჩალად გავარდნილიყო და გურიაში ნათესავებთან შეეფარებინა თვით. ასევე  
გაექცა ალი ფაშას ალმბრელი დედია ნიერაძე, რომელსაც ტერორი დაუნიშნა ალი  
ფაშამ.

ალი ფაშას უზნეობა იქამდე მივიდა, რომ თავისი რაზმის ერთ-ერთ წევრს, აჭყვის-  
თაველ მენაბდეს, დაავალა თავისი ლამაზი ცოლი მიეყვანა მისთვის. ქმარმა სულ-  
მდაბლობა გამოიჩინა და მოტყუებით მიიყვანა ალი ფაშას სასახლეში, მაგრამ ქალი მა-  
მაცურად შეხვდა ამ ბოროტებას: ფაშამ ძალადობა რომ დაპირია, გაექცა მას და ამის  
შემდეგ არც სულმდბალი ქმრის ოჯახში დაბრუნებულა. სხვას გააცყარა ცოლად (შა-  
ქარიშვილის ქალი). ალი ფაშას უზნეობის მრავალი ფაქტი ახსოვს ხალხს და მის სა-  
ხელს ზინილით, სიძულვილით ასტენებენ ხოლმე.

ახლა ცოტა რამ მინდა ვთქვა იმ ხალხური სიმღერის შესახებ, რომელიც შეიქმნა  
ალი ფაშაზე. ე. ი. რას ნიშნავს ის მყაფიოდ მჟღერადი სიტყვები:

„ალი ფაშამ გვიღალატა...!“

იყო თუ არა იგი მოღალატე?

რასაცვირველია, ალი ფაშას სულიერი პორტრეტის შესწავლის შემდეგ არავის არ  
გაუკვირდება მისი დალატი, კარიერისმი და ანგარებით გატაცებანი, რაც მისი ცხოვ-  
რების, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, „გვირგვინს“ წარმოადგენს.

სიმღერა ალი ფაშაზე უეჭველია შეიქმნა 1877-1878 წლებში, რუსეთ-თურქეთის  
ომის დროს. ამ ომში ქობულეთელთა დიდი ნაწილი ანტითურქულად იყო განწყობი-  
ლი, მოწინავე ქართველი პატრიოტები: გულო კაიკაციშვილი, დედია ნიუარაძე, ყუ-  
შემ ჭყანია უკომპრომისონ ბრძოლას ექვეოლენ აქარის დედასაქართველობისთვის შე-  
ერთებისათვის, მაგრამ თურქეთის სულთანს გადაწყვეტილ ქვითდა, რადაც არ უნდა  
დაჭდომოდა, გადაულახავი ბარიერი შექმნა ბათუმის ასალებად გამზადებულ რუს-  
ქართველთა ჯარის წინააღმდეგ. თურქთა ჯარების საჩდალმა დევრიშ ფაშამ ფულალ  
ხელფასები დაუნაშნა ადგილობრივ მუსულმანებს, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ  
იბრძოლებდნენ. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ ქობულეთელთა მონაწილეო-  
ბით ფორმირებული ჯარის ნაწილები თავდადებით იბრძოდნენ ციხისძირის მისასვლე-  
ლოან, სადაც ბათუმის ბედი წყდებოდა. ქობულეთელთა ამ ნაწილს სათავეში ეღა-  
ალი ფაშა თავდგირიძე.

სწორედ ამ დროს (ხალხში დარხეული ხმების მიხედვით) რუსეთის არმიაში დაიმა-  
და აზრი იმის შესახებ, რომ ეწარმოებინა საიდუმლო მოლაპარაკება ალი ფაშასთან.  
ოქროთი მოესყიდა იგი და ეკულებინათ თურქეთის არმიისათვის გამოეთიშა ქობუ-  
ლეთელთა არმია. რუსეთის საჩდალობა ვარაუდობდა, რომ ალი ფაშა, მფლობელ  
უცხო მაღალი ტიტულისა, ეროვნებით ქართველი იყო და შეიძლებოდა რამე სა-

როთ ენის გამონახვა. კავკასიის მეფისნაცვალმა ეს საქმე მიანდო ქართველ ოფიცერს იასე გურიელს. როგორც ზეპირი გადმოცემა გვაძლენობს, ეს საიდუმლო მოღაპა-არაება შედგა. ალი ფაშამ მოტყუებით წაიყვანა თავისი რაზმი ციხისძირის მისად-გომებთან სოფელ კვირიეში, სადაც რუს-ქართველთა ნაწილები იყო განლაგებული და ამგვარად მან ზურგი შეაქცა თურქეთს.

საგულისხმო ასეთი ფაქტი: სოფელ კოხში სულ ორი ათვული წელია, რაც გარდაცვალა 90 წელს მოღწეული იუსუფ შავიშვილი. იუსუფის გადმოცემით, მისი ბიძა სულეიმან შავიშვილი იმ წლებში ყოფილა ალი ფაშას პირადი დამცველი. მან კარგად იცოდა საიდუმლო მოღაპარაკების შესახებ, მაგრამ სიცოცხლის უკანასკნელ წეთამდე არ გაუთქვას ალი ფაშას ეს სიცოცხლება. სიკვდილის წინ კი მან ყველაფერი აღიარა. როგორც ცნობილია, ალი ფაშას ამ „ღალატის“ შემდეგ თურქეთმა დაწყო ციხისძირიდან უკან დახევა. 1878 წლის ივლისში ციხისძირის მიმართულებით ბათუმისაკენ დაიძრნენ გენერალ სვიატონბოლეგმიჩსკის ნაწილები, ხოლო გოდერის ულელტეხილიდან, ზულოს გავლით — გენერალ კომაროვის არმია. ბათუმის შემორთებით აჭარა დედასამშობლოს დაუბრუნდა. ამ ამბით ხარობდა მთელი საქართველო. და მანც სანქტერესოა ალი ფაშას ბედი ბათუმის განთავისუფლების შემდეგ.

რა თქმა უნდა, ზოგის გადმოცემით ალი ფაშა გაჰყვა თურქეთის დამარცხებულ ჯარს და სიცოცხლე მშვიდობიანად დამთავრა სტამბულში. უფრო სარწმუნოა გადმოცემა, რაც პირადად მე მომისმენია ქობულეთის უსუცესთაგან. როგორც მათ მოთხრეს, ალი ფაშას იმდენი ცოდვა და დანაშაულები ჰქონდა ჩადენილი თავისი ხალხის მიმართ, რომ უაზროდ ჩათვალი ქობულეთში დარჩენა და გემით გაუდგა გზას სტამბულისაკენ. სულთანთან უკვე იყო ცნობა ალი ფაშას ღალატის შესახებ. იგი გემში ჩასხდომისას დააპატიმრეს, ხელფეხზე ბორკილები დაადეს და სულთანთან წარადგინესო... და ხალხურ სიმღერაშიც ხომ ასე უღრეს: „მასაც კაი არ დამართეს, ბაწრით შეათრიეს გემში, მისი ყვირილი ისმოდა, სუფას გამდა ბაილეთში“. აქ არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ სად, ბათუმში თუ სტამბულში აიყვანეს იგი პატიმრობაში. მოხუცთა გადმოცემით, სულთანმა გამდნარი ოქრო ჩასხა ხახაში ალი ფაშას ოქროს იყვარულით ჩადენილი ღალატისათვის.



# სამთამადნო მრეწველობა და სამრეწველო მუშათა კლასი ტაო-კლარჯეთსა და აჭარაში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი რაიონები მეტალურგიის უძველეს კერას წარმოადგენს. ამ მხარეში ლითონის მოპოვებას და დამუშავებას ჯერ კადევ ჩვენს ერამდე დღიდ წინით აღრე ეწეოდნენ. ამის დასტურია როგორც წერილობითი, ისე წიგთიერი წყაროები. მაგალითად, ძველი ბერძნები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში განსახლებულ ერთ-ერთ ქართველ ტომს ხალიბებს უწოდებდნენ, რაც იმავე ბერძნულ ენაზე მელითონებს ნიშავდა. მაჭახელის ხეობაში დამზადებული ლითონის იარაღები ჯერ კიდევ უძველეს დროში საქართველოს ფარგლებს გარეთაც იყო ცნობილი.

მაგრამ საქართველოს თითქმის განუწყვეტელი ძნელბეღლობის ხანა ედგა. XVII საუკუნის პირველ ნახევარში ტაო-კლარჯეთი და აჭარა დიდი წინით ოსმალებშა დააპყრეს. ოსმალებმა ეს მხარე სრული დეგრადაციის ვჰაზე დააყრენს.

ტაო-კლარჯეთისა და აჭარის სამეურნეო-უკონომიკური განვითარება საქართველო-სთან დაბრუნების შემდეგ დაიწყო. რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მიუხედავად, ეს მხარე, როგორც მთლიანად საქართველო, მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობაში ჩაება. საქართველოში, კერძოდ, ტაო-კლარჯეთსა და აჭარაში სასაქონლო-კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებას განაპირობებდა არა მარტო მდიდარი ბუნებრივი რესურსები, არამედ მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობაც. ამ და სხვა ფაქტორების გამო საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის ათვისების, მისი კომუნიკაციების გამოყენებით ყველაზე მეტად უცხოელები დაინტერესდნენ.

ცხადია, უცხოელი კაპიტალისტების მიზანი მაქსიმალური მოგება იყო, სწორედ აյ ტაო-კლარჯეთსა და აჭარაში, მათ დაინახეს ამ მოგების მიღების წყაროები: იაფევანიანი ნებლეული და ასევე იაფევანიანი მუშახელი, ბათუმის ბუნებრივი საზღვაო ნაგებადგური, საიდანაც თავისუფლად შეიძლებოდა მსოფლიოს ნებისმიერ კონტინენტიან დაკავშირება.

ტაო-კლარჯეთისა და აჭარის საქართველოსთან დაბრუნებიდან სულ მოკლე დღოში ქ. ბათუმი კავკასიის დიდმინიშვნელოვან საგაფრო-სამრეწველო ცენტრად გადაიქცა. XIX-XX საუკუნეთა მიწაზე მრეწველობის განვითარების დონით მან კავკასიაში მესამე ადგილი დაიკავა. (ბაქოსა და თბილის ჩამოუგარდებოდა). საგულისხმოა, რომ 1884 წელს მთლიანად ქუთაისის გუბერნაში 27,6 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია აწარმოეს, მათგან 26,6 მილიონი ე. ი. დაახლოებით 98% ქ. ბათუმის ხისა და თუნქის ყუთების საწარმოებზე მოდიოდა.

ტაო-კლარჯეთისა და აჭარის სამრეწველო განვითარებაში მნიშვნელოვანი აღილებამთამადნო მრეწველობამ დაიკავა. საქართველოში, კერძოდ ბათუმში ლითონნამზადებით მრეწველობის შექმნამ და განვითარებამ ლითონზე მოთხოვნილება მნიშვნელოვნად გაზარდა. ბათუმის ქარსნებისათვის ლითონის ნედლეული ძირითადად რუსთოდან და საზღვარგარეთიდანაც კი შემოქმნდათ, მაგრამ კაპიტალისტებს ძვრის უდიდებობათ. ამიტომ აღილებრივი იაფი ნებლეულის ძიებას დასარბებით შეუდნენ.

უცხოეთის კაპიტალისტებმა წიაღისეულის საბაზოები აღმოაჩინეს ქვემო აჭარას და ართვინის ოკრუგში. წიაღისეულით ყველაზე უფრო მდიდარი საბაზოები ართვინის ოკრუგში აღმოჩნდა. ძირითადად აქ მოიპოვებოდა მაღალხარისხსნოვანი სპილენძი.

ტუვია, მარგანეცი, თუთა, ვერცხლი. დომინირებული ადგილი სპილენძის მაღანს ექა-  
ვა. აქაური სპილენძის მაღანი თავისი ხარისხით მხოლოდში ერთ-ერთი საუკეთესო  
გამოდგა.

ტაო-კლარჯეთსა და აჭარაში კაპიტალისტური ტიპის სამთამადნო მრეწველობის  
წამომწყებრივი იუნენ უცხოელი ვაჭარ-მეწარმენი რობერტ რიხნერი და ანტონ  
სალერი. გერმანელმა იუნენერმა რ. რიხნერმა 1884 წელს ქ. ბათუმში ლითონდამუშა-  
ვებითი საწარმო დააარსა, სადაც ძირითადად ნავთის გადასატანი თუნექის ყუთები  
მზადდებოდა. ადგილობრივი იაფუ წიაღისეულის მოპოვებისა და დამუშავების მიზ-  
ნით რ. რიხნერმა ა. სალერნისთან ერთად ართვინის ოკრუგში, ქვემო და ზემო აჭარა-  
ში გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოები ჩაატარა და წიაღისეულის მნიშვნელოვანი  
ჩარაგი გამოავლინა.

თავდაპირველად წიაღისეულის, კერძოდ სპილენძის მაღანის მოპოვება დაიწყეს  
სოფლებში მერისში, ვაიოში (ქვემო აჭარა), ლომაშენში, ჰოდელიაში (ართვინის ოკრუ-  
გი). ვასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში რ. რიხნერმა და ა. სალერნიმ  
ართვინის ოკრუგში მაღანის გამოსაღნობი სპეციალური ლუმელი მოაწყვეს, ხოლო  
სოფელ ერგვი მეტალურგიის მცირე საწარმო ააგეს: 1888 წელს, მაგალითად, ართვი-  
ნის ოკრუგის სოფლებში ლომაშენსა და ჰოდელიაში 2636, ხოლო 1889 წელს 9364 ფუ-  
თი მაღანი ამოიღეს, მათგან 4184 ფუთი სპილენძი, 5000 ფუთი თუთა, 950 ფუთი  
ტრავა.<sup>2</sup> ერთი წლის შემდეგ მაღანის ამოღება თითქმის ორჯერ — 18589 ფუთამდე გაი-  
ზრდა. მაღაროებსა და გადამამუშავებელ საწარმოებში 68 მუშა მუშაობდა.<sup>3</sup>

მომდევნო წლებში ამ საქმით სხვა უცხოელი მეწარმენიც დაინტერესდნენ, რის  
შედეგადაც წიაღისეულის დამიება, ამოღება და გადამუშავება მნიშვნელოვანად გა-  
დიდდა. მაგ., 1894-1898 წლებში წიაღისეულის მოპოვებას შვიდ მაღაროში ეწეოდნენ,  
რომელთაგან ორი ქვემო აჭარაში, ხოლო სუთი ართვინის ოკრუგში მდებარეობდა.  
კელაზე დიდი რაოდენობის მაღანს სოფლებში ძანსულში, ირსაში, კვარცანაში,  
ჩინჩხანაში (ართვინის ოკრუგი), იღებდნენ. რიხნერისა და სალერნის გარდა, სამთამად-  
ნო წარმოებას ხელი მოკიდეს სიმონიდმა, ლაზერევმა, ოგულევიჩმა, ხერხოსვეკალმა,  
ბუზიანმა, კანლიგმ, გორიანოვმა, ენგვიერმა და სხვებმა. ყველანი უცხოელებია. ამათგან,  
შედარებით მსხვილი მეწარმეა კაპიტალისტი სიმონიდი, რომელსაც სპილენძის მაღანის  
მაღაროება ჰქონდა ართვინის ოკრუგის სოფელ ჰოდელიასა და ქვემო აჭარის სოფელ  
შერისში. 1895 წელს, მაგ., ტაო-კლარჯეთსა და აჭარაში ამოღებული მაღანის საერთო  
რაოდენობიდან კაპიტალისტ სიმონიდის ფირმაზე 70 პროცენტამდე 49,7 ათასიდან  
41 ათასი ფუთი) მოდიოდა.

მაღანის გადამუშავება წინაძეგბურადვე ერგეს მეტალურგიულ ქარხანაში ხდებოდა,  
რომლის სიმძლავე რე XX საუკუნის დამდეგს საგრძნობლად გაიზარდა. მაგალითად,  
1901 წელს აღნიშნულმა საწარმომ 505,5 ათასი ფუთი მაღანი გადამუშავა და 9,6  
ათასი ფუთი ლითონი გამოადნო, რაც 1895 წლის მახასიათებელს 4-ჯერ და მეტად  
ზემოტებოდა.<sup>4</sup>

სამთამადნო მრეწველობის ახალი აღმავლობა 900-იანი წლებიდან დაიწყო. იგი  
დაკავშირებულია კავკასიის სპილენძის მეწარებლობის საზოგადოებათან, რომელმაც  
ტაო-კლარჯეთისა და აჭარის სამთამადნო მრეწველობაში დიდალი კაპიტალი დააბან-  
და. ამ საქმისადმი განსაკუთრებული დაინტერესება ინგლისელმა, ამერიკელმა,  
ბულგარელმა და გერმანელმა კაპიტალისტებმა გამოიჩინეს. მათგან აღსანიშნავია გერმა-  
ნის ფირმა სიმენსი.

უცხოეთის კაპიტალისტებმა ართვინის ოკრუგში მაღანის ახალი მაღაროები, მეტა-



ლურგიული ქარხნები, გამამდიდრებელი ფაბრიკები, ელექტროსალგურები, სამწოდებელი და აღმინისტრაციული ნაგებობები ააგეს, გაიყვანეს გზატკეცილები და საბაგირო გზები. მაგ., 1903 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ჩინგატევესი (ართვინის ოკრუგი) მეტალურგიული ქარხანა, რომელიც კავკასიის სპლენძის მრეწველობის საზოგადოებას, კერძოდ, ინგლისის კომპანიას ეყუთვნოდა. 1905-1907 წლებში ამავე საზოგადოებამ სოფელ ძანსულში სპლენძის გამამდიდრებელი ფაბრიკა ააგო. მცირე მოცულობის გამამდიდრებელი ფაბრიკები მსხვილ მაღაროებთანაც ააშენეს. 1913 წლს ართვინის ოკრუგის სოფელ კვარცხანში ახალი მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა დაიწყო. მისი ექსპლუატაციაში შესვლა გათვალისწინებული იყო 1914 წლისათვის, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყების შედეგიდ მშენებლობა დაუშთავრებელი დარჩა. ქარხანა 1917 წლს ამოქმედდა.

ტაო-კლარჯეთისა და აჭარის სამთამადნო მრეწველობაში კაპიტალისტებს 1910 წლისათვის დაბანდებული ჰქონდათ 10 მილიონი მანეთი.<sup>5</sup>

1915 წლისათვის მარტო სოფელ ძანსულის სამთამადნო მრეწველობაზე გაწეული კაპიტალდაბანდება 20 მილიონ მანეთს აღწევდა.<sup>6</sup>

კაპიტალისტები აქტურ ლითონს, კერძოდ, სპლენძის ასალებდნენ საზღვარგარეთ, როსეთის იმპერიის სამრეწველო ცენტრებში, ძირითადად, პეტერბურგის პუტილოვის ქარხანას აწვდიდნენ.

ტაო-კლარჯეთსა და აჭარაში სამთო და სამთამადნო მრეწველობის მუშათა კლასის მნიშვნელოვანი რაზმი ჩამოყალიბდა. მაგალითად, 1913-1915 წლებში ართვინის ოკრუგის სამთამადნო მაღაროებში 2500-ზე მეტი მუშა ირიცხებოდა. ამავე ოკრუგის ძანსულის სპლენძის მადნის გამამდიდრებელ ფაბრიკაში მარტო აღმინისტრაციული პერსონალი 100 კაცამდე აღწევდა, მთლიანად კი ტაო-კლარჯეთისა და აჭარის სამთამადნო და სამთომეტალურგიულ მრეწველობაში XX საუკუნის 10-იან წლებში 3500-4000 მუშა-მოსამსახურე ითვლებოდა.

სამრეწველო მუშათა კონცენტრაციის მიხედვით ტაო-კლარჯეთისა და აჭარის სამთამადნო რეგიონი კავკასიაში ბაქოს, თბილისსა და ჭიათურას თუ ჩამოუგარდებოდა, ტაო-კლარჯეთისა და აჭარის სამთამადნო მრეწველობის მუშათა კლასი ძირითადად გარესაშვრის მაძებარი გლეხები იყვნენ, რომელისაც სოფელთან კავშირი გაწვევტილი არ ჰქონდათ, მუშების უმრავლესობას ქართველები, უმეტესად ლაზები შეადგენდნენ. ამათ გარდა, სამთამადნო მრეწველობაში დასაქმებული იყვნენ ხომები, როსები, ოსები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები.<sup>7</sup>

მუშათა კლასის შრომისა და ცხოვრების პირობები უაღრესად მძიმე, ნამდვილად აუტანელი იყო. გაზეთი „თანამედროვე აზრი“ ართვინის ოკრუგის ძანსულის სამთამადნო მრეწველობის მუშათა შრომის პირობების შესახებ წერდა, რომ აუმჯშაობა ჭიჭინებურია და ამიტომაც მუშა დიდხანს ვერ უძლებს, ყოველ თვეში 300-400 კაცი გარდის და მის ადგილას ახალი ნაკადი მოდისო. გასამრეწველო — დღიურიად 80 კაპიუ, მუშებს მინიმალურადაც არ ჰქონდნათ.<sup>8</sup>

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, კერძოდ 1914 წელს, ტაო-კლარჯეთისა და აჭარის სამთამადნო მრეწველობის კერძები დროებით თურქებმა დაიკავი. მათ გაანადგურეს მაღაროები, ფაბრიკა-ქარხნები, რითაც ამ დარგმა უდიდესი ზარალი


განციცადა. 1918 წლის აპრილიდან ართვინის ოკრუგის სამთამადნო რეგიონი იხსედა მურჯების ბატონიბაში მოექცა და წარმოება შეჩერდა.

### გამოცენებული ლიტერატურა

1. კავკასიის კალენდარი, ტიფლისი, 1894, გვ. 91; პროცენტი გაანგარიშებულია ვტორის მიერ.
2. ქუთაისის გუბერნიის 1893 წლის მიმოხილვა, ტიფლისი, 1895, გვ. 239-240; კავკასიის კალენდარი, ტიფლისი, 1890, გვ. 239 (რუს.).
3. კავკასიის კალენდარი, ტიფლისი, 1892, გვ. 111 (რუს.)
4. კავკასიის კალენდარი, ტიფლისი, 1897, გვ. 84-85, კავკასიის კალენდარი, ტიფლისი, 1905, გვ. 52 (რუს.) პროცენტი გაასგარიშებულია ვტორის მიერ.
5. ბათუმის ოლქის, 1910 წლის მიმოხილვა. ბათუმი, 1912, გვ. 39 (რუს.).
6. თანამედროვე აზრი, 8 მარტი, 1915.
7. თანამედროვე აზრი, 8 მარტი, 1915.
8. თანამედროვე აზრი, 8 მარტი, 1915.

### ოთარ თურმანიძე,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის გამგე, ის-ტორის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.



## კოლეგოლოგია ღა ქართული კოლეგიუმი აზრის კლევის კონცენტრაცია

თანამედროვე ეპოქის გლობალური პრობლემების, კაცობრიობის წინაშე მდგომადიდობის ამოცანების სიღრმისეულად, ახლებური აზროვნების პოზიციებიდან, წარსულის მდიდარ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით უცხავლისა და მეორე მხრივ, ჩვენი ურთისათვის დამახასითებელი პროცესების — დემოკრატიისა და საჯაროობის გადახვების, ხალხის პოლიტიკური აქტიურობის უაღრესად ზრდის, პოლიტიკური პლანირების დამკვიდრების პირობებში, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული პირველად ინიციატივის მცველი ასტორიაში, უმაღლეს სკოლაში პოლიტიკურ და კურსის უმოღვება. პოლიტოლოგიის სასწავლო კურსის უმოღვება დროის მოთხოვნად, ეპოქის კონცენტრაციის პრობლემების სწორად ამოხსნით, მომავლის იმიჯებულად განვირებითაა განხილული.

ხაკორის სიცხადისათვის მოქლედ ვიტუფით: სიტყვა პოლიტოლოგია ბერძნულორობის № 6

ლიდან წარმოსდგება, პოლის — ნიშნავს მრავლობითს, ყოველმხრივს, ერთ-ერთი საზოგადოების მრავალმხრივ მოდევაწეობის ამსახველ ტერმინს, ლოგოს — მოძღვრებას. პოლიტოლოგის შესწავლის ობიექტი სახელმწიფო წყობისა და მთართველობის ფორმებია, როგორც ისტორიული განვითარების კონტექსტში, ასევე რეალურ სოციალურ სინამდვილეში, პოლიტიკური ინსტიტუტების, მთავრობისა და ფუნქციების, პოლიტიკური ცნობებებისა, პოლიტიკური კულტურას. საგანი ირმერივი დანიშნულება აქვს: თორიული, შემცირებითი, მცირებული დანიშნულება და პრაქტიკული, გამოყენებითი, სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ საგნის საშავლო კურსად შემოლების მცირე დროის მიუხედავად, პოლიტოლოგთა ბუმი გაჩალდა. დასავლეთის პოლიტოლოგები ხაზგასმით მიუთითებენ, როცა ჩვენში ეს საგანი ყალიბდებოდა ასეთი ბუმი, ასეთი მოძრაობა არ გვქონდა, ძნელად მიიყვალდა გჭას ეს საგანი, თქვენი ასეთი მოქმედება იმის მაუწყებელია, რომ თქვენთან აღრევე ჩაღვება თავის ხრულყოფილ კულტურობი ეს ხაგანით.

პოლიტოლოგთა საერთაშორისო სკოლის მეცადინეობაზე, რომელიც 1991 წლის იანვარში ტალინში გაიმართა, დასავლეთისა და საბჭოთა პოლიტოლოგების გამოსხვეულების მტკიცებულ გამოიკვეთა მოსაზრება, რომ პოლიტოლოგია, როგორც მცირებულია, შეიძლება სხვადასხვა ქვეყანაში სპეციალისტი იყოს, თავისებური მიმართულება ჰქონდეს, ვინაიდან პოლიტოლოგია უყრდნობა ამა თუ იმ ქვეყნის ენას, გეოგრაფიულ გარემოს, ისტორიას, ტრადიციას, ლიტერატურას, პოლიტიკურ აზრს, სახელმწიფო მართვის ფორმებს, დაონმიტური ცნობების პირობებს. ისტორიული ფაქტია, რომ პოლიტიკურ კულტურაში უპირველეს ყოვლისა წარმოჩნდილია ერის სახე, ერის კულტურა. სრულიად სხვადასხვა პოლიტოლოგია ინგლისში, საფრანგეთში, აშერიყაში. ამასთან ეს პროცესი, როდი მიუთითებს იმაზე, რომ პოლიტიკური აზრი, პოლიტოლოგია სხვა ქვეყნებისაგან, გარე სმყაროსაგან განცალკევებულდა, კარჩივერტილად ვითარდებოდეს. პოლიტოლოგები ცდილობენ ცალკეული ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე შემუშაონ, ჩამოაყალიბონ საერთო ნიშნები, საერთო შესხდულებები, რომელიც შეიძალება გარევულ წყლის საკაცობრივი კულტურაში, პოლიტიკური აზრის საერთო საგნერული. შეუძლებელია პოლონები კულტურა წარმოვიდგინოთ მიცემისის, რუსელი კულტურა ლ. ტოლსტოის, ქართული კულტურა ი. ჭავჭავაძის გარეშე, რომელთა შემოქმედება ერთიანი, უნილავი ძაფებითაა დაკავშირებული საერთო, საკაცობრივი კულტურასთან და ამასთან ისინი, დამოუკიდებელ, ეროვნულ, ნოენირ ნიადაგზე აღმოცენდნენ და განვითარდნენ; ასევე შეუძლებელია პოლიტიკური აზრის მექანიკურად ერთი ქვეყნიდან მოიხეში გადატანა და გამოყენება.

ამდენად პოლიტოლოგი, საერთო კურსის კითხვის პროცესში გვერდს ვერ აუვის ეროვნულის, და ამ შემთხვევაში ქართული პოლიტიკური აზრის კვლევის პრობლემებს.

საუკუნეების განმავლობაში ქართველი ერის მრავალიც ცხოვან მტრებთან ბრძოლაში დამარცხებისას თუ აღზევების უმს, მოწინავე პოლიტიკური აზროვნებით თვითშეუცადი კულტურით, მცირებულების განვითარებით ჩვენი ქვეყანა ყოველთვის იდგა მსოფლიო ცივილიზაციის ერთიან ირბითაში. (ამას გწერთ არა გნებათაღლების, ემოციების გაფლენით, ხილუობის, ან თავის წარმოჩნდის მიზნით, არამედ ქვეშარიძის ისტორიული ფაქტებისა და მოღვაწების, ეკონომიკის მაღალი დონის უკუფერის ქველობაზე) „ქართველმა ერმა მოახერხა თვითშეუცადობის გადარჩენა, კულტურის, ენის ფსიქოლოგიის, ისტორიის, საკუთარი ტერიტორიის შენარჩუნება. იგი, როგორც თვით შეიცვლილი ერთეული ერთეული, არ გაითვიფა არც ბერძნებში, არც სპარსელებში,



კუ არაბებში, არც თურქებში, არც სკვითებში... როგორც საერთაშორისო სამართლებრივი უძინებტო, აქტიურ დიპლომატიურ მუშაობას ეწეოდა, მონაწილეობდა სწვადასხვა კულტურული, საკუთარ სახელმწიფო ინტერესებზე ზრუნავდა<sup>2</sup>.

საქართველო ბევრჯერ ზიარებია საკაცობრივი პოლიტიკური კულტურის საგან-სურს და ასევე თვითონაც მნიშვნელოვანი, მოკრძალებული წვლილი შეუტანია ამა თუ იმ ეპოქის პოლიტიკური აზროვნების საგანძურებში; ძველი აღმოსავლეთის ხალხებთან ერთად, ანტიური თუ რენესანსის ეპოქაში, თეოლოგიით მოცემულ შუა საუკუნეებში, თუ მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე, ერთი მოწინავე ადამიანები, არა მარტო მილიონი და მასშინით, არამედ პოლიტიკური აზროვნების მაღალი დონით და მეცნიერული შემართებით იდგა ქართველი ერთი სადაჩაჭოშე.

თანამედროვე ერთაშე, როცა საქართველო თავისი ეროვნული აღმოჩინებისა და კუშარიტი სუცერენული უფლებების, ყონიმიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების წინაშე დგას — უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართველი ერთი თვითმყოფადი, მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკური აზრის, სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურის, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის შესწავლასა და მეცნიერულ კონკრეტობას.

„პოლიტიკოლოგიას მესამე ათასწლეულის ზღურბბლთან მდგარი საქართველოსათვის, უპირველეს უკვლისა, გამოყენებითი პრატკული ღირებულება აქვს, მან ჩენს ეროვნულ-განმათვისუფლებელ მოძრაობას, მთელ ჩენს დღვევანდელ და მომვალ ეროვნულ ცხოვრებას სწორი გზა-კვალი უნდა მისცეს, სხვა რაიმე უფრო ღირებული დანიშნულება პოლიტიკოლოგიას ჩენენთვის არ შეიძლება ჰქონდეს“<sup>3</sup>.

წლების განმავლობაში საშუალო და უმაღლესი სკოლის ცხოვრებაში გაბატონებულია „ცენტრიდანულმა“ ძალებში, ისტორიისა და საზოგადოებრივ შეცნიერებათა წავლებაში დოგმატიზმის დამკვიდრებამ, მხოლოდ და მსოლოდ სიმძიმის ცენტრის სხივ ხალხთა ისტორიის სწავლებაშე გაღატანამ, ბევრი პრობლემისა და ამოცანის წინაშე დაგვაუყნა, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ „დღეს სამწუხაროდ მრავალი ქართველი ვერ გრძნობს, რომ არის დავით აღმაშენებლის, რუსთაველის სულიერი მემკვიდრე, ვერ აღიძვამს ქართული ურესკისა და ჩიქეტურთმის მშვენიერებას და ამაღლებულობას. ეს ჩენი ტრაგედია. ჩენ უნდა აგმაღლდეთ. ტრაგედია ამაღლებასაც შულისაშმობს და სწორედ ახლა იწყება პროცესი ამაღლებისა. ჩენ უნდა დავიწყოთ დიდი მოძრაობა ერთიანი ქრისტიანოւრების აღსაღენნად, ასე რომ დედოფლი დავიზარდოთ აცის სულიერი კონსტიტუციისათვის“<sup>4</sup>.

ქართული პოლიტიკური აზროვნების შესწავლა, ბუნებრივია, ანტიური ეპოქის აზროვნებით უნდა დავიწყოთ, ქართული მითოლოგიური აზროვნება, მიმდევნო საუკუნეებში ისეთი მთავროვნების წარმოჩენით, როგორებიც იყომ ცურტაველი, აიღატი და ფაოტაზი, იოანე საბაონის ძე, ვიორგი მერჩილევე, იოანე, ევგომე და ვიორგი მთამინდელები, ლეონტი მრვველი იყვნენ. ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში მნიშვნელოვანი ადგილი ფაზისის აკადემიას განკუთვნება, საბაც ალიზარდა არა მარტო ქართველი პოლიტიკური მოღაწეები, არამედ მომზადდა კადრები ხახერნეთისა და ბიჭაპეტისათვის, რომლებმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს. სახელმწიფოს გარეობისა და პოლიტიკურ აზროვნებაში. ასევე საყურადღებოსა საქართველოში ქრისტიანობის გადაცემების პოლიტიკური მნიშვნელობას წარმოჩენა და ა. შ.

საშუალო საუკუნეების ქართული პოლიტიკური აზროვნების წარმოჩენა შეტანებულია დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის საშინაო, საგარეო პოლიტიკისა და პოლიტური მოღაწეობის გარეშე, უკვდავი პოეზის „ვეფუსისტუასნის“ ისტორიული ეპო-

ქის მართებულად გაშუქების, მომდევნო ეტაპზე სულხან საბა იმბელიანის, წარმომადგრენის, გეგევსის, ვასუშტი ბატონიშვილის პოლიტიკური აზროვნების, სახელმწიფი უნიტარული ველობაზე, დემოკრატიასა და თავისუფლებაზე, მათი შეხედულებების წარმომადგრენის გარეშე.

ქართული პოლიტიკური აზრის ისტორიის შესრულების ცუქემდებლური წყარო „ქართლის ცხოვრება“, იგი წარმომადგრენს სხვადასხვა დროს შედგენილ, საუკუნეების განვითარებით რუდულებით, ტანჯვითა და წვალებით გამოვლილ ისტორიკოსთა, უამთააღმწერელთა და მეცენათა მიერ შეცხებულ თხზულებათა კრებულს, სადაც შეტანილია ის თხზულებები, რომელიც თანიმდევრულად მოგვითხრობს ქართველი ერის ისტორიას უძელესი დროიდან ვიდრე მე-18 საუკუნეებდე. იგი იწყება ისტორიკოსს ლეონტი მრიველის თხზულებით და მთავრდება მე-18 საუკუნის საერო ძეგლებით. „ქართლის ცხოვრების“ კრებული ქართული, საზოგადოებრიობის უპირველეს საჩრუნავ წიგნს წარმომადგრენდა. მასში კითხვლობდა იგი თავის დიად წარსულს, იქ პოლიტიკური მასალას აწყოს გასამტკიცებლად და უკეთეს მომავლის მოსამზადებლად. ამიტომ მასალას აწყოს გასამტკიცებლად და უკეთეს მომავლის მნიშვნელოვანი იყო, „აბა „ქართლის ცხოვრება“ ქართული საზოგადოებისათვის წმიდათაშიმიდა იყო, „აბა წარმომადგრენა“ წერდა ტიციან ტაბიძე, — ბერი მემატიანე ხარალივით ლაპარაკობს, სეაკშიაც შედის სისხლის აღმური“. ამასთან, „ქართლის ცხოვრება“ მარტო ქართველი ერის კუთვნილება, მისი ისტორია როდია, იგი მსოფლიო ისტორიის სერთო კუთვნილებაა, ქართული ისტორიული შეგლები მსოფლიო ისტორიას წარმოაჩინს და აცხებს.

ქართული პოლიტიკური აზროვნების მნიშვნელოვანი მოსაზრებებია გადმოუკმული სამეცადაგებლო, სადარბაზო, სამხედრო, სამოსამართლო, სადღეგრძელები და საჭალოვით მტკერმეტურებლებაში, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ლიტერატურები და პოლიტიკური მოღვაწეები ქმნიდა და ანგითარებდა.

განა სადღეისოდ არ ჟღერს დიმიტრი ყიფაინის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, არჩილ ჭორვაძის, ვაჟა-ფშაველას, კონსტანტინ გამსახურდიას, მიხეილ ჭავახიშვილის, გრიგოლ რობაქიძის, მერაბ კოსტავას და სხვათა პოლიტიკური შეხედულებები.

საქართველოს უაღმოსა წლების პოლიტიკური აზროვნებიდან გარკვეული აღმისუნდა და დაეთმოს თერგდალეულოთ თაობის, „მესამე დასის“ და ამავე პერიოდის უნდა დაეთმოს თერგდალეულოთ თაობის, საქმიანობის გაშუქებას, საქართველოს ერთ-ქართული პოლიტიკური მოღვაწეების საქმიანობის გაშუქებას, საქართველოს ერთ-ნულ-სახელმწიფო კოდექსის ტენდენციების განვითარებას მეოცე საუკუნეში, ქართული 1918-1920 წლებში, საქართველოს და რსესხრ-ს უმარტივოებრიობის აღდგენა 1918-1920 წლებში, საქართველოს და მისი დარღვევის პოლიტიკური რის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დადგება და მისი დარღვევის აქტი; საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ძირითადი ტენდენციები 20-30-იან წლებში და ა. შ.

განსაკუთრებით უნდა წარმოჩნდეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი, რომელსაც სათავე 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ დაუდო, შემდეგ ახალი ეტაპი, რომელსაც სათავე 1990 წ. ოქტომბერში, ახალი პარლამენტის — საქართველოს უზენას არჩევა და ა. შ.

სწორედ ახალი საქართველო, პირველად ერის ისტორიაში მრავალპარტიული არჩევების შედეგად შექმნილი პარლამენტი, რომლის ამოცანაა ერის კონსოლიდაცია, უკავშირება, უკონიშიერება, დამოუკიდებლობის მოპოვება, სერადის კავშირება, უკავშირება, დამოუკიდებლობის და სახელმწიფოს შმართველობის ფორმას; გან ვერც „ისესხებს“ დემოკრატიასა და სახელმწიფოს შმართველობის ფორმას; უნდა აღიღებოს საქართველოს სახელმწიფო მთლიანობა, დამოუკიდებლობა, შექმნას მისთვის გამოსადეგი მმართველობის ახალი სისტემა და გავიღეს მსოფლიო კონილიზაციის არენაზე.



პოლიტოლოგიამ, ქართულმა პოლიტიკურმა აზროვნებამ უნდა იკვლიოს ზოგადი ეროვნული მომიღებანი, ოც როგორია ერის ფუნქცია, ამოცანები ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროცესში, უნდა უპასუხოს მართებული და გამართლებული ქრთული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რა სახის ზოგდ პრინციპებს და მოთხოვნებს უნდა დაუქვემდებაროს იგი სახელმწიფო ერის დამოუკიდებლობის აღდგნისა და სუვერენულ უფლებათა მოპოვების საქმეში; რამდენად აღრე უკუკავდებთ იმ ილუზიას, რომ თითქოს საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა არ უკუდლია და მისი არსებობის ერთადერთი გამოხავალი მხოლოდ იმპერიის მარწუხებში ყოფნაა.

ქართული პოლიტიკური აზროვნების წინაშე გადაუდებელ ამოცანად დგას: — საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის, ქართული ეროვნული ტრადიციის, მისი სახელმწიფო ერის მმართველობა მდიდარი გამოცდილების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაშუქება პოლიტიკური თვალთარედვით; საქართველოს აღგილისა და როლის წარმოჩენა მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში; ეროვნული ცნობიერების, თანამედროვე ეტაპზე საქართველოში მიმდინარე რთული პროცესების შეცნიერებული ანალიზი; შექმნილი ვითარების პროგნოზირება, ობიექტური ძიებანი რესპუბლიკის ეკონომიკის, დემოგრაფიის, ეკოლოგიის პრობლემებისა.

პოლიტოლოგია, როგორც მეცნიერება მთელი სიგრძე სიგანითა და უოველმხრივი განზომილებით თანამედროვეობის გლობალური პრობლემების სამსახურში დგას. აქედან გამომდინარე საგანმა და მისი ერუდიტურული მასწავლებელი გვერდში უნდა დგეს საზოგადოებას, მის მოწინავე ნაწილს, სტუდენტ-ახალგაზრდობას მომავლის პრეცენტაში, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. საზოგადოების მოხველის იერასახის შეცნობის განახლებრა (მომიტევონ მონენოტებმა, აქ მხედველობაში როდი მაქვს სოციალიზმისა და კაპიტალიზმის შედარება თუ წინააღმდეგობა, არამედ სულიად ახალი ტიპის, მართლაც ადამიანის უოველმხრივ სამსახურში მყოფი საზოგადოების შექმნა), ეროვნული დამოუკიდებლობის მიმწევეას სჭირდება მეცნიერებული მიდგომა, თეორიული ძიება, გაანგარიშებული პრატიკული ნაბიჯები, ფიქრი და მოვლენათა მსვლელობის სიბრძნით განხსნა. აქ არ კმარა მარტო მონდომება, ემცია, სურალი; დონ-კიხოტის გმირებიც არიან მაძიებელნი, მებრძოლნი სიმართლისა, მაგრამ სწობილია როგორ მთავრდება ლამანჩელი რაინდის ლიმილის მომგრელი თავგადასაყვარება, როგორ ენაცვლება ერთმანეთს: სიმართლე და უსამართლობა, სათონოება და ბოროტება, დახმარება და ნელის შეშლა, სიხარული და მწუხარება, აზრი და უაზრობა, სიყვარული და სიძულევილი.

ასალვაზრდობის უსაზღვრო ინტელექტი, მათი მაღალი კულტურა, თავდადება სამსიპლივალი, ენერგიული მუშაობა, სულიერი სამყარო, სიყვარული ერისა და ქვეყნისადმი მიგადინია ჭრიშმარიტების ძიების, ადამიანთა საზოგადოების მომავლის შეცნობის, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საზრიანი კურსის განხორციელების მტკიცე და საიმედო ბალაგრად. აქ არ უნდა წამოვევოთ ცრუ ინტერნაციონალიზმს და არასწორად გაგებულ პატრიოტიზმის გრძნობებს.

„ჩევნ უარვეულო იმ პატრიოტიზმს, — წერდა კონსტანტინე გამსახურდია, — რომელიც მხოლოდ წარსულს დაემყარება, ჩევნ უარვეულო იმ პატრიოტიზმს, რომელიც ინიციატივართა მაცხოლეულმის ჩრდილს შეაფარებს თავს. მევდრები — რაგინდ წარჩინებულიც იყვნენ, ცოცხლების მაგივრად ვერ ილაპარაკებენ, მევდრები რაგინდ ძლიერი

იყვნენ, თავიანთი ანდერძით ცოცხლების საქმეს ვერ გააკეთებდნ. დაუპულაა  
ხალი, რომელიც შეიოლოდ საფლავებიდან მოელის სასწაულებს. უღირძია ერთ-ერთ მართვის მიზანი  
რომელსაც არწივის პერსპექტივებით ვერ დაუჭვერავს საშერძისო პოზიციები და  
უკან გამოჩმული თვალებით დადის ამჯერუნად“.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. რსდმპ მე-5 ყრილობის მიმღინარეობისას (1907 წ.), როცა ცალკეული ქვეყნების სოც. დემოკრატებს შექქნდათ წინადაღებები რეზოლუციის მომზადებაში, ლენინი ნოე უორდანიას აფრთხილებდა: „ქართველები ნუ ერევით რუსების საქმეში, თქვენ არ იცნობთ ჩვენს ხალხს, ფსიქოლოგიას, მის ყოფა-ცხოვრებას და რატომ ხელი გვაშლით. ჩვენ ჩვენი საქმეები ჩვენებურად, რუსულად ვაკეთოთ“. ნოე უორდანია, ფრაგმენტები მოგონებებიდნ. გამ. „ცხოვრება“ 1981 წ. 2 ობერვალი.
2. აპოლონ სილაგაძე, შალვა თოდუა, ვახტანგ ტატუნაიშვილი, რა არის საქართველო, გამ. „ერი“, 1991 წ. 1 იანვარი.
3. ილბერტ ბატიაშვილი, პლიტოლოგიის საგანი და მისი ზოგადი წინამძღვრება. გამ. „ერი“, 1990 წ. 13 დეკემბერი.
4. თემურ ქოჩიძე, მიზანი — ეროვნული ცნობიერების აღდგენა. გამ. „ლიტერატურული საქართველო“, 1990 წ. 21 დეკემბერი.
5. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955 წ. გვ. 13-14.

შოთა ჯაფარიშვილი



## რატომ მთკიბა გული

დიახ, მტკივა გული... და რატომ, ამაზე მინდა შენთან საუბარი ჩემთ  
მეგობარო!

ორმოცდათორმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენმა აწიოჭე  
ბულმა ოჯახმა მიატოვა თავისი საყვარელი ქვეყანა და უცხო ქვეყანაში  
— თურქეთში გადაიხვეწა... აღვილი ასატანია მამულ-დედულეთის  
მყვიდრთა და ნათესავთა მიტოვება-დაშორება? ჩვენს ბედში ვინ იცი  
რამდენი აღმოჩნდა... და აქ მავონდება ილია ჭავჭავაძის ერთი წერილი:  
რომლის ნაწყვეტი არ მოვიტანო, არ შემიძლია. იგი მუჰაჯირობას ეხება  
დიდი ილია წერს: „თუ მართლა აჭარა აიყრება და გადასახლდება, საჭ  
ვირველი რამ იქნება... ხალხი რათ უნდა მიიზიდებოდეს ოსმალეთში...  
მერე როგორ? თავის მამა-პაპეულს ბინას, სახლს, კარს, მამულს, დე  
დულს, მამათა სალოცავს, მამათა საფლავს, — სულ ყველაფერზედ ხელ  
უნდა იღებდეს ხალხი და ოსმალეთში მიღიოდეს, გაგონილი!.. საკირვე

ლი ამბავია!.. ნუთუ ხალხი სტოვებს ყველაფერს, რაც კი მისთვის  
ძვირფასია, სტოვებს — ვიმეორებთ — მამულს, დედულს, სახლ-კარზე,  
ადგილს, საცა დაიბარა, საცა გაიზარდა, საცა უმარხია დედა, მამა, ძმა,  
— და მიღის სად? ოსმალეთში... რაო, რა ამბავია? მოჩვენებაა შეშინე-  
ბულის გონებისა თუ მართლა მართალი ამბავია!“ (1879, შინაური მი-  
მოხილვა).

ამ სტრიქონებს, რომ ვკითხულობ, მაგონდება ჩვენი ის უბედური  
დღეები და გული მიკვდება, ცრემლი მომდის. დიახ, ნახევარი საუკუნის  
წინათ იძულებული ვიყავით მუჰაჯირის ბედი გაგვეზიარებინა და დაგვე-  
ტოვებინა დედასამშობლო. მთელი ჩვენი უძრავ-მოძრავი ქონება ღვთის  
ანაბარა დარჩა. ქონებას განა რაიმეში გამოვიყენებდით? — არც სიცო-  
ცხლე და არც ქონება შეგვრჩებოდა. ადგილზე მყოფთა უმრავლესობას  
შუა აზიაში ამოაყოფინეს თავი და წილად არგუნეს ტანჯვა-წამება. ჩვენი მეზობელი სამი სოფელი — ქავთარეთი, გორგაძეთი და საფუტქ-  
რეთი დაცარიელდა თურმე. გაუკაცრიელდა იმ ბარაქიანი სოფლების  
მიწები. მე მქონდა საუბარი ერთ-ერთ იმ გადასახლებულ ნათესავთან  
და აი, რა მიამბო მან:

— თანდათან გვასახლებდნენ — ჯგუფურად და ცალ-ცალკე. მე  
გადასახლებულთა დიდ ნაკადში მოვხვდი. შეგვყარეს მატარებლის  
სატვირთო ვაგონებში, კარები ჩაგვიკეტეს, ცხვრებივით ვეყარეთ  
იატაკზე. ზამთარი იდგა და გარეთ ქარი ზუზუნებდა. სიცივეს ვეღარ ვუძ-  
ლებდით და ზოგიერთს ფილტვების ანთებაც დაემართა. განსაკუთრე-  
ბით ავად ხდებოდნენ ბავშვები და იხოცებოდნენ კიდეც. სანიტარი ჩა-  
მოივლიდა ხოლმე და მკვდარ ბავშვებს გარეთ გაატანინებდა და სანა-  
გვე მანქანაში აგდებდნენ. დედები, დები, ქალები სტიროდნენ და  
ჰელიუმებდნენ, მაგრამ ვის ებრალებოდა უძმშეონი, უსამართლოდ განწი-  
რული, ვინც გაქცევით თავს უშველა, ჰკუა ქნა, თორემ მასაც ჩვენი  
შავბედი არ ასცდებოდა. ჩემო იბრაიმ, შენ, გადარჩი იმიტომ, რომ გაი-  
ქციო. მაგრამ ყველას როდი შეუძლია გაქცევა და დამალვა, ჰოდა, მეც  
იმ ტინჯული ადამიანების ბედი მერგო წილად და შევრიც ვიწვალე,  
კინალამ სადღაც დავტოვე სული. ბედნიერი ვარ, რომ მერე მოვვეცა  
საშუალება დავბრუნებოდით მშობლიურ სოფელს, — თქვა და ამრით-  
ხრა. შემეცოდა ეს კაცი. შემებრალა ყველა ისინი, რომლებმაც გადასა-  
ხლება იწვნიეს... რატომ ასახლებდნენ? განა ბრალი ჰქონდათ რაიმე-  
ში? განა უღლატეს სამშობლოს? არა, მაგრამ სტალინის „რკინის  
ქანონი“ ასე უსამართლოდ უსპობდა სიცოცხლეს მართალ აღამია-  
ნებს.

უცხოეთის გზებზეც ვიწვნიეთ გაჭირვება, მაგრამ წიკვდილის აჩრ-

დილი თავს აღარ დაგვტრიალებდა და მშვიდად ვიყავით. სარჩის კი  
ცი ყველგან იპოვის ხელს თუ გაანძრევ, თუკი შრომა არ დაგვტრიალებდა.  
ჩვენც მივენდეთ საკუთარ მარჯვენას და ლუქმა-პურიც აღარ გვენატრებოდა. პირიქით, სხვისი დაპურებაც და ხელის გამართვაც შეევეძლო.

გვენატრებოდა ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სოფელი, ნათესავები, მაგრამ გვეშინოდა წერილების გამოგზავნა, რომ ამით ვინმე უბედურ დღეში არ ჩაგვეყენებინა. ეშინოდათ მათაც და ვერ გვიგზავნიდნენ წერილებს მაშინაც კი, როცა ამის ნებაც დართეს. ხალხს სუკის ეშინოდა, რომელიც თვითეული აღამიანის გზაკვალს ზერავდა, აღარ იყო ნდობა აღამიანთა შორის. ჩუმად დაძრწოლნენ გამცემლები და ვაი შეს დღეს ერთი ისეთი სიტყვა თუკი წამოგცდებოდა, რომელიც არ მოეწონებოდა გამცემს. ამიტომ შიშობლნენ აქ მყოფი ჩვენი ნათესავები და რამდენმე სტრიქონს თუ მოიწერებოდნენ. ამით კი ვერაფერს გაიგებდი. ამას ვხვდებოდით და ჩვენც ფრთხილად ვწერდით წერილებს.

ას, რა მტკიცნეული დრო განვლო ხალხმა!

გადიოდა ხანი. თანდათან შეიცვალა დრო. ის სიმკაცრეც შენელდა. წერილები ნორმალურად მიღიოდა და მოდიოდა. მერე იმასაც მოვესწარით, რომ ტურისტული ვიზიტით ჩამოსცვლის საშუალებაც მოგვეცა. ჩამოვედით კიდევაც. ვინახულეთ ჩვენი ახლობლები და მეზობლები, პირველად რომ ჩამოვედი სამშობლოში, გულმა ჩემი სახლისკენ გამოწია. სახლს ვამბობ, თორემ სადღა იყო იგი — ნასახლარილა დარჩენილი ყო, მაგრამ მაინც მაინტერესებდა ჩემი ნასახლარისა და კარ-მიდამოს მონახულება; იმ ადგილის მონახულება, სადაც ფეხი ავიდგი და ზოგჯერ ფეხშიშველი დავრბოდი, იქ ვერც მაშინ, ოცი წლის წინათ მივედი და ვერც ამჟამად მივსულვარ. „რკინის ფარდა“ კი ჩამოაგდეს, მაგრამ „რკინის ღობე“ მაინც დარჩა... და ის ჩემი საყვარელი სამი სოფელი იმ „შავი ღობის“ მიღმაა. მე კი იქ ახლოს მისვლის უფლება არა მაქვს. მაგრამ იმედია მალე გაირღვევა ის „რკინის ღობეც“ და ნატვრას აღვისრულებთ... როცა მაჭახელში, ჩემს შშობლიურ სანახებში ავდივარ, გავხედავ ხოლმე ჩვენს ნასახლარებს, ჩვენს კარ-მიდამოს, რომელიც ეკალ-ბარდი დაუფარავს და ელიან კაცის მაღლიან მარჯვენას, რომ იქაც გაღვივდეს სიკეთის თესლი, იხაროს ხეხილმა და ვენახმა, იშრიალოს ყანამ, ეზოებში ბლაოდეს საქონელი.

ისიც უნდა ვთქვა, რომ მაჭახლის ხეობის მოსახლეობას ისედაც უჭირს მიწის სიმცირის გამო. რატომ უნდა მივაგდოთ უპატრინოდ ერთ დროს კარგ სავარგულად, რომ ითვლებოდა და გლეხი კარგ მოსავალსაც იღებდა? რა უშველის-მეთქი იმ გაუკაცრიელებულ ადგილებს? — ვკითხე ერთ მაჭახელს. მან მითხრა: — მხოლოდ ერთი რამ, თუკი მიწა

მიუცემა გლეხს. ჩვენ ყველამ ვიცით ჩვენ-ჩვენი ნაკვეთი, ოლონდ მოგვ-  
ცენ ნება კვლავ დავიბრუნოთ ჩვენი მიწები და მალე ვნახავთ, რა მო-  
სავალსაც დავახვავებთო. მისი აზრით, მიწას სხვა კანონი ვერ უშველის,  
მიწას კომისია არ სჭირია და არ გამოდგება იჯარაცო.

მე პირადად იმ გლეხის აზრი ჰქუაში დამიჯდა. ას, ერთი დაგვიბ-  
რუნონ ის მიწები და მერე ნახონ, როგორ ავაყვავებთ იმ სოფლებს!  
თუკი ჩემს ნასახლარზე დავჭდები და იმ მიწას დავამუშავებ, მაშინ სი-  
მინდს კი აღარ ვიყიდი (ასე ცეცხლის ფასი რომ უკიდია ბაზარში), არა-  
მედ გავყიდი კიდეც. ხედავთ, რა გასაჭირია სურსათზე? და ყველამ  
უნდა გამოვილოთ ხელი, არსად არ უნდა დარჩეს სოფელში დაუმუშავა-  
ბელი ნაკვეთი... და ნახე მერე თუ იქნება სიძვირე ბაზარში! უხვი მო-  
სავალი სიკეთეს მოუტანს ყველას და ამ ნდომით უნდა მოვეკიდოთ  
დღეს სარჩო-საბადებლის მოყვანის საქმეს.

უნდა ვთქვა, რომ მე არ მიყვარს „კოლექტივიზაცია“, რომელიც  
სოფლად ამკვიდრებდა ბატონყმობას. იგი დღესაც არ გამქრალა... მხო-  
ლოდ სახე იცვალა. აუცილებელი კია ამოიძირკვოს კოლექტივების ფეს-  
ვები სოფლად... და რომ სოფლის მოსახლეობა დაეწაფოს თვითმეურნე-  
ობას. თვითონ ჩვენ ვიყოთ ბატონ-პატრონი სოფლისა. ეს კი ჯერჯერო-  
ბით არ არის ისე დამკვიდრებული, რომ გული არ გეტკინოს. დიას,  
ამიტომ მტკივა გული, მეგობარო! მაგრამ იმედია, ახლადგაფურჩქვნილი  
დემოკრატია თანდათან განიმტკიცებს ფესვებს, ძლიერად აღორძინდე-  
ბა და ჭეშმარიტად დაგვიდგება ნანატრი დღე... და მეც მომირჩება დაჭ-  
რილი გული... ჩემს ერდოზეც იყივლებს მამალი მახარობელი...

იური სიხარულიძე

## სიმონეთი

ერთნაირი სახელები ხშირია საგეოგრაფიო ნომენკლატურაში. რამდენიმეა აჭარა, მარტყოფი, მწვანე კონცეი და ა. შ. ამავე რიგისაა სიმონეთიც. მათგან ორი საქართველოშია, ხოლო ერთი — თურქეთში. საქართველოს სიმონეთაგან ერთი გონიის მხარეშია, მდ. ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე (ხელვაჩაურის ჩ-ნი), ხოლო მეორე — არგვეთში (ოერჯოლის ჩ-ნი). როგორც ერთში, ისე მეორეში, ადამიანის ცხოვრება თითქმის უწყვეტად გრძელდება „საძმო“ ხანიდან დღემდე.

გონიის სიმონეთის ძველ სახელწოდებას ჯერჯერობით ვერ მივაკვლიერ, ხოლო არგვეთის სიმონეთი აღრე „სომიანეთად“ იწოდებოდა. ეს სახელწოდება პირველად ამავე სოფლის ეკლესიის XI საუკუნის წარწერაშია დადასტურებული. „სომიანი“, რომელიც ამ საგეოგრაფიო სახელში გამოიყოფოდა, სულ სხვა წარმოშობის ტოპონიმია და არაფრი ანათესავებს უცხოური წარმომავლობის ანთროპონიმთან „სიმონი“.

ასეთივეა თუა არა გონიის სიმონეთი, არ ვიცით, რადგან დღემდე არც რაიმე საამისო ეპიგრაფიული ძეგლია აღმოჩენილი და არც სხვა. დაგვრჩა მხოლოდ ხალხური ვერსიები, რომლებიც ამ სახელწოდების ფუძეს აღამიანის საკუთარ სახელად თვლიან. ერთი ასეთი გადმოცემით, ამ კაცს (სიმონს) თითქოს იმ ნასახლევზე უცხოვრია, რომელიც სოფლის ბოლოსაა. (ვ. მგელაძე, ზემო აჭარული სოფელი ძველად, ბათუმი, 1978, გვ. 38).

სიმონეთელ ზ. გორგოშიძეს თითქოს ამ სიმონის გვარიც კი ცოდნია — ასანიძე. მისი ცნობით, ოსმალობის უამს ამ სოფლის მცხოვრებნი ქუთაისში გაქცეულან და იქაც სოფლისთვის სიმონეთი დაურქმევიათ (იქვე).

ოსმალების მოძალების უამს და შემდეგაც იმერეთსა, უკრიაში თუ სხვა მხარეებში სამხრეთიდან ლტოლვილ არაერთ ქართველს უპოვია თავშესაფარი. ამის შედეგია სოფლის სახელი „აჭარა“

ზესტაფონში, საგვარეულო სახელი „ინწყირველი“ ოზურგეთის რაიონიში და მრავალი სხვა.

გონიის სიმონეთიდან აყრილნი ერთ დროს, შეიძლება, მართლაც შეეხიზნენ არგვეთის სიმონეთს, ისე როგორც ქართული ტიტერატურის კლასიკის დავით კლდიაშვილის წინაპარი კლდია შალიკაშვილი, მაგრამ ამაზე ჯერჯერობით რისამე გადაჭრით თქმა არ შეგვიძლია, რადგან გადმოცემებს გარდა, არაფერი მოგვეპოვება.

არგვეთის სიმონეთის წარმომავლობის გარკვევა ამ ორი ათეული წლის წინათ მოგვიხერხდა, ხოლო გონიის სიმონეთისა ჯერ კიდევ საძიებელია. ძნელი სათქმელია, საიდან მომდინარეობს ის, მაგრამ უფრო თითქოს სამოგვარეულო უნდა იყო.

რაც შეეხება თურქეთის „სიმონეთს“ (იგი ბურსის მახლობლადაა), მის წარმოქმნაზე სხვადასხვა მოსაზრებებია.

ფრ. ხალვაში ერთ თავის ლექსში წერს, რომ იგი ქართველ მუკა-ჯირს დაუარსებია.

ამდღნადმე განსხვავებულია სერგო კლდიაშვილის ვარიანტი. მისი აზრით, თურქეთის სიმონეთის დამაარსებელნი მუკაჯირები კი არ ყოფილიან, არამედ თურქეთ-საქართველოს ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი ქართველები (მისი, სამი სიმონეთი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 5.1.1979. გვ. 2). საქართველოს თურქეთთან მრავალი ომი გადაუხდია, მაგრამ მწერალი „არცოუ ისე შორეულ წარსულში“ გულისხმობს ამ ფაქტს, აქ უეჭველად „დემოკრატული“ საქართველოსა და ოსმალეთის ომია საცულვებელი. მისი მტკიცებით, ეს ადგილი მთავრობას მიუჩენია ტყვეთათვის საცხოვრებლად.

ფრიდონ ხალვაშის ლექსით, ბურსას სიმონეთის დამაარსებელი გონიის სიმონეთიდან ყოფილა. ამას მისი „მუკაჯირობა“ მოწმობს, ხოლო ჭოროხის გაღმა მხარის მკვიდრობა, ის, რომ „სიმონეთს“ ირჩევს ახალი საცხოვრისის სახელად (შდრ. ფერეიდნული ქართული საგეოგრაფიო სახელები), ს. კლდიაშვილი აქ ისე გარკვევით აღარ ლაპარაკობს, რადგან მესამე სიმონეთის ფუძემდებლებად მას თურქეთ-საქართველოს უკანასკნელი ომისდროინდელი ტყვები მიაჩნია, ამ ნიშნით აქ ზემო იმერეთის სიმონეთის მცხოვრებნიც შეიძლება ვიგულისხმოთ.



ჯემალ ჯაფელი

## მიტო და კატო

მიტო ფარდულის კარებთან იდგა და ელოდა თავის რიგს. უცებ შემოესმა:

— ვინ არის ბოლო?

მიიხედა და დაინახა სანდომიანი მანდილოსანი. მასში შეიცნო თავისი ყმაშვილკაცობისძროინდელი მეგობარი კატო... შეიცნო და სახეზე სიამოვნების ნათელი გაღაეფინა. ჭერ დაეჭვდა, — ის არის თუ მეჩვენებაო, ერთხელ კიდევ შეხედა და დარწმუნდა, რომ ეს ქალბატონი ნამდვილად მისი ახალგაზრდობისძროინდელი ლამაზი და საყმაოდ თამამი კატო იყო. გუნებაში ძალიან გაეხარდა და გადაწყვიტა ნაცნობი ქათინაურებით შეეხსენებინა თავი. თანაც გული შეუღონდა, — ნუთუ ისე დავბერდი და შევიცვალე, რომ ჩემმა განუშორებელმა და საყვარელმა კატომ ვეღარ მიცნოო.

მიტო რომ ამ ფიქრებში იყო, მოულოდნელად შემოესმა სანდომიანი მანდილოსნის ხმა:

— რა ღირს კარტოფილი?

შეკითხვებით თავმობეზრებულმა გამყიდველმა ცივად მოუჭრა:

— კილოგრამი — ხუთი მანეთი.

— რა ამბავია ხუთი მანეთი?! — ეძვირა ქალს.

ეს რომ გაიგონა, მიტომ გახუმრება სცადა, იქნება შიცნოსო და „განმარტა“:

— ქალებისათვის — ორი მანეთი, მამაკაცებისათვის — ხუთი

— რა ხუმრობაა ეს?! — იწყინა ქალმა.

— მე მაქვს თქვენთან ხუმრობის უფლება.

— რატომ, ბატონო?

— იმიტომ, რომ... შენ ისა ხარ!

— ვინა, ბატონო! — ცოტა არ იყოს, წამობრაზდა ქალბატონი.

უფრო იმით გაწიწმატდა, რომ კარტოფილი ნამეტანი ეძვირა.

— ჩემი... ჩემი კატო ხარ შენ!..

— კატო?

— დიახ! ჩემი საყვარელი დაუდგრომელი, კიკინებიანი კატო.



ქალმა გაიცინა. კარგად დაკვირდა და... მოხდა საოცრება! ამ გამცირებული გაცში უცებ შეიცნო მისი ყმაწვილქალობის ღროინდელი მოსიყვარულე მიხო... ესიამოვნა, თვალები მინაბა და, რატომლაც, დაიმორცხვა... ამ დამორცხვებაში მიტომ რატომლაც ისევ და ისევ მისი საყვარელი კატო გაიხსენა და ალერსიანად კითხა:

— როგორ ხარ, ჩემო კატუნი? აგერ, ოცდახუთი წელი იქნება, რაც დაგშორდი, ახლა კი აი, აქ შეგვყარა ბედმა.

მანდილოსანმაც ამ მოალერსებაში რატომლაც გაიხსენა მისი საყვარელი მეგობრის მიხოს „მანერები“ და გაიფიქრა: „ჩემი სახელი დავიწყებიაო, მაგრამ არა დაიმჩნია რა, და ალესიანადვე უთხრა:

— ხუმრობა იქით იყოს და... ახლა კი ვიგრძენი, რომ მომნატრებიხარ, ჩემო მიხო. ისე ნამეტანი კი დასერიოზულებულხარ, მიხო. მე ნამეტანი დაუდევარი მახსოვხარ.

მიტოს ნარი წაუხდა „მიხოს“ გავონებაზე და თქვა:

— ჩემო ძვირფასო კატო, ვწუხვარ, რომ ჩემი სახელი დაგვიწყებია, მაგრამ არა უშავს რა. მე მიხო კი არა, მიტო ვარ.

— ვითომ შემეშალა? — მწარედ გაიღიმა ქალმა.

— კი, შეგეშალა. სამწუხაროდ შეგეშალა, მაგრამ ეგ არაფერია.

ქალი მოულოდნელად გაწიწმატდა და თქვა:

— აბა, მასე თუა, მე კი არა, შენ შეგეშალა. მე კატო კი არა, კესარია ვარ.

კაცმა თავისი მაინც არ დაიშალა:

— ქალიშვილობაშიც ასეთი უცნაური იყავი. რაღაცას დაიხემებდი და აღარ გადათქვამდი. რათ გინდა ამდენი თამაში. თქვი, რომ დავბერდი, აღარ მოგწონვარ, არაფერში აღარ გჭირდები და მორჩა. რა ჩემი ბრალია, ასაქმა თუ აგრე რიგად შეგვცვალა.

ქალმა ამ სიტყვებზე მართლაც იწყინა და გადაჭრით თქვა:

— თქვენ შეგეშალათ, ბატონო, თქვენ, და მორჩით ახლა ამ ბაზარს.

თავმოყვარეობაშელახულმა მიტომ მანდილოსანს აკადრა:

— ეს თქვენ შეგეშალათ...

არც ქალი დარჩა ვალში და უკმეხად უთხრა:

— არა, თქვენ შეგეშალათ და არ გინდათ აღიაროთ.

ამ დროს ამ ქალის ქმარი მოვიდა. ცოლი სახეზე წამონთებული და შუბლშეკრული რომ დაინახა, წარბეგბშეჭმუხნულმა საყმაოდ მომთხოვნი და მკაცრი ხმით იკითხა:

— რაშია საქმე?

ქალი თავის მართლებასავით მოყვა:

— მაგას ეშლება...

გიჩგვა კაცი მიტოს მიუბრუნდა:

— რა გეშლება კაცო შენ? ეს ჩემი ცოლია და მინდა ვიცოდე, რა შეგეშალა შენ აქ.

— არაფერი, ბატონი. რა უნდა შემშლოდა.

— აბა, შეეშალო...

— მას შეეშალა, ბატონი.

— ვის შეეშალა, შე კაცო?! — იფრინა ქალმა.

— თქვენ. — ჯიუტად მიუგო მატომ.

— მე კი არა, თქვენ შეგეშალათ. — დააღასტურა ქალმა.

— მე არაფერი არ შემშლია, თქვენ შეგეშალათ.

ამ სიტყვებს რომ ისმენდა, გიჩგვა კაცი თავის ცოლზეც ბრაზდებოდა და ამ ვიღაც აბეზარ მიტოზეც. უმეტესად, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელზე, რაღაც ვერაფრით მიმხდარიყო, თუ რა საქმე ჰქონდა მის ცოლთან. ის კარგად გზგო, რომ აქ ვიღაცას რაღაცა შეეშალა, მაგრამ ვის და რა, — ეს ვერაფრით დაადგინა.

— რა უბედურება არის ეს?! — შეუბლვირა მიტოს.

— არაფერი, ბატონი, შეეშალა.

— შეეშალო? მაგრამ ვინაა ამ „შეშლის“ მიზეზი? ვაი, იმის ბრალი, ვისაც პირველს შეეშალა.

— პირველად მაგას შეეშალა, — თავი იმართლა ქალმა.

— მე არაფერი შემშლია, ბატონი, მაგი კატოა... მე კი მიტო ვარ. მაგას დაუჩემებია, რომ შენ მიტო კი არა, მიხო ხარო, ჩემი ძველი მეგობარიო.

— ვამე, რათ ვერ გაიგეთ, რომ მე კატო კი არა, კესარია ვარ. შენ კი — მიხო, ას მიხო...

— ჰო და, არ გეშლება ახლა შენ, დავიჯერო?

— არა, შენ კი გეშლება და შენსას არ იშლი.

— რა ვენა ახლა მე, ჰა? — დაბნეულმა მიტომ ხელები გაასავსავა. მას ეშლება და მე კი მაბრალებსო. — არა ვარ ეს ოხერი მიხო და რა ჩემი ბრალია.

ამასობაში მისი რიგიც მოსულიყო. გამყიდველმა ათკილოიანი პარკი ხელებში შეაჩეხა და ხუთი თუმცანი გამოართვა. მიტოს კარტოფილი ნამეტანი ეძვირა და თავისთვის უქმაყოფილოდ ჩაილულლულა:

— აუტანელია, პირდაპირ...

თვალებბრიალა გიჩგვა კაცი შემობრუნდა და შეუტია:

— რა არის აქ აუტანელი? შენ შეგეშალა და კიდევ ლუდლულებ?

— არ შემშლია, ბატონი.

- აბა ის რა არის, კატო ხარო. მაინც რატომ იჩემებ კატოს...  
 — არა, კატოფილზე ვთქვი, ფასი აუტანელია მეთქი და არა —  
 კატო მეთქი. ისე ეგ ნამდვილად კატო.
- ბიჭო, ეს კესარია, ჩემი ცოლი, გაიგე? — თქვა ჯიჯიპატა და  
 მიტოს საყელოში წვდა.
- მასე თუა, მეც არა ვარ მიხო, გაიგე? მე მიტო ვარ, მიტო.  
 — კარ, ვთქვათ მასეა მაგი. ამ ჩემს ცოლს რას ერჩი?  
 — არაფერს ბატონო, თვითონ შერჩის, მიხო ხარო, იჩემებს.  
 ქმარმა ცოლს თშებში წავლო ხელი და გაბრაზებით გითხა:  
 — ეს კაცი მართლა მიხოა თუ გეშლება?  
 — მიხოა, — დააღასტურა ქალმა.  
 — მე თუ მიხო ვარ, მაგი კატოა. — დაასკვნა მიტოშ.  
 — აგი კატო არ არის. — კბილები დაკრიჭა ქმარმა.  
 — მეც მიხო არა ვარ. — მიტომაც დაკრიჭა კბილები.  
 ქმარი ცოლს ეჭივიანად მიუბრუნდა და კითხა:  
 — ვინ არის, ქალო, ის შენი მიხო?...  
 — არავინ. — ლაიმორცხვა ქალმა.
- გაოგნებული ქმარი მიტოს შემოუბრუნდა და თავის კანტურით  
 უთხრა:
- გიშველა ღმერთმა, რომ მიხო არა ხარ, თორემ ძვალსა და  
 რბილს ერთს გაგიხდიდი. დანარჩენი იმ შენი კატოს ქმარმა იკითხოს...  
 — კარგი, ბატონო, მასე იყოს. შემეშალა და რა ვქნა, მაგრამ ის  
 მამშვიდებს, რომ მაგ ქალბატონსაც შეეშალა. მე მიხო არა ვარ და,  
 მაგი... ძალიან გავს კატოს.
- მასე თუა, შენც ძალიან გავხარ მიხოს. მაინც რატომ გავხარ  
 შენ მიხოს? — გაწიწმატდა ქალი.  
 — არ ვიცი, ბატონო, ალბათ ვიღაცას ვგავარ.  
 — იქნებ მეც არ ვიცი, ვის ვგავარ, — თქვა ქალმა.  
 — მასე. თუა, ორივე მართლები ვიყოთ. კარგად ბრძანდებოდეთ.  
 ისე, ვინმე რომ ვინმეს გავდეს, ამის გამო არ უნდა ისჯებოდეს....  
 — გამოდის, რომ შენ იმ ვიღაც ოხერ მიხოს გავხარ, არა? — ნიშ-  
 ნის მოვებით იყითხა ქმარმა.  
 — ასე გამოდის.  
 — აი, მაგ მსგავსებისა იყოს, — თქვა და მიტო მაგრად მოაჭიჭუ-  
 რა.  
 — მაგ ქალბატონსაც ხომ შეეშალა, მაგას რატომ არ აჯაყერებ?  
 — მაგას სახლში მოვაჯაჯურებ? — თქვა და გამყიდველს გაბრაზე-  
 ბით კითხა:

— რა ღირს კარტოფილი?

— აღარ არის, ბატონო, გათავდა.

მიტომ შეატყო, რომ კაცს ნამეტანი ნერვები აეშალა და დაყვავებით თქვა:

— რაყი ორივეს შეგვეშალა, ჩემი კარტოფილის ნახევარს გითმობთ, ხუთი კილო თქვენ, ხუთი — მე. ოჟ, კატო, კატო... რა გოგო იყო!... ნეტავი არ შემშლოდა! — ჩაილაპარაკა მიტომ და წავიდა. „ნეტავი მეც არ შემშლოდა“ — გაიფიქრა კესარიამ და ნირწამხდარ მიტოს თვალი გააყოლა.





ՅԱԿՈ 60 ԺԱՅ.

6 39/2